

178 /
1967/3



საბჭოთა სამართალი

საქართველოს კვ. ინსტიტუტი კომიკავის გამომცემლობა

1967

2



3. ი. ლენინის დაბადების 97 წლისთავისათვის



საბჭოთა სამართალი

№ 2

მარტი—აპრილი

1967 წელი

ბავოცემის XIV წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურორისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ორთვიური ჟურნალი

ზინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1967 წლის 19 მარტის არჩევნების შედეგების შესახებ	3
საქართველოს სსრ მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ	4

საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისათვის

საბჭოთა საქართველოს მართლმსაჯულების მათავეებთან	6
---	---

კომენტარები ახალ კანონმდებლობაზე

თ. წერეთელი — სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში	15
ს. ქველიძე — შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგიერთი საკითხი	23
თ. ლილუაშვილი — სასამართლოს მიერ სპეციალური ცოდნის გამოყენების ფორმები სამოქალაქო სამართლის პროცესში	32
ნ. წერეთელი — იურიდიული სამსახურის სრულყოფისათვის	42
გ. ცუცქერიძე — ავტოავარიის საქმეებზე აუცილებელია დადგინდეს დაზარალებულის როლი დამდგარ შედეგში	47

ღისკუსისა, კოლმეიკა, რეკლიკა

გ. ლუაფა — ადვოკატის საქმიანობის მცდარი შეფასება	51
--	----

ქართული სამართლისა და დიკლომატიის ისტორიიდან

ვ. აბაშიაძე — დავით აღმაშენებელი სამეფო ტახტის მემკვიდრეობის შესახებ	56
გ. პაიჭაძე — რუსეთში ქართლ-კახეთის 1752 წლის ელჩობის საკითხისათვის	61

ქალთა სამართაშორისო დღისათვის

დ. ნანობაშვილი — სამოცდათექვსმეტი გაზაფხული	68
---	----

წერილები ჩვენი პარტიის ვებარანებზე

ლ. ისაკაძე — გული კვლავ ახალგაზრდულად ძგერს	71
---	----


გოთხრობა

შ. გვეტაძე — ნაბრალი	74
----------------------	----

ინფორმაცია	88
------------	----

ნეკროლოგი	96
-----------	----

10.7.67





СОДЕРЖАНИЕ

Об итогах выборов в Верховный Совет Грузинской ССР	3
Об итогах выборов в местные Советы депутатов трудящихся Грузинской ССР	4

К 50-ЛЕТИЮ СОВЕТСКОГО ГОСУДАРСТВА

К истокам правосудия Советской Грузии	6
---------------------------------------	---

КОММЕНТАРИИ К НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

Т. Церетели — Действие советского уголовного закона во времени	15
С. Квелидзе — Некоторые вопросы уголовной ответственности за нарушения правил безопасности труда	23
Т. Лилуашвили — Формы использования судом специальных познаний в гражданском процессе	32
Н. Церетели — К усовершенствованию юридической службы	42
Г. Цуцкиридзе — По делам об автоаварии необходимо установить роль поставившего в наступившем последствии	47

ДИСКУССИЯ, ПОЛЕМИКА, РЕПЛИКА

Г. Лежава — Неправильная оценка деятельности адвоката	51
---	----

ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОГО ПРАВА И ДИПЛОМАТИИ

В. Абашмадзе — Давид Строитель о праве престолнаследия	56
Г. Пайчадзе — К вопросу о картл-кахетинском посольстве в России в 1752 году	61

К МЕЖДУНАРОДНОМУ ДНЮ ЖЕНЩИН

Д. Нанобашвили — Семьдесят девятая весна	68
--	----

ВETERАНЫ НАШЕЙ ПАРТИИ

Л. Исакадзе — По-прежнему молодо бьется сердце	71
--	----

РАССКАЗ

Ш. Гветадзе — Трещина	74
Информация	88
Некролог	96

სარედაქციო კოლეგია

შგ. № 1673
ტირაჟი 5500
უე 06906

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), გ. აბაშმაძე,
ო. ბაკურაძე, ბ. ბარათაშვილი, პ. ბერძენიშვილი,
თ. დადიანი, გ. ინწკირველი, მ. ლომიძე,
გ. მაისურაძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—9-09-62

გადაეცა წარმოებას !8/IV-67 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/VII-67 წ. ანაწყობის ზომა 7×12; ქალაქის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საინსტრუქციო საკომისიოს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1967 წლის 19 მარტის
არჩევნების შედეგების შესახებ

კვირას, 1967 წლის 19 მარტს, გაიმართა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობდა მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ფართოდ გაშლილი მოძრაობის ვითარებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის შექმნილი იყო 400 საარჩევნო ოლქი. ხმის მიცემა საარჩევნო უბნებში დაიწყო დილის 6 საათიდან და დამთავრდა საღამოს 10 საათზე ადგილობრივი დროით.

არჩევნები ჩატარდა 399 საარჩევნო ოლქში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ერთ საარჩევნო ოლქში, დეპუტატობის კანდიდატის გარდაცვალების გამო, არჩევნები არ ჩატარდა. ამ საარჩევნო ოლქში მოეწეობა ახალი არჩევნები.


საოლქო საარჩევნო კომისიებმა არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით მოახდინეს ხმების დათვლა, გამოარკვიეს არჩევნების შედეგები თითოეული ოლქის მიხედვით და ხმის მიცემის შედეგები წარმოუდგინეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

საოლქო საარჩევნო კომისიების მონაცემების მიხედვით ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 2.698.853 კაცი, მათგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.698.828 კაცმა, ანუ 99,99 პროცენტმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების სასარგებლოდ ხმა მისცა არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან 2.698.265 კაცმა, ანუ 99,98 პროცენტმა. დეპუტატობის კანდიდატების წინააღმდეგ ხმა მისცა არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან 548 კაცმა, ანუ, 0,02 პროცენტმა. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 79-ე მუხლის საფუძველზე არანამდვილად ცნობილია 15 საარჩევნო ბიულეტენი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ყველა კანდიდატმა, რომლებიც კენჭს იყრიდნენ 399 საარჩევნო ოლქში, მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 93-ე მუხლის შესაბამისად არჩეულია დეპუტატად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა ახალი ძალით ცხადყვეს საბჭოთა დემოკრატიის გამარჯვება, რესპუბლიკის მშრომელთა მონოლიტური



ერთიანობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

ამრიგად, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ამომრჩევლებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს, რაც მკაფიოდ მოწმობს პარტიისა და ხალხის ერთიანობას, საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვებას.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თავის 21 მარტის სხდომაზე განიხილა საოლქო საარჩევნო კომისიების მასალები არჩევნების შედეგების შესახებ თითოეულ საარჩევნო ოლქის მიხედვით და „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 38-ე მუხლის საფუძველზე რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ყველა 399 საარჩევნო ოლქში არჩეული დეპუტატები. ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობაში არჩეული არიან მუშები — 87, ანუ 21,8 პროცენტი, კოლმეურნეები — 101, ანუ 25,3 პროცენტი, ქალები — 125, ანუ 31,3 პროცენტი, უპარტიოები — 114, ანუ 28,6 პროცენტი, 280 დეპუტატი, ანუ 70,2 პროცენტი არ ყოფილა საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების
ცენტრალური საარჩევნო კომისია.**

ცნობა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ

კვირას, 1967 წლის 19 მარტს ჩატარდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები.


არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობდა მაღალი წრითი და პოლიტიკური აქტივობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის მზადების ვითარებაში.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის შექმნილი იყო 52.291 საარჩევნო კომისია, რომელთა შემადგენლობაში მუშაობდა 198.289 კაცი.

არჩევნების დღეს საარჩევნო ბიულეტენების გაცემა და მიღება მიმდინარეობდა 2.993 საარჩევნო უბანში.

ხმის მიცემა დაიწყო დღის 6 საათზე და დამთავრდა საღამოს 10 საათზე ადგილობრივი დროით. არჩევნები ჩატარდა ამომრჩეველთა მაღალი აქტივობისა და ორგანიზებულობის პირობებში, რომელმაც ცხადყო რესპუბლიკის მშრომელთა ერთიანობა და მჭიდრო დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. არჩეული არიან: მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს, 67 რაიონული საბჭოს, 48 საქალაქო საბჭოს, ქ. თბილისის 7 რაიონული საბჭოს, 909 სასოფლო საბჭოს და 48 სადაბო საბჭოს დეპუტატები.

მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო:



საოლქო საბჭოს არჩევნებში-ამომრჩეველთა 100 პროცენტმა.

რაიონული საბჭოს არჩევნებში — 99,99 პროცენტმა.

საქალაქო საბჭოს არჩევნებში — 99,99 პროცენტმა.

ქ. თბილისის რაიონული საბჭოს არჩევნებში — 99,99 პროცენტმა.

სასოფლო საბჭოების არჩევნებში — 100 პროცენტმა.

სადაბო საბჭოების არჩევნებში — 100 პროცენტმა.

ამრიგად, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა ამომრჩეველმა, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატების სსსარგებლოდ ხმა მისცა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის შემდეგმა პროცენტმა:

საოლქო საბჭოში — 99,97 პროცენტმა.

რაიონულ საბჭოებში — 99,97 პროცენტმა.

საქალაქო საბჭოებში — 99,96 პროცენტმა.

ქ. თბილისის რაიონულ საბჭოებში — 99,96 პროცენტმა.

სასოფლო საბჭოებში — 99,97 პროცენტმა.

სადაბო საბჭოებში — 99,91 პროცენტმა.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების მე-100 მუხლის საფუძველზე გაუქმებულია 32 ბიულეტენი.

ამრიგად, ხმის მიცემის შედეგები ცხადყოფენ, რომ ამომრჩეველებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს.


სულ ადგილობრივ საბჭოებში არჩეულია 48.217 დეპუტატი. დეპუტატთა შორის არიან: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი და წევრობის კანდიდატი — 22.961, ანუ 47,6 პროცენტი, უპარტიო — 25.256, ანუ 52,4 პროცენტი, მუშები და კოლწევრები ერთად — 29,611, ანუ 61,4 პროცენტი, 20,956 ქალი, ანუ 43,5 პროცენტი. არ ყოფილა წინა მოწვევის საბჭოების დეპუტატად 22.87 კაცი, ანუ 47,4 პროცენტი.

სადაბო საბჭოების არჩევნების ერთ საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და არ იქნა არჩეული. ამ საარჩევნო ოლქში მოეწყო ახალი არჩევნები.

საპარტიველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

ქართული სახელმწიფოს 50 წლის იანვარი

საბჭოთა საქართველოს მართლმსაჯულების სათავეებთან



1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. ეს იყო რევოლუცია, რომელმაც ძირეული გადატრიალება მოახდინა ქართველი ხალხის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში.


საბჭოთა ხელისუფლებამ გააუქმა ძველი, მეფისდროინდელი და მენშევიკური სახელმწიფო და სასამართლო ორგანოები და შე-

ქმნა ახალი ტიპის სახელმწიფო და სასამართლო.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რეგომმა, რომელიც შექმნილი იყო დროებით, ხელისუფლების ორგანოების ჩამოყალიბებამდე, გამოსცა მთელი რიგი დეკრეტები და დადგენილებები, რომლებსაც საკანონმდებლო მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დოკუმენტებმა დიდი როლი შეასრულეს ახალგაზრდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განმტკიცების, მშრომელი მასების რევოლუციური შეგნების ამადლებისა და გათვითცნობიერების საქმეში. ამით არის სწორედ გაპირობებული მათი მნიშვნელობა საბჭოთა საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. ამ მხრივ გამოირჩევა საქართველოს სსრ რეგომის დეკრეტი № 21, (1921 წლის 15 აპრილი), „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ“, დეკრეტი № 148 (1922 წლის 23 თებერვალი) „გამოძიებისა და სამართალში მიცემულ მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირით დაკმაყოფილების შესახებ“, დეკრეტი „ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ“ (1921 წ.) და სხვ. ამ დეკრეტით ყველა წარმოება-დაწესებულებებში დაწესდა საქმის წარმოება მხოლოდ სახელმწიფო, ე. ი. ქართულ ენაზე.

იუსტიციის პირველი სახალხო კომისრები საქართველოში იყვნენ: სამსონ კარტოზია, გამოჩენილი რევოლუციონერი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე სერგო ქავთარაძე და სხვა.

საყურადღებოა, რომ რეგომმა სპეციალური დეკრეტით გააუქმა ნაფიც-ვეჟილთა ინსტიტუტი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ საბოლოოდ ხელი აიღო დაცვის ინსტიტუტზე. პირიქით, 1922-23 წლებში



მთავრობამ შექმნა დაცვის ინსტიტუტი დემოკრატიულ საწყისებზე.

ქვემოთ მოგვყავს ზოგიერთი მნიშვნელოვანი პირველი დეკრეტები, დადგენილებები და სხვა მასალა. ისინი ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ იმაზე თუ როგორ და რა

პირობებში ყალიბდებოდა ქართული საბჭოთა იურისდიქცია. დოკუმენტების ენა და სტილი დაცულია. მასალები ამ განყოფილებისათვის მოამზადა ადვოკატმა ვახტანგ სიღამონიძემ.

„რევკომის მიერ დანიშნულმა იუსტიციის დროებითმა კომისარმა ამხ. კარტოზიამ გრუკავროსტის თანამშრომლებთან ბასის დროს სთქვა: „ყოფილ მენშევიკური მთავრობის მიერ ვატანილია აუარებელ ღირებულებათა რაოდენობა, რომელიც შეადგენდა სახალხო ქონებას: ოქრო და ვერცხლი, რომელიც იყო სასამართლოში, როგორც ნივთიერი დამტკიცებანი ზოგიერთი საქმეებისა, ხალიჩები და სხვა ქონება. გაზიდულია, აგრეთვე საინვენტარო წიგნები, რაც შეუძლებლათ ხდის იმის გამორკვევას, თუ რამდენი იყო საერთოთ. ამ გარემოებამ ზელი შეუწყო ზოგიერთი ნივთების გატაცებასაც, მაგალითად, საპრობილეებიდან, მთავრობის შეცვლის უცბათ ხანში.

პირველსავე დღეს მთავრობის გამოცვლის შემდეგ 26 თებერვალს, მოწვეულ იქნა საერთო კრება იუსტიციის სამინისტროს ყოფილ მოსამსახურეებისა, რომელიც მე მოვიხმე თანამშრომლებად და აუხსენი პრინციპები საბჭოთა წესრიგის და საბჭოთა იუსტიციისა.

ყველა ადგილზე დარჩენილმა მოსამსახურეებმა განაცხადეს თავის სასამართლოს და დაწესებულებების რეორგანიზაციაში მონაწილეობის სურვილი ახალი უფლება წესრიგის შექმნაში. იუსტიციის არსებული აპარატი არ იქნება დანგრეული, არამედ იქნება შეთანხმებული საბჭოთა იუსტიციის მიზნებთან. ჩემს მიერ უკვე შედგენილია ორი კომისია: ერთი ჩემი თავმჯდომარეობით იუსტიციის რეორგანიზაციის გეგმის გამოსამუშავებლად, მეორე 5 კაცისაგან (2 თბილისის რევკომიდან და 3 საპრობილეს საქმის მცოდნე სპეციალისტებისაგან) აღწერის მოსახდენად და საპრობილეთა ქონების მისაღებათ. სამხედრო ციხე, როგორც ყველაზე პატარა დღესვე იქნება მოყვანილი სრულ წესრიგში. საპრობილეთა უფროსებათ დროებით დანიშნულნი არიან სამხედროსი — ამხ. გ. ასათიანი და მეტეხის, ამხ. მაღალაშვილი. პირველ რიგში შედგენილი იქნება რევოლუციონური ტრიბუნალი“.

გაზეთი „კომუნისტი, 1921 წ. № 12.

იუსტიციის კომისარიატში

იუსტიციის კომისარის თანაშემწედ დანიშნეს ამხ. ა. გ. ბადაშვილი, კომისარიატის საქმის მმართველად დანიშნეს ი. ს. დავიდოვი. იუსტიციის კომისარის ბრძანებით წინადადება მიეცა ყოფილი იუსტიციის სამინისტროს ყველა დაწესებულების მოსამსახურეებს დარჩენ თავთავიანთ ალაგზე ახალ განკარგულებამდე. იუსტიციის კომისარიატში სასამართლოს რეორგანიზაციამდის ახალი მოსამსახურეები არ მიიღება.

ხუთშაბათს, მარტის 3-ს შესდგა ყოფილი იუსტიციის სამინისტროს ყველა დაწესებულებათა მოსამსახურეების მრავალრიცხოვანი განსაკუთრებული კრება. კრებას დაესწრო იუსტიციის კომისარი ამხ. კარტოზია და თანაშემწე ამხ. ბადაშვილი. ამხ. პოლუმორდინოვის კრების თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ, კრებას მიმართა სიტყვით იუსტიციის კომისარმა ამხ. კარტოზიამ, რომელმაც განაცხადა: „ახალი მთავრობა მოვიდა არა იმისათვის, რომ დაამხვრიოს ქართველი ხალხის ცხოვრება, არამედ შექმნას

ახალი, უკეთესი ცხოვრება, გააუმჯობესოს მუშათა კლასის და მშრომელი ინტელიგენციის ეკონომიური მდგომარეობა. საქართველო დარჩება დამოუკიდებელ რესპუბლიკათ, — მოხდა მხოლოდ გამოცვლა ორიენტაციის. ძველი მთავრობის ორიენტაცია ანტანტაზე შეიცვალა ახალი მთავრობის ორიენტაციით რუსეთზე. აუარებელი სიმდიდრე, რომელსაც ძველი მთავრობა ხარჯავდა ჯარზე, ახლა დაიხარჯება სახალხო მეურნეობის გასაუმჯობესებლათ, ვინაიდან ჯარი ძალიან მცირე დაგვიჯდება“. შემდეგ კომისარმა სთქვა: „ — მე ვიცი, და ვხედავ რომ თქვენ ლოიალურად უყურებთ ახალ მთავრობას. ეს ასეც უნდა იყოს — ვინაიდან თქვენ ხალხის მუშაკები ხართ და არა რომელიმე კლასი. რასაკვირველია, უცბად ხალხის სამოთხის მოწყობა შეუძლებელია, მაგრამ, როდესაც ყველაფერი დამშვიდდება და შევა ნორმაში, მუშების და ინტელიგენციის ცხოვრება შედარებით ძველ ცხოვრებასთან ძალიან გაუმჯობესდება“.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა კომისრის თანაშემწე ამხ. ბადაშვილმა: „როგორც თქვენ მოისმინეთ ჩემი უფროსი ამხანაგისაგან, — სთქვა მან, — ახალი მთავრობა არ სდევნის იდეებისათვის, წინააღმდეგ გამოცხადებულია ამნისტია და ყველა თქვენ მოწოდებულნი ხართ სამუშაოთ. მე აქ მოვედი ორი მიზნით: 1). ქართველმა ხალხმა არ დაკარგოს დედა-ენა (ტომში), 2) ვიცნობ რა სასამართლოს, ყველა მოსამსახურეს, არ მიეცე საშუალება, შემოძვრეს სასამართლოში უღირსი ელემენტები, რომლებმაც უკვე წამოპყვეს თავი და აწუხებენ კომისარს თხოვნებით სამსახურში მიღების შესახებ. შემდეგ ამხ. ბადაშვილმა სთქვა, რომ სასამართლოს ახალ საბჭოთა საფუძველზე გარდასაქმნელად შესდგა საგანგებო კომისია და არსებული მოსამსახურეთა შემადგენლობა დარჩება თავთავიანთ ადგილებზე. ბოლოს ამხ. ბადაშვილმა წინადადება მისცა კრებას აირჩიონ თავიანთი წარმომადგენლები, რომელთა ხმას ის ყურადღებას მიაქცევს. მოსამსახურეთა საერთო კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: კრებამ შეიტყო რა, რომ იუსტიციის კომისარიატში შედის ამხ. ბადაშვილი, რომელიც იცნობს სასამართლოს ყველა მოსამსახურეებს და მათ საჭიროებებს, მიესალმება ამ დანიშვნას და იმედს გამოსთქვამს, რომ ამხ. ბადაშვილი შემდეგშიაც მშრომელი ელემენტის საკეთილდღეოთ იმუშავებს. შემდეგ იუსტიციის სამინისტროს მოსამსახურეთა ძველ გამგეობის სახელით ამხ. კანდელაკმა განაცხადა, რომ მოსამსახურენი ენერგიულად იმუშავებენ და მხარს დაუჭირენ ახალ მთავრობას, რომელიც დაპირებას იძლევა, რომ იგი პატივს სცემს ეროვნულ გრძნობას და გააუმჯობესებს ეკონომიურ მდგომარეობას.

დასასრულ კრებამ აირჩია იუსტიციის კომისარიატის მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის დროებითი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: როინიშვილი, კანდელაკი, მეღვინეთუხუცესი, ტყემალაძე, დიღია, პოლუმორდვინოვი, ელიაშვილი და პოპოვი“.

ბაზეთი „კომუნისტი“, 1921 წ. 5 მარტი, № 4.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1


თანახმად რევკომის განკარგულებისა მე ამა წლის თებერვლის 26, დანიშნული ვარ რევკომის კომისრად იუსტიციის უწყებაში.

რევკომის კომისარი იუსტიციის უწყებისა: კარტოზია.

ბაზეთი „კომუნისტი“, 1921 წ. № 5.

სისხლის საქმის გამოძიება

საქართველოს სსრ იუსტიციის კომისრის ამხანაგებმა ბრძანება გასცა, რომ სისხლის საქმის ყველა გამოძიება და პატიმრები გადაზავნილ იქნან წინეთ არსებულ მომრიგებელ მოსამართლეთა და სასამართლოს გამომძიებლების განკარ-



გულებაში წინეთ არსებული წესით. მილიციას არა აქვს უფლება ციხეში ჩასვან დაპატიმრებულნი, რომელთა საქმე გადაცემულია გამომძიებელსა და მომრიგებელ მოსამართლეზე, ვინაიდან დაპატიმრების უფლება, მხოლოდ სასამართლოს აქვს. დაპატიმრებულნი ციხეში არ მიიღებიან თუ მათ დაპატიმრებაზე არ იქნება სასამართლოს განაჩენი.

გაზეთი „კომუნისტი“, 1921 წ. № 7.

რევკომის ბრძანება სახელმწიფო ენა საქართველოში

მიუხედავად რევკომის არა ერთხელ გამოცემული ბრძანებისა, რომ საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული და საქართველოს ყველა დაწესებულება როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადო, ვალდებულია სასტიკად ასრულონ ეს ბრძანება, ქალაქ თბილისში მაინც იჩენს თავს პროვაკაციული მოქმედება აღნიშნული ბრძანების წინააღმდეგ. იყო შემთხვევა ქართული ენის გაძევების სურვილისა ზოგიერთ დაწესებულებებში.

რევკომი ერთხელ კიდევ ბრძანებს, სასტიკად ასრულებული იქნას მისი ბრძანება და მოისპოს პროვაკაცია მშრომელთა უფლებებისა, რომელიც არა თუ არ ცდილობს საქართველოს და მის თვითგამორკვევის მოსპობას, არამედ თავის მიზნათ ისახავს სახელმწიფო ენის დაცვასთან ერთად, გააძლიეროს და ცხოვრებაში გაატაროს საქართველოს მშრომელთა სრული თვითგამორკვევა.

უკანასკნელ დროს, გამოჩნდნენ პროვაკატორები, რომელნიც შლიან დუქნების და სხვა საზოგადო დაწესებულებებიდან ქართულ წარწერებს, უკვე რამოდენიმე კაცი ამისათვის დაპატიმრებულია და მიიღებენ ღირსეულ სასჯელს.

რევკომი აფრთხილებს ყველას, რომ ამისთანა პროვაკაციული მოქმედებისათვის, რომელიც ასუსტებს საბჭოთა მთავრობას საქართველოში, სასტიკად იქნებიან დასჯილნი“.

გაზეთი „კომუნისტი“, 1921 წ. № 11.

ბრძანება № 18

მარტის 15, 1921 წელი

დღეის რიცხვიდან შევუდექი თანამდებობის აღსრულებას იუსტიციის სახალხო კომისარი ნაზარტაიანი.

გაზეთი „კომუნისტი“, 1921 წ. № 12.

დ ე კ რ მ ი ტ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევკომისა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა, შეუდგარა სასამართლოს დარგის მოწესრიგებას რესპუბლიკაში საბჭოთა პრინციპების საფუძველზე და სცნო რა აწ არსებული სასამართლოს დაწესებულებანი, როგორც დამყარებულნი კლასთა დაყოფის პრივილეგიებზე, არ შეესაბამებიან ფართო მშრომელთა მასის მოთხოვნილებას და ვერ უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების სისწორის დაცვას, საჭიროთ დაინახა გაუქმდეს შემდეგი დაწესებულებანი:



1) სენატი, ყველა მისი განყოფილებებით (გაუქმებულ იქნეს ყოფილი დამფუძნებელი კრების მიერ გამოცემული კანონები 1919 წ. 22 ივლისის № 118-119).

2) სასამართლო პალატა დეპარტამენტებით, საპროკურორო ნაწილით და გამომძიებელთა თანამდებობანი უდიდეს და საგანგებო საქმეთა.

3) სამხედრო სასამართლო, მასთან არსებული საპროკურორო და საგამომძიებლო ნაწილებით.

4) გაუქმებული იქნეს ყოფილ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული კანონთა გამომსიწავი კომისია.

5) გაუქმებული იქნეს უმოძრაოდ დარჩენილ საქმეთა საგამომძიებლო კომისია.

შენიშვნა: ყველა ზემო ჩამოთვლილ გაუქმებულ დაწესებულებათა ლიკვიდაციის წესს ადგენს იუსტიციის სახალხო კომისარიატთან მოქმედი სალიკვიდაციო კომისია.

საპარტველო იუსტიციის სახალხო კომისარიატის ორგანიზაციის პროექტი

იუსტიციის სახალხო კომისარიატის, სახალხო კომისარი, კოლეგიის წევრნი:

I. კომისარიატის საქმეთა მართველობა.

ა) კომისარიატის კანცელარია — განკარგულება საკომისარიატოში.

ბ) პირველი შემადგენლობის საქმის წარმოება — საკომისარიატოს პირადი შემადგენლობის საქმეთა წარმოება და მსახურთა ყოველგვარი სარგოთი დაკმაყოფილება.

გ) საერთო რეგისტრატურა კორესპონდენციების განაწილება და დაგზავნა.

დ) საეგზეკუტორო ნაწილი.

ე) ინსტრუქტოროთა და თარჯიმანთა კოლეგია.

ვ) საგამომძიებლო ნაწილი — გამოძიების წარმოებაზე ტექნიკური ზედამხედველობა მთელს რესპუბლიკაში.

II. განყოფილება სასამართლოს წყობილება და ზედამხედველობა.

1. სასამართლოს სარეორგანიზაციო კომისია საბჭოთა წესებზე.

2. სასამართლო წყობილების ქვეგანყოფილება — საჩივრების მიღება და განხილვა.

3. სტატისტიკის ქვეგანყოფილება — სასამართლო დაწესებულებათა მოქმედება, გასამართლებულ საქმეთა რეგისტრაცია.

III. განყოფილება სასამართლო კონტროლისა.


განყოფილებანი:

ა) სისხლის სამართლის.

ბ) სამოქალაქო ზედამხედველობა დეკრეტების სწორ და ერთნაირ შესრულებაზე. ყველა სასამართლო დაწესებულებებში და გარდაწყვეტა ყველა იმ გაუვებრობათა და კითხვებისა, რომელნიც დაიბადება დეკრეტების გატარების დროს სისხლის და სამოქალაქო სამართლის უფლების სფეროში.

IV. განყოფილება (საფინანსო-სამეურნეო).

განყოფილებანი:



ა) ბულალტერია — საკომისარიატო ხარჯთაღრიცხვების შედგენა და კრედიტების დანაწილება უწყების დაწესებულებათა შორის, უკანასკნელთა ადგილების მიხედვით.

ბ) სამეურნეო განყოფილება — კომისარიატის ქონების გამგეობა, შენობათა მეთვალყურეობა და ტექნიკური ზედამხედველობა.

V. განყოფილება (სალიკვიდაციო კომისია) განაგებს:

ა) სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებათა ძალით გაუქმებულ ყოფილი მთავრობის სასამართლო დაწესებულებათა და იურიდიულ ინსტიტუტთა საქმეებს.

ბ) ცხოვრებაში ატარებს ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის დეკრეტს.

VI. განყოფილება (დამსჯელი)

რეფორმების დამუშავება და მათი ცხოვრებაში გატარება საპრობილეთო საქმეების სფეროში.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის ყველა ხელქვეით გამასწორებელი ადგილებისა და რესპუბლიკის დამცველ მხლებელთა რაზმის გამგეობა და კონტროლი.

VII. განყოფილება — გამომცემლობა და ცნობებისა

ა) განაგებს მუშათა ჟურნალ „პოლიტიკური უფლებას“ გამოცემას, იურიდიულ წიგნთა გამომცემლობას და სასამართლო განცხადებათა განყოფილებას.

ბ) ცნობებისა — წიგნსაცავის და იურისკონსულტაციას.

გ) განყოფილება — კოდიფიკაციური.

იუსტიციის სახალხო კომისარი ნაზარბეტიანი.

საქმის მწარმოებელი მ. შიზიანი.

ბაზეთი „კომუნისტი“, 1921 წ. № 12.

დ ე ზ უ ლ ე ბ ა

საარჩევნო უფლებებისა, სახალხო მოსამართლეთა არჩევისათვის

1. სახალხო მოსამართლის არჩევის უფლება და ის უფლება, რომ თვით იქნეს სახალხო მოსამართლეთ არჩეული, აქვს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ორივე სქესის ქვემოთ ჩამოთვლილ მოქალაქეთ, რომელნიც არჩევნების დღისათვის უკვე 18 წლისანი იქნებიან, განურჩევლად სარწმუნოებისა, ეროვნებისა, ბინადრობისა და სხვ.

სახელდობრ:

ა) ყველა მოქალაქეს, რომელიც ცხოვრების საშუალებას ნაყოფიერისა და საზოგადო-სასარგებლო შრომით პოულობს, მაგალითად, მუშები და ყოველგვარი სახისა და კატეგორიის მოსამსახურენი, რომელნიც მუშაობენ მრეწველობასა, ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობაში და აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებში.

ბ) იმ პირთ, რომელნიც აწარმოებენ შინაურ მეურნეობას და ამით პირველ პუნქტში აღნიშნულ პირთ საშუალებას აძლევენ ნაყოფიერი შრომისათვის და

გ) იმ გლეხთა, რომელნიც მოგებისათვის დაქირავებულ შრომას არ მიმართავენ.

დ) წითელ არმიელთა და წითელი ფლოტის მეზღვაურთ.

ე) იმ მოქალაქეთ, რომელნიც ამა მუხლის ა-სა და ბ-ს პუნქტებში არიან ჩამოთვლილნი, მაგრამ, რომელთაც შრომის უნარი დაუკარგავთ. **შენიშვნა:** იმ პირთ, რომელთაც საქართველოს მოქალაქეობა არ მოუპოვებიათ, აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება მიეცემათ ადგილობრივი რევოლუციონური კომიტეტის ნებადართვით, — საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხო ქვეყნების მოქალაქეთ, რომელნიც მუშათა კლასს ეკუთვნიან და არა დაქირავებული შრომით მომუშავე გლეხობას.

2. არა აქვთ უფლება აირჩიონ და არჩეულ იქნენ, თუნდაც, რომელიმე ზემოთ აღნიშნულ კატეგორიასაც ეკუთვნოდნენ:

ა) იმ პირთ, რომელნიც მოგებისათვის დაქირავებულ შრომას მიმართავენ.



ბ) იმ პირთ, რომელნიც ცხოვრობენ არა შრომის შემოსავლით, მაგალითად, კაპიტალის პროცენტით, წარმოების მოგებით, ქონების შემოსავლით და სხვა.

გ) კერძო მოვაჭრეთ, სავაჭრო-საკომერციო შუამავალთ.

დ) ბერ-მონაზონთ და ეკლესიებისა და სარწმუნოებრივი კულტის სასულიერო მსახურთ.

ე) მოსამსახურეთ და აგენტებს ყოფილი პოლიციისა და უნდადამთა ცალკე კორპუსისა, საჯაშუშო განყოფილებისა და განსაკუთრებული რაზმისა, აგრეთვე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ყველა ყოფილი მთავრობის წევრებს.

ვ) იმ პირთ, რომელნიც არსებული წესით ცნობილი არიან სულით ავადმყოფად და ჭკუაზე შეშლილად, აგრეთვე ოპეკის ქვეშ მყოფთ.

ზ) იმ პირთ, რომელნიც დასჯილნი არიან ანგარებისა და სხვა გამაწილებელი დანაშაულობისათვის კანონით ან სასამართლოს განაჩენით განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

საქართველოს სსრ რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე: ბ. მდივანი.

იუსტიციის სახალხო კომისარი ს. ქავთარაძე.

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. ივლისის 11,
თბილისი.

ბაზეთი „კომუნისტი“, 1921 წ. № 17.

იუსტიციის სახალხო კომისარიატში

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის დადგენილებით 23 იანვრის თარიღით

დანიშნული არიან:

1) ამხ. სამსონ კარტოზია იუსტიციის სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრათა და იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად და

2) ამხ. პარმენ გედევანიშვილი დროებით სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრათ.

ბაზეთი „კომუნისტი“, 1921 წ. № 21.

რევოლუციონური კომიტეტის დაკრები


ნაფიც-ვექილთა ინსტიტუტის დათხოვნის შესახებ

ვინაიდან საბჭოთა სასამართლოების შემოღების შემდეგ ნაფიც-ვექილთა ინსტიტუტის არსებობა აღარ ამართლებს თავის პირდაპირ დანიშნულებას, ამიტომ საქართველოს საბჭოთა მთელ რესპუბლიკაში ნაფიც-ვექილთა ინსტიტუტი დათხოვნილად ჩაითვალოს.

რევკომის თავმჯდომარე: ფ. მახარაძე.
იუსტიციის კომისარი: ნაზარატიანი.

1921 წ. აპრილის 7-ს.

ბაზეთი „კომუნისტი“, 1921 წ. № 39.



დ ე კ რ ე ტ ი № 21

საქართველოს სსრ რევოლუციონური კომიტეტისა
სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან
სკოლის გამოყოფის შესახებ

1) სარწმუნოება არის პირადი საქმე ყოველი მოქალაქისა, ყოველ მოქალაქეს შეუძლიან აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც მას უნდა, ანდა არც ერთი არ აღიაროს.

2) სარწმუნოება არავითარ უპირატესობას და პრივილეგიებს არ ქმნის.

3) ეკლესია განიყოფება სახელმწიფოსაგან.

4) აკრძალულია გამოცემა ადგილობრივი ხასიათის კანონებისა ან დადგენილებებისა, რომელთაც შეუძლიანთ შეზღუდვა ან შევიწროვება სინდისის თავისუფლებისა.

გაუქმებულია ყველა ის კანონები და დადგენილებანი, რომლებიც მოქალაქეს უზღუდავდნენ ან უსპობდნენ უფლებას ამა თუ, იმ სარწმუნოების აღიარებისა ან საერთოდ სარწმუნოების უარყოფის გამო.

შენიშვნა: ყველა ოფიციალური აქტებიდან ამოშლილ უნდა იქნეს ყოველგვარი ცნობა სარწმუნოების აღიარებისა ან მისი უარყოფის შესახებ.

5) სახელმწიფო ან სხვა საჯარო უფლებით მოხილ საზოგადო დაწესებულებათა მოქმედების დროს აკრძალულია სარწმუნოებრივი წესების აღსრულება.

6) სარწმუნოებრივი წესის შესრულება უზრუნველყოფილია იმდენად, რამდენადაც იგი არ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და არ ზღუდავს მოქალაქეთა უფლებებს.

ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლიან ამგვარი შემთხვევების დროს მიიღოს საჭირო ზომები საზოგადოებრივი წესრიგისა და მშვიდობიანობის დასაცავად.

7) არავის არა აქვს უფლება თავისი სარწმუნოებრივი შეხედულების მიზეზით უარი განაცხადოს მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაზე. როგორც გამოჩინის ამ მუხლისა შეიძლება ერთი სამოქალაქო ვალდებულების მეორეთი შეცვლა ყოველ ცალკე შემთხვევაში თანახმად სახალხო სასამართლოს განაჩენისა.

8) სარწმუნოებრივი ფიცი ან დაფიცება გაუქმებულია. აუცილებელ შემთხვევაში შეიძლება საჯარო აღთქმის დადება.

9) სამოქალაქო მდგომარეობის აქტებს, მხოლოდ სამოქალაქო მართველობის ორგანოები ასრულებენ, სახელდობრ სამოქალაქო მდგომარეობის აღრიცხვის განყოფილებაში.

10) სკოლა განიყოფება ეკლესიისაგან.

11) აკრძალულია სამღვთო სჯულის სწავლება სახელმწიფო, საზოგადოებრივ და იმ კერძო სასწავლებლებში, სადაც საერთო განათლების ხასიათის საგნებს ასწავლიან, სამღვთო რჯულის სწავლება ან მისი შესწავლა მოქალაქეებს შეუძლიანთ კერძოდ.

12) საეკლესიო და სარწმუნოებრივი საზოგადოებანი ექვემდებარებიან არსებულ საერთო დებულებებს საზოგადოებათა და კავშირების მოქმედების შესახებ და არ სარგებლობენ არავითარი უპირატესობით ან დანაშარებით არც სახელმწიფოსა და არც მისი ადგილობრივ ან სხვა ავტონომიური თვითმართველი ორგანოების მხრივ.

13) აკრძალულია საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა სასარგებლოთ იძულებითი გადასახადის დაწესება და აკრფვა; აკრძალულია აგრეთვე აღნიშნულ საზოგადოებათა მხრივ თავიანთი წევრების მიმართ ძალდატანებითი მოქმედება ან მათი დასჯა.

14) არც ერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არა აქვს უფლება იქონიოს საკუთრება. მათ იურიდიული პიროვნების უფლება არ აქვთ.

15) საქართველოს რესპუბლიკაში არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებულია სახალხო კუთვნილებად.

ის შენობები და ნივთები, რომლებიც მღვდელმსახურობის კულტის შესრულებისათვის არის საჭირო, მიეცემათ სათანადო სარწმუნოებრივ საზოგადოებათ სარგებლობისათვის უფასოთ ადგილობრივი ან ცენტრალური მართველობის საგანგებო დადგენილებით.



სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის დეკრეტის ცხოვრებაში გატარების წესის შესახებ გამოქვეყნებული იქნება ცალკე ინსტრუქცია იუსტიციის კომისარიატის მიერ.

საქართველოს სსრ რევოლუციონური კომიტეტის
თავმჯდომარის მოადგილე: **მ. ორახელაშვილი.**
რევოლუციონური კომიტეტის მდივანი: **შ. ბაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 15.

გაზეთი „კომუნისტი“, 1921 წ. № 40.

დადგენილება № 148

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა. გამოძიებასა და სამართალში მიცემულ მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირით დაკმაყოფილების შესახებ. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. მუშა-მოსამსახურეს, რომელიც გამოძიების ქვეშ იმყოფება, ან სამართალში მიცემული და ამის გამო სრულიად დათხოვნილია სამსახურიდან, ესაობა ჯამაგირისა და ყოველგვარი ხასიათის გასამრჯელოს მიცემა დღიდან მისი დათხოვნისა.

2. მუშა-მოსამსახურეს, რომელიც გამოძიების ან სამართლის ქვეშ იმყოფება და, ამის გამო დროებით გადაყენებულია სამსახურიდან ეძლევა ჯამაგირის ნახევარი დღიდან მისი გადაყენებისა, სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე, ხოლო, თუ იგი სასამართლოს მიერ გამართლებული იქნება, უნდა მიეცეს დანარჩენი დაკავებული თანხაც.

შენიშვნა:

ა) თუ ვინცობა სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე, რაიმე მანიფესტის ძალით საქმე მოსაპობილი იქნა, დაჭერილი ჯამაგირის ნახევარი, მანიფესტით განთავისუფლებულ პირს არ მიეცემა.

ბ) დაჭერილი ჯამაგირის ნახევარი უნდა მიეცეს გამოძიების ქვეშ მყოფ იმ მუშა-მოსამსახურეს, რომლის შესახებ გამოძიება მოსაპობილი იქნება, სათანადო დაწესებულების მიერ.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე: **ბ. აპირაძე.**
შრომის სახალხო კომისარის მოადგილე: **ბ. მიქაძე.**
რევოლუციონური კომიტეტის მდივანი: **ალ. სალარიძე.**

1922 წ. თებერვლის 23.

თბილისი—სსსახლე.

გაზეთი „კომუნისტი“, 1922 წ. № 48.

სისხლის სამართლის კანონის მოქმედება რჩევი

პროფ. თ. წამბათაძე

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით „ქმედობის დანაშაულებრივობა და დასჯადობა განისაზღვრება კანონით, რომელიც მოქმედებდა ამ ქმედობის ჩადენის დროს“.

კანონის ამ სიტყვებით თანმიმდევრულად არის გამოხატული დემოკრატიული პრინციპი: არ არის დანაშაული, არ არის სასჯელი კანონის გარეშე (nullum crimen, nulla poena sine lege).

ამ პრინციპის სწორად განხორციელებისათვის აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, დავადგინოთ, თუ რომელი კანონი ითვლება მოქმედად დანაშაულის ჩადენის დროს და, მეორე — როდის ითვლება ჩადენილად დანაშაულებრივი ქმედობა.


2. დროის ყოველ განსაზღვრულ მონაკვეთში შეიძლება მოქმედებდეს ამა თუ იმ ურთიერთობის მომწესრიგებელი მხოლოდ ერთი კანონი. ამ დებულებას ძალა აქვს სისხლის სამართლის კანონის მიმართაც, რომელიც ქმედობის დანაშაულებრივობას და დასჯადობას განსაზღვრავს.

მოქმედ კანონად ითვლება კანონი, რომელიც მიღებულია ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ და ძალაში შესულია სათანადოდ დადგენილი წესის თანახმად. საბჭოთა კავშირის კანონების ძალაში შესვლის წესი დადგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 19 ივნისის ბრძანებულებით „სსრ კავშირის კანონებისა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წ. № 14, მუხ. 275).

საქართველოს სსრ რესპუბლიკის კანონთა ძალაში შესვლის წესი დადგენილია საქართველოს სსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 4 მარტის ბრძანებულებით — „საქართველოს სსრ კანონებისა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ. № 2, მუხ. 6).

აღნიშნულ ბრძანებულებათა შესაბამისად უმაღლესი საბჭოს კანონები და დადგენილებანი, აგრეთვე უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებანი, რომელთაც საერთო მნიშვნელობა აქვთ ან ნორმატიულ ხასიათს ატარებენ, უნდა გამოქვეყნდეს სათანადო ოფიციალურ ორგანოში. ასეთ ოფიციალურ ორგანოდ საბჭოთა კავშირის კანონებისათვის ითვლება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“ და გაზეთი „იზვესტია“, ხოლო საქართველოს სსრ კანონებისათვის — „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“ და გაზეთები „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“.

სისხლის სამართლის კანონში შეიძლება პირდაპირ იქნეს აღნიშნული მისი ძალაში შესვლის დღე. ასეთ შემთხვევაში კანონი ძალაში შედის სწორედ ამ დღიდან. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი მიღებუ-



ლი იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1960 წლის 30 დეკემბერს. კანონში სისხლის სამართლის კოდექსის დამტკიცების შესახებ მითითებულია, რომ იგი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1961 წლის 1 მარტიდან. როდესაც კანონის ძალაში შესვლის მომენტი სპეციალურად მისი მიღებისას გათვალისწინებული არ არის, ასეთ შემთხვევაში კანონი ძალაში შევა მას შემდეგ, რაც 10 დღე გავა მისი გამოქვეყნების შემდეგ, ე. ი. ათდღიანი ვადის უკანასკნელი დღელამის მომდევნო დღეს. მაგალითად, „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები“ მიღებულ იქნა 1958 წლის 25 დეკემბერს, გამოქვეყნდა გაზეთ „იზვესტიაში“ 26 დეკემბერს, ხოლო ძალაში შევიდა 1959 წლის 6 იანვარს.

სასამართლოს უფლება არა აქვს ახალი კანონით განსაჯოს ქმედობა, ჩადენილი დროის იმ მონაკვეთში, როცა ახალი კანონი თუმცა გამოქვეყნებულია, მაგრამ ჯერ კიდევ ძალაში შესული არ არის.

განსაზღვრული ვადები კანონის გამოქვეყნებასა და მის ძალაში შესვლას შორის დადგენილია იმისათვის, რათა მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ გაეცნონ კანონებს და არ მოიმიჯნონ კანონის უცოდინარობა თავის გასამართლებლად უკანონო მოქმედების ჩადენის დროს.

სასამართლო ორგანოები ყოველთვის სწორად ვერ აფასებენ ზემოაღნიშნულ დებულებებს კანონის ძალაში შესვლის შესახებ. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ დ.-ს საქმე. დ. მიცემული იყო პასუხისმგებლობაში ქრთამის ზისტემატურად გამოძალვისათვის. მოსკოვის საოლქო სასამართლომ მიუყენა მას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წ. 20 თებერვლის ბრძანებულების — „მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ პირველი მუხლის მე-2 ნაწილი. დ-მა ქრთამი უკანასკნელად 1962 წ. 3 მარტს აიღო. ბრძანებულება მექრთამეობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გამოქვეყნდა 21 თებერვალს, მაშასადამე, იგი ძალაში შევიდა 4 მარტს. ამიტომ რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა არა — სწორად ცნო დ. — სათვის ახალი ბრძანებულების მიყენება და გადააკვალიფიკირა მისი მოქმედება რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 173 მუხლის მე-3 ნაწილით (იხ. «Бюллетень Верховного Суда РСФСР 1965 г.» № 1., стр. 13—14).

სისხლის სამართლის კანონი ძალას ჰკარგავს შემდეგი წესით: 1) როდესაც მას გააუქმებს ახალი კანონი; 2) როდესაც მას შეცვლის ახალი კანონი; 3) თუ თვით კანონში მითითებულია მისი მოქმედების ვადა — ამ ვადის გასვლის შემდეგ; 4) თუ კანონი გამოცემული იყო განსაზღვრულ პირობასთან ან გარემოებასთან დაკავშირებით — ამ პირობის თუ გარემოების მოსპობის შემდეგ.

სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია რამდენიმე მუხლი, რომელიც აწესებს ომის დროს ან სამხედრო ვითარებაში ჩადენილი დანაშაულის დასჯადობას. ასეთი კანონები მოქმედ კანონებად ითვლებიან, მაგრამ მათი გამოყენებისათვის აუცილებელია, რომ დანაშაული ჩადენილი იყოს ომიანობის დროს ან სამხედრო ვითარებაში.

3. მეორე საკითხი, რომელიც გარკვეული უნდა იქნეს მე-7 მუხლის სწორად გამოყენებისათვის, ეს არის ის საკითხი, თუ როდის უნდა ჩაითვალოს ქმედობა ჩადენილად. აქ მოქმედობს განსაზღვრული წესები დანაშაულის შემადგენლობის ხასიათის შესაბამისად.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ დანაშაული ჩადენილად ითვლება იმ მო-

მენტში, როდესაც შესრულებულია დანაშაულებრივი ქმედობის უკანასკნელი აქტი. უმოქმედობის შემთხვევაში დანაშაული ჩადენილად ითვლება იმ მომენტში, როდესაც სავალდებულო მოქმედება უნდა შესრულებულიყო. ორაქტიანი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის დროდ ითვლება უკანასკნელი აქტის შესრულების დრო. მაგალითად, თუ სპეკულაციის მიზნით საჭონლის შესყიდვა ერთი სისხლის სამართლის კანონის მოქმედების დროს მოხდა, ხოლო გაყიდვა — მეორე სისხლის სამართლის კანონის მოქმედების დროს, სპეკულაცია ჩადენილად ითვლება გადაყიდვის მომენტში და მას ახალი კანონი მიეყენება. ეგრეთწოდებული შედეგიანი დანაშაულის (მაგალითად, მკვლელობის) დროს, თუ აღსრულებითი მოქმედება ჩადენილია ერთი სისხლის სამართლის კანონის მოქმედების დროს, ხოლო დანაშაულებრივი შედეგი განხორციელდა უფრო გვიან, როდესაც უკვე სხვა სისხლის სამართლის კანონი მოქმედებდა, დანაშაულის ჩადენის დროდ ითვლება არა შედეგის (კაცის სიკვდილის) განხორციელების მომენტი, არამედ ქმედობის (საწამლავის მიცემის და ა. შ.) ჩადენის დრო. განგრძობადი დანაშაული ჩადენილად ითვლება იმ მომენტში, როდესაც შესრულებული იყო უკანასკნელი დანაშაულებრივი აქტი. ამიტომ თუ პირი სისტემატურად ფლანგავდა სახელმწიფო ქონებას, თანაც ამ განგრძობადი დანაშაულის ზოგიერთი აქტი მას ჩადენილი აქვს უფრო ადრე, ვიდრე გამოვიდოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 მაისის დადგენილება „განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, რომელმაც გაზარდა სასჯელი ამ სახის დანაშაულისათვის, ხოლო ზოგიერთი აქტი კი ჩადენილი აქვს აღნიშნული ბრძანებულების ძალაში შესვლის შემდეგ, ერთიანი განგრძობადი დანაშაული ჩადენილად ჩაითვლება 1961 წ. 5 მაისის ბრძანებულების მოქმედების დროს. იგივე პრინციპი მოქმედებს მყოვარი დანაშაულის მიმართაც, რომელიც ჩადენილად ჩაითვლება იმ მომენტში, როდესაც შეწყდა დანაშაულებრივი მდგომარეობა.

თანამონაწილეობით დანაშაულის ჩადენის დროდ ჩაითვლება: ამსრულებლისათვის — აღსრულებითი მოქმედების ჩადენის მომენტი, ხოლო თანამონაწილეთათვის — მათი საკუთარი მოქმედების ჩადენის მომენტი. ამიტომ, თუ დანაშაულისაკენ წაქეზების დროს ერთი სისხლის სამართლის კანონი მოქმედებდა, დანაშაულის აღსრულების დროს კი ახალი კანონი მოქმედებს, წაქეზების მოქმედება ჩადენილად ითვლება ძველი კანონის მოქმედების დროს, ხოლო ამსრულებლის მოქმედება — ახალი კანონის ძალაში შესვლის შემდეგ. წინასწარ შეუპირებელი დაფარვა ჩადენილად ითვლება არა იმ დროს, როცა ძირითადი დანაშაულია ჩადენილი, არამედ როცა დაფარვის მოქმედებაა განხორციელებული. ასევე, დანაშაულის განუცხადებლობა ჩადენილად ითვლება არა იმ მომენტში, როცა ძირითადი დანაშაულია ჩადენილი, არამედ — რამდენადაც განუცხადებლობა მყოვარი დანაშაულია — როცა შეწყდა დანაშაულებრივი მდგომარეობა.

4. დებულებიდან, რომ ქმედობის დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება მისი ჩადენის დროს მოქმედი კანონით, მე-2 მუხ. ითვალისწინებს განმარტების: კანონი, რომელიც სავსებით აუქმებს ქმედობის დასჯადობას ან ამსუბუქებს სასჯელს, ვრცელდება იმ ქმედობაზეც, რომელიც ჩადენილია მის ძალაში შესვლამდე. სისხლის სამართლის კანონის ასეთ მოქმედებას მისი უკუძალა ეწოდება.

სახელმწიფომ შეიძლება გააუქმოს ქმედობის დასჯადობა ან ამიტომ, რომ

60701

ქმედობა შეცვლილ ვითარებაში უკვე აღარ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშად, ან იმიტომ, რომ ამ ქმედობის წინააღმდეგ საბრძოლველად მას საკმარისად მიაჩნია სხვა სახის სამართლებრივ ღონისძიებათა (მაგალითად, აღმინისტრაციული სასჯელის) ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენება. ასეთი ქმედობის სისხლის სამართლის წესით დასჯა მხოლოდ იმიტომ, რომ მას ძველი კანონი სჯიდა, არა მარტო ეწინააღმდეგება სამართლიანობის გრძნობას, არამედ მიზანშეუწონელიც არის მართლმსაჯულების ერთიანობის თვალსაზრისით. სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას სულაც არ შეუწყობს ხელს ძველი, უკვე დრომოჭმული და გაუქმებული კანონის ავტორიტეტის დაცვა.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ გაუქმდა მთელი რიგი ქმედობების დანაშაულებრიობა და დასჯადობა. მოქმედ კოდექსში გათვალისწინებული არ არის, მაგალითად, ისეთი ქმედობები, როგორცაა მშვიდობიანობის დროს ბეგარის, დავალების ან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებაზე უარის განცხადება, მშვიდობიანობის დროს გადასახადის გადახდისათვის თავის არიდება, ხელისუფლების დისკრედიტირება, სისხლის აღრევა და ა. შ. იმ საკითხის გადაჭრის დროს, გაუქმებულია თუ არა ქმედობის დასჯადობა, აუცილებელია კარგად იქნეს შესწავლილი მოქმედი კოდექსით გათვალისწინებული შემადგენლობანი. ზოგჯერ ახალი კოდექსი არ გამოჰყოფს დანაშაულის შემადგენლობას, რომელიც წინად ცალკე მუხლში იყო გათვალისწინებული, დამოუკიდებელ შემადგენლობად, არამედ ითვალისწინებს მას სხვა მუხლის შემადგენლობაში. მაგალითად, ძველი კოდექსი ხელისუფლების უმოქმედობას ცალკე მუხლში ითვალისწინებდა. ახალი კოდექსით ეს დანაშაული ცალკე შემადგენლობად გამოყოფილი არ არის, მაგრამ მას მოიცავს ნაწილობრივ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შემადგენლობა (განზრახვი უმოქმედობა), ხოლო ნაწილობრივ — თანამდებობრივი დაუდევრობა (გაუფრთხილებელი უმოქმედობა). კიდევ ერთი მაგალითი. 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 150 მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული იყო არასრულწლოვანის ან შეურაცხი პირის შეგულიანება თვითმკვლელობისადმი, თუ ამას შედეგად მოჰყვა თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის მცდელობა. ახალი კოდექსი დანაშაულის ასეთ შემადგენლობას არ ითვალისწინებს. მაგრამ ეს როდი ნიშნავს აღნიშნული ქმედობის დასჯადობის გაუქმებას. ამჟამად ასეთი ქმედობა განიხილება როგორც მკვლელობა, ვინაიდან არასრულწლოვანი ან შეურაცხი პირი გამოყენებულია დამნაშავის მიერ როგორც ბრმა იარაღი მისივე საკუთარი სიცოცხლის მოსასპობად.

5. თუ დანაშაული მისი ჩადენის მომენტში უფრო მკაცრად ისჯებოდა, ხოლო შემდგომ გამოცემული კანონი მისთვის უფრო მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებს, ასეთ შემთხვევაში ძველი, უკვე გაუქმებული კანონის გამოყენება უსამართლო და მიზანშეუწონელი იქნებოდა: სახელმწიფოს ზნეობრივი უფლება არა აქვს დაადოს პირს იმაზე მკაცრი სასჯელი, ვიდრე დღეს მას აუცილებლად მიაჩნია ახალი, უფრო მსუბუქი კანონის გამოყენებას მოითხოვს აგრეთვე სოციალისტური კანონიერების ერთიანობის ამოცანა.

უფრო ლმობიერ კანონად უნდა ჩაითვალოს: ა) კანონი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის უფრო დაბალ მაქსიმუმს ან უფრო დაბალ მინიმუმს; ბ) კანონი, რომელიც ითვალისწინებს ალტერნატიულ სანქციას, თუ ეს ალტერნატივა შესაძლებლობას იძლევა დაინიშნოს უფრო მსუბუქი სანქცია; გ) კანონი,

რომელიც უცვლელად ტოვებს ძირითად სასჯელს, მაგრამ აუქმებს დამატებით სასჯელს.

თუ ახალი კანონი ერთსა და იმავე დროს კიდევაც ამძიმებს და კიდევაც ამსუბუქებს სასჯელს (მაგალითად, ითვალისწინებს უფრო დაბალ მაქსიმუმს ვიდრე ძველი კანონი, მაგრამ ამავე დროს უფრო მაღალ მინიმუმს ანდა პირიქით), გამოყენებული უნდა იქნეს ის კანონი, რომელიც საქმის ყველა (დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი) გარემოების მხედველობაში მიღებით შესაძლებლობას იძლევა დაენიშნოს კონკრეტულ დამნაშავეს უფრო მსუბუქი სასჯელი.

დანაშაულის ჩადენის დღიდან საქმის სასამართლოში განხილვამდე კანონი შეიძლება ორჯერ ან მეტჯერ შეიცვალოს, თანაც შუალედში გამოცემული კანონი შეიძლება უფრო ლმობიერი იყოს, ვიდრე დანაშაულის ჩადენის და საქმის სასამართლოში განხილვის დროის კანონი. შეუძლია თუ არა სასამართლოს მიუყენოს მსჯავრდებულს შუალედში გამოცემული უფრო მსუბუქი კანონი? ამ საკითხზე საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში და იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა ერთიანობა არ არის. უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა ფ.-ს საქმეზე მიუთითა, რომ კანონი, რომელიც არ მოქმედებდა არც დანაშაულის ჩადენის მომენტში და არც საქმის განხილვის დროს, სასამართლომ არ უნდა მიიღოს მხედველობაში, არამედ მან უნდა შეადაროს ერთმანეთს მხოლოდ დანაშაულის ჩადენის დროისა და საქმის განხილვის დროის კანონები და მათგან შეარჩიოს უფრო ლმობიერი (იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР» 1965 г. № 2, стр. 29—31).

ეს დადგენილება, ჩვენის აზრით, სწორი არ არის. თუმცა შუალედში მიღებული უფრო ლმობიერი კანონი დანაშაულის ჩადენის დროს ჯერ გამოცემული არ იყო, მაგრამ ამ კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან იგი გადაიქცა მოქმედ კანონად, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო მის ძალაში შესვლამდე ჩადენილი ქმედობის მიმართაც. დამნაშავემ შეიძინა უფლება, რათა მისი ქმედობა განსჯილი ყოფილიყო ამ უფრო მსუბუქი კანონით და ამ უფლებას შემდგომ გამოცემული უფრო მკაცრი კანონი მას ვერ ჩამოართმევს¹.


როგორც მართებულად მიუთითებენ ზაიცევი, ტიშკევიჩი და გორელიკი, „შუალედში მიღებული უფრო მსუბუქი კანონის უგულვებელყოფა გამოიწვევს საფუძვლების მე-6 მუხლში გადმოცემული პრინციპის დარღვევას, რომლის თანახმად, უფრო მკაცრ სისხლის სამართლის კანონს არ შეიძლება უკუძალა ჰქონდეს“².

უკუძალა აქვთ აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის იმ ნორმებსაც, რომლებიც სასჯელის დანიშვნის უფრო ლმობიერ წესებს ითვალისწინებენ. ასეთი ძალა ექნება, მაგალითად, კანონს, რომელიც გამორიცხავს რაიმე გარემოებას დამამძიმებელ გარემოებათა ნუსხიდან ან, პირიქით შეიტანს შემამსუბუქებელ გარემოებათა ნუსხაში ახალ გარემოებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წ. 14 თებერვლის ბრძანებულება, რომელმაც განსაზღვრა „საფუძვლების“ ძალაში შესვლის წესი, მიუთითებს, რომ „საფუძვლების“ მიერ გათვალისწინებული წესები ხან-

¹ ამ საკითხზე იხ. Зайцев, Тишкевич, Горелик, Действуют ли промежуточные уголовные законы, «Советская юстиция» 1960 г. № 1, стр. 6—8.

² იქვე, გვ. 7.



დაზმულობისა, ნასამართლობის მოხსნისა და გაქარწყლების შესახებ ვრცელდება იმ პირებზედაც, ვინც დანაშაული ჩაიდინა ან ვინც მსჯავრდებული იყო ან სასჯელი მოიხადა „საფუძვლების“ მიღებამდე (იხ. «Ведомости Верховного Совета СССР» 1959 г. № 7, стр. 60).

უკუძალა აქვთ სისხლის სამართლის კოდექსის ნორმებს ვადამდე ან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ (მუხ. მუხ. 54, 55), იმისდა მიუხედავად, აფართოებენ თუ, პირიქით, ზღუდავენ ეს ნორმები ვადამდე გათავისუფლებას. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წ. 18 დეკემბრის № 19 დადგენილებაში განმარტებულია: „კანონმდებლობა ვადამდე, პირობით ვადამდე; გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ არ წყვეტს ქმედობის დანაშაულებრიობისა და დასჯადობის საკითხს. ამიტომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 მუხლის წესი ასეთ შემთხვევებზე არ ვრცელდება და საკითხი ვადამდე, ვადამდე პირობით გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესაძლებლობის შესახებ უნდა გადაწყდეს ამ მომენტში მოქმედი კანონის შესაბამისად და არა იმ კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტში მოქმედებდა“. («Бюллетень Верховного Суда СССР» 1964 г. № 1, стр. 8).

ახალი, უფრო ლმობიერი კანონის უკუძალა შემოფარგლულია იმ საქმეებით, რომლებზედაც სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შესული არ არის. თუ ახალმა კანონმა გააუქმა ქმედობის დასჯადობა, სისხლის სამართლის საქმის წარმოება პროცესის ყოველ სტადიაში უნდა მოისპოს. თუ ახალმა კანონმა შეამსუბუქა სასჯელი, სასამართლო ვალდებულია, ვიდრე განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდოდეს, დანიშნოს სასჯელი ახალი, უფრო ლმობიერი კანონის შესაბამისად.

ახალ კანონს, რომელიც აუქმებს ქმედობის დასჯადობას ან ამსუბუქებს სასჯელს, უკუძალა აქვს იმ მომენტამდე, ვიდრე ძველი კანონით გამოტანილი განაჩენი ძალაში შევიდოდეს. ხოლო თუ უფრო მსუბუქი კანონი გამოცემულია განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, საკითხი ასეთი განაჩენის შეცვლის (ე. ი. პირის სასჯელისაგან გათავისუფლების ან უფრო ლმობიერი სასჯელის დანიშვნის) შესახებ შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ საკანონმდებლო გზით.

1961 წ. 28 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ“. ამ ბრძანებულებაში მითითებული იყო, რომ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულთათვის მსჯავრდებული პირებისათვის დანიშნული სასჯელები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი საქართველოს სსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულ სასჯელებთან, თუ კი ამ კოდექსით უფრო ლმობიერი სასჯელებია გათვალისწინებული.

ამავე დროს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს უფლება მიეცა დაედგინა, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლის დროს ეს შემსუბუქება არ გავრცელდება განსაზღვრული კატე-

გორის დანაშაულთა ჩამდენ პირებზე, თუ ამ პირების მიმართ გამოტანილი განაჩენი ძალაში შევიდა 1961 წ. 1 მარტამდე.

აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად მიღებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წ. 1 მარტის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ“ (იხ. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1961, № 7, მუხ. 121). ამ ბრძანებულებამ დაადგინა, რომ გათავისუფლებულ იქნენ სასჯელისაგან ის პირნი, რომელნიც 1961 წ. 1 მარტამდე მსჯავრდებული არიან ისეთი ქმედობისათვის, რაც ახალი კოდექსით დანაშაულად არ ითვლება. ხოლო თუ ძველი კანონებით მსჯავრდებულ დამნაშაევებს უფრო მძიმე სასჯელი აქვთ დანიშნული, ვიდრე ამას ახალი კანონი ითვალისწინებს, სასჯელი ამ პირებს შესაბამისად უნდა შეუმცირდეთ. თანაც სასჯელი აღნიშნულ პირებს უმცირდებოდათ ახალი უფრო ლმობიერი კანონით გათვალისწინებული სასჯელის ზომის მაქსიმუმამდე.

ამავე ბრძანებულების თანახმად სასჯელი არ შეუმცირდათ იმ პირებს, ვინც ახალი კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე მსჯავრდებული იყვნენ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის, ბანდიტიზმისათვის, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისათვის, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ქონების დიდი ოდენობით დატაცებისა და ყაჩაღობისათვის, აგრეთვე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს. ამასთან ერთად, თანახმად საქართველოს სსრ 1961 წ. 3 ნოემბრის ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ რესპუბლიკის სისხლის სამართლის ახალი კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით პატიმრობის ადგილებში რეჟიმის ბოროტად დამრღვევთა მიმართ სასჯელის ზომების შემსუბუქების არ გამოყენების შესახებ“ სასამართლოებს უფლება მიეცათ არ შეუმსუბუქონ სასჯელი იმ პირებს, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა და რომელნიც სასჯელის მოხდის პერიოდში არ დაადგნენ გამოსწორების გზას — ბოროტად არღვევენ რეჟიმს, ან სისტემატურად თავს არიდებენ სამუშაოს, ან პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან (საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1961 წ., № 31, მუხ. 467).

სასჯელის შემცირების შეზღუდვა, რაც ამ ბრძანებულებით არის გათვალისწინებული, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათში ჩამოთვლილი დანაშაულობანი არა მარტო ძველი კოდექსებით, არამედ ახალი კოდექსებითაც ითვლებიან განსაკუთრებით საშიშ დანაშაულებრივ ქმედებებად. ამ გარემოებაზე მითითებულია სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1964 წ. 22 დეკემბრის დადგენილებაში „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების დამტყიცების თაობაზე“ 1958 წლის 25 დეკემბერს გამოცემული კანონის მე-2 მუხლის გამოყენების სასამართლო პრაქტიკის შესახებ“. პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია, რომ აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება, მაგალითად, შურისძიების ან ეჭვიანობის მოტივით ჩადენილ მკვლელობაზე, რომელიც ძველი კოდექსით დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობად ითვლებოდა, მაგრამ ახალი კოდექსის თანახმად არ კვალიფიცირდება როგორც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა, ან, მაგალითად, ქონების ძალადობით დატაცებაზე, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ან დატაცებაზე, რომელიც დაკავშირებული არ არის ასეთი ძალადობის მუქარასთან. რაც წინათ ყაჩაღობად ითვლებოდა, ახლა კი კვალიფიცირდება როგორც გა-

ბარცვა, და ა. შ., ასეთ შემთხვევაში იმ პირის ქმედობა, რომელიც აღნიშნულ დანაშაულთათვის სასჯელს იხდის, უნდა გადაკვალიფიცირდეს ახალი კოდექსის შესაბამისი მუხლების მიხედვით, თანაც სასჯელის ზომა უნდა შემცირდეს ამ მუხლებში მითითებულ მაქსიმუმამდე. ცხადია, სასჯელის ზომა ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება აღემატებოდეს სასამართლოს განაჩენით დანიშნულ ზომას (იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1965 г. № 1, стр. 12—14).

6. უკუძალა არა აქვს სისხლის სამართლის კანონს, რომელიც: ა) აწესებს ქმედობის დასჯადობას ან ბ) ამძიმებს სასჯელს.

ისეთი კანონის უკუმითუქცევლობა, რომელიც ქმედობის დასჯადობას აწესებს, ეფუძნება პრინციპს: არ არის დანაშაული კანონის გარეშე. თუ ქმედობის ჩადენის დროს იგი არ ისჯებოდა, პირს არავითარი სისხლისსამართლებრივი წარმა არ დაურღვევია.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ზოგიერთ შემადგენლობებს, რომლებიც 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული არ იყო. ასეთია, მაგალითად, სახელმწიფოებრივი ან საზოგადო ქონების გაუფრთხილებლობით დაზიანება (მუხ. 101), იძულება (მუხ. 134), მუქარა (მუხ. 136), პირადი ქონების გაუფრთხილებლობით დაზიანება (მუხ. 158) და სხვ. ასეთი ქმედობანი, თუ ისინი მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლამდე არიან ჩადენილნი, დანაშაულად არ ჩაითვლებიან და მათ ახალი კოდექსი არ შეეფარდებათ.

ბ) ისეთი კანონის უკუმითუქცევლობა, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს, ემყარება შემდეგ მოსაზრებას: სახელმწიფოს უფლება არა აქვს დასაჯოს მოქალაქე იმაზე მკაცრად, ვიდრე იგი ქმედობის ჩადენის მომენტში ენუქრებოდა; უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენება ზოგადი პრევენციის ამოცანას არ ემსახურება.

უფრო მკაცრი კანონის გამოყენება ადრე ჩადენილი ქმედობის მიმართ ეკრძალება სასამართლოს. ხოლო თვით კანონმდებელს უფლება აქვს უკუძალა მისცეს ისეთ კანონს, რომელიც აწესებს ქმედობის დასჯადობას ან ითვალისწინებს უფრო მკაცრ სასჯელს. ვინაიდან უფრო მკაცრი კანონისათვის უკუძალის ნიციშა მოქალაქეთა თავისუფლების პრინციპს არღვევს და ამავე დროს ზოგადი პრევენციის ამოცანას არ ემსახურება, ამიტომ საბჭოთა სახელმწიფო უადრესად იშვიათ შემთხვევებში ითვალისწინებს ასეთი კანონისათვის უკუძალის მიცემას.

მუხ. 7 კრძალავს იმ კანონის უკუძალას, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს. მაგრამ კანონის უკუძალის აკრძალვა არ შეეხება კანონს, რომელიც სამედიცინო და აღმზრდელილობითი ხასიათის იძულებით ღონისძიებას აწესრიგებს, ვინაიდან ასეთი იძულებითი ღონისძიება სასჯელს არ წარმოადგენს.



შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგიათი საკითხი

ს. ქველიძე

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ღონისძიებებს ახორციელებენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შრომის უსაფრთხოების პირობების უზრუნველსაყოფად. მაგრამ შრომის დაცვის და ტექნიკის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის გამო ჯერ კიდევ ხშირია უბედური შემთხვევები, რომლებიც მნიშვნელოვან ზიანს აყენებენ მშრომელებს და მთლიანად სოციალისტურ წარმოებას.

ძირითადად საწარმოო ტრავმატიზმის მიზეზია: სამუშაოთა უსაფრთხოებაზე თანამდებობის პირთა არასაკმაო ტექნიკური ხელმძღვანელობა, შრომის პირობების შეუსაბამობა ტექნიკის უშიშროების წესებისადმი, მექანიზმების ექსპლოატაციის წესების უცოდინარობა მუშაკთა მხრივ, აგრეთვე ის, რომ მექანიზმებს არა აქვთ დამცველი მოწყობილობანი, ხოლო მომუშავეებს ინდივიდუალური დამცველი საშუალებები.

პროფკავშირის XIII ყრილობაზე ვ. ვ. გრიშინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია ამაღლდეს სამეურნეო და პროფორგანიზაციების პასუხისმგებლობა შრომის დაცვის მოთხოვნათა უთუოდ შესრულებისათვის, გაძლიერდეს კონტროლი, რათა უსაფრთხოდ წარმოებდეს სამუშაოები მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში, თავიდან იქნეს აცილებული ტრავმატიზმი და პროფესიული დაავადებანი.

საწარმოო ტრავმატიზმის ყოველი ფაქტი მიჩნეულ უნდა იქნეს, როგორც საგანგებო შემთხვევა და დაწვრილებით იხილებოდეს მუშათა კრებებზე. შეურიგებელი ვითარება უნდა შეიქმნას ტექნიკური უსაფრთხოების წესების დამრღვევთა მიმართ, გაძლიერდეს მშრომელთა აღზრდა შრომის უსაფრთხოების წესების უსასტიკესად დაცვის სულისკვეთებით.¹

ჩვენი სახელმწიფოსათვის სრულიად მოუთმენელია ასეთი დარღვევები და ბრძოლას მათ წინააღმდეგ ეწევა მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით, პირველ რიგში ორგანიზაციულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარებით, საჭირო შემთხვევაში კი სისხლისსამართლებრივი ნორმების შეფარდების გზითაც.

ცნობილია, რომ ჩვენი სისხლის სამართლის კანონის მიხედვით ტექნიკის უსაფრთხოების წესების დარღვევა დანაშაულად ითვლება და ისჯება არამართო მათ, როდესაც დამდგარია მძიმე შედეგი, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ასეთი დარღვევა „საფრთხეს უქმნიდა მუშებისა და მოსამსახურეების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას“ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლი).

აძლევს რა სისხლის სამართლის პასუხისმგებაში პირებს, რომლებმაც უხე-

¹ იხ. В. В. Гришин, Отчет о работе ВЦСПС и задачи профсоюзам СССР в период развернутого строительства коммунистического общества, Профиздат, 1963 г.

შად დაარღვიეს ტექნიკის უსაფრთხოების წესები, პროკურატურისა და გამოძიების ორგანოები ამით ხელს უწყობენ ყველა მშრომელის შრომის უფლების და ინტერესების დაცვას.

პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ამ დანაშაულობასთან ბრძოლაში პროკურატურისა და საგამომძიებლო ორგანოები ჯერ კიდევ უშვებენ სერიოზულ შეცდომებს, ზოგჯერ იჩენენ ამგვარ დანაშაულთა შეუფასებლობას და გადამწყვეტ ბრძოლას არ ეწევიან მათ წინააღმდეგ.

პროკურატურის ორგანოების ძირითადი ნაკლოვანებები ამჟამად იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად დაუსაბუთებლად უარს ამბობენ საქმის აღძვრაზე, დროულად არ ახდენენ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას და უსაფუძვლოდ შეწყვეტენ ხოლმე მას.

ანალიზი იმ საქმეთა შესწავლისა, რომელთა აღძვრაზე საგამომძიებლო და პროკურატურის ორგანოებმა უარი თქვეს გვიჩვენებს, რომ 42 პროცენტის მიმართ უარის თქმის მოტივი იყო დანაშაულის შემადგენლობის არ არსებობა (თვით დაზარალებულის გაუფრთხილებლობა), ხოლო დანარჩენი 58 პროცენტის მიმართ საქმე არ აღიძრა იმ საბაბით, რომ დამნაშავე პირები დაისაჯნენ აღმინისტრაციული ან პარტიული ხაზით და მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა თითქოს მიზანშეუწონელია, ე. ი. სხვანაირად რომ ვთქვათ, საქმე არ არის აღძრული ისეთი საფუძვლით, რასაც კანონი არ ითვალისწინებს.


ამასთან მხედველობაშია მისაღები, რომ ტექნიკის უსაფრთხოების წესების ისეთი დარღვევისათვის, რასაც მძიმე შედეგი არ მოყოლია, მასალები საგამომძიებლო ორგანოებს საერთოდ არ ეგზავნებათ და საქმეები მათზე აღძრული არ არის, რაც ასევე კანონთან შეუსაბამოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან კანონის დისპოზიცია ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მარტოოდენ ადამიანთა უბედური შემთხვევის შესაძლებლობის დადგომის გამოც.

საგამომძიებლო და სასამართლო პრაქტიკაში შეცდომებს უშვებენ იმ პირთა ქმედობის კვალიფიკაციაში, რომლებიც იმხილებიან ტექნიკის უსაფრთხოების წესების დარღვევაში. ეს იმიტაა გამოწვეული, რომ არასწორად აქვთ გაგებული დანაშაულის შემადგენლობა.

ზოგჯერ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლით კვალიფიცირდება რიგითი მუშაკის ქმედობა, რომელთაც დაუშვეს ისეთი დარღვევა, რასაც თან მოყვა ადამიანთა უბედური შემთხვევა ან სხვა მძიმე შედეგი.

ასე მაგალითად, ს. ცინცაძემ, რომელიც მუშაობდა გეგეჭკორის რაიონის სოფელ გერძემის სასკოლო მშენებლობაზე სამუშაოთა მწარმოებლად, ნება დართო საქსოფლმშენის მე-4 მექანიზებული კოლონიის მუშებს ეცხოვრათ დაუმთავრებელ სასკოლო შენობის მეორე სართულზე, არ უზრუნველყო მეორე სართული ასასვლელი კიბე-მოაჯირით და ელექტროგანათებით, რის გამოც 1965 წლის 13 ივნისს ამ შენობის მეორე სართულიდან გადმოვარდა მთვრალ მდგომარეობაში მყოფი მირიან ქერიმ ოლი მუსაევი. მუსაევმა თავი დაარტყა მოუთავებელ იატაკს, სასიკვდილოდ დაშავდა და მეორე დღეს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

გეგეჭკორის რაიონის სახალხო სასამართლომ ს. ცინცაძე ვასამართლა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლის მე-3 ნაწილით და მიუსაჯა ერთი წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს



სსრ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დაამტკიცა ეს განაჩენი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლის დისპოზიცია ითვალისწინებს ტექნიკის უსაფრთხოების, საწარმოო სანიტარიის და შრომის უშიშროების წესების დარღვევას თანამდებობის პირის მიერ, ე. ი. ითვალისწინებს უსაფრთხოების წესების დარღვევას შრომის პროცესში.

ამ შემთხვევაში ცინცადის მოქმედება დაკავშირებული არ არის შრომის პროცესთან და ამიტომ ის პასუხს არ აგებს სისხლისსამართლებრივი წესით. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1966 წლის 4 ივნისს სრულიად სამართლიანად ცინცადის მიმართ საქმე წარმოებით შეწყვიტა.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1966 წლის 19 აგვისტოს №80 ბრძანებაში „შრომისა და ტექნიკის უსაფრთხოების კანონებისა და წესების დაცვის და მათი დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ ნათქვამია, რომ ზოგიერთი გამომძიებელი, როდესაც სახეზეა რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 214, 215, 216 მუხლები (შესაბამისად საქართველოს სსრ სსკ 244, 245, 247 მუხლები), რომლებიც ითვალისწინებენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ტექნიკური უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის (ხაზგასმა ჩვენია — ს. ქ.) სამთო სამუშაოებზე, მშენებლობაზე და აფეთქების მხრივ საშიშ საწარმოებში, ბრალულ პირთა დანაშაულებრივ ქმედობას აკვალიფიცირებენ როგორც გაუფრთხილებელ მკვლევლობას, სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებას, რაც არასწორია.

პრაქტიკაში ვხვდებით აგრეთვე საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია თანამდებობის პირთა ქმედობის კვალიფიკაციასთან, როდესაც ტექნიკის უსაფრთხოების დარღვევის შედეგად დაზარალებულია პირი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს მოცემულ პროცესთან.

იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე გამოთქმულია სხვადასხვა შეხედულება. ავტორთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ იმისდამიუხედავად თუ ვინ არის დაზარალებული (შრომის პროცესის მონაწილე თუ გარეშე პირი), დამნაშავე პირის ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შრომის დაცვის წესების დარღვევისათვის (საქართველოს სსრ სსკ 146-ე მუხლი და სხვა რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები²). სხვები კი თვლიან, რომ ასეთ ვითარებაში თანამდებობის პირის ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლით, სადაც გათვალისწინებულია პიროვნების წინააღმდეგ მიმართული თანამდებობრივი დანაშაული.

ჩვენ ვთვლით, რომ სსკ 146-ე მუხლიდან გამომდინარე დაზარალებული შეიძლება იყოს მხოლოდ შრომის პროცესის მონაწილე (როგორცაა მუშა, მოსამსახურე, საწარმოში მივლინებული მუშაკი).

ეს გამომდინარეობს იქიდანაც, რომ მოცემული მუხლი მოთავსებულია მეოთხე თავში, სადაც გათვალისწინებულია „დანაშაული მოქალაქეთა პოლიტიკური და შრომითი უფლებების წინააღმდეგ“.

როგორც საქართველოს სსრ სსკ 146-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიიდან ჩანს, დასჯად ითვლება თანამდებობის პირის მიერ უშიშროების ტექნიკის, სამრეწველო სანიტარიის, ან შრომის დაცვის სხვა წესების დარღვე-

ვა, თუ ამ დარღვევას შედეგად შეიძლება მოჰყოლოდა ადამიანთა უბედურო შემთხვევა ან სხვა მძიმე შედეგი.

ამ მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით სასჯელის ზომა იზრდება, თუ ამ ქმედობას შედეგად მოჰყვა სხეულის დაზიანება ან შრომის უნარის წართმევა.

მესამე ნაწილით უფრო მკაცრი პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული, თუ იგივე ქმედობას შედეგად მოჰყვა ადამიანის სიკვდილი ან რამდენიმე პირისათვის სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება.


ამრიგად, აღნიშნული მუხლის ნაწილები კანონმდებლობის მიერ გამიჯნულია ერთმანეთისაგან მავნე შედეგის დადგენის შესაძლებლობისა და დამდგარი შედეგის ხასიათიდან გამომდინარე.

საქართველოს სსრ სსკ 146-ე მუხლის დისპოზიცია ბლანკეტური ხასიათისაა, რომლის სამივე ნაწილი მიუთითებს, როგორც საკანონმდებლო აქტებზე შრომის დაცვის სფეროში, ასევე მათს საფუძველზე გამოცემულ უშიშროების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესებზე, რომლის დარღვევაც გარკვეულ პირობებში ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ სასჯელს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სსკ 146-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ნიშნების შემადგენლობის არსებობისათვის აუცილებელია შრომის დაცვის წესებისა და მათი კანონიერების დადგენა, ხოლო ამის შემდეგ ყურადღება უნდა მიექცეს მის შინაარსს, რათა განვსაზღვროთ, შეიძლება თუ არა ამ დარღვევას მოყოლოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ნორმატულ აქტებსა და წესებს შორის, რომელიც შრომის დაცვის საკითხებს შეეხება, არის ისეთი დადგენილებები და წესები, რომლებიც მიმართულნი არიან რა შრომის პირობებისა და მათი უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ, არ ქმნიან მისი დარღვევის შემთხვევაში მუშაკთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უშუალო საფრთხეს და ამის გამო არ წარმოიშობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მაგრამ შეიძლება თუ არა შემოვიფარგლოთ საკითხის ასეთი საერთო გადაწყვეტით, შეიძლება თუ არა საერთოდ განვსაზღვროთ, თუ როძელ შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ ადმინისტრაციული ან დისციპლინალური პასუხისმგებლობა და როდის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა? თუმცა სამრეწველო საქმიანობის საწარმოთა პრაქტიკაში უსაფრთხოების წესების დარღვევისას უმეტესად გამოიყენება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ მკვეთრი ზღვარის გავლება შეუძლებელია, რადგან სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციული და დისციპლინალური პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ, არა მარტო კანონით დადგენილი უბედური შემთხვევის ან მძიმე შედეგის არსებობის შესაძლებლობა, არამედ სხვა გარემოებანიც, რომელიც შეეხება სამართალდარღვევის როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ თვისებებს.

შესაძლებელია ისეთი გარემოების დამთხვევაც, როდესაც შრომის დაცვისა და უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იცვლება ადმინისტრაციულ, დისციპლინალური პასუხისმგებლობით ან საქმე გადაეცემა განსახილველად ამხანაგურ სასამართლოს იმის გამო, რომ დაშვებული დარღვევა უმნიშვნელოა, ან საერთოდ არ ატარებს საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს.



სისხლის სამართლის ახალი კოდექსის მიღებამდე იურიდიულ ლიტერატურაში ზოგი ავტორი დანაშაულსა და გადაცდომას შრომის დაცვის დარგში ანსხვავებდა იმის მიხედვით, დარღვეული იყო კანონით გათვალისწინებული უსაფრთხოების წესები, თუ ადგლობრივი ორგანოების მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილებებით გათვალისწინებული შრომის დაცვის წესი. სხვა ავტორები ფიქრობდნენ, რომ ამ გამიჯვნას საფუძვლად უნდა ჰქონოდა ქმედობისა და სუბიექტის საშიშროება. ავტორთა ერთი ჯგუფი კი ამტკიცებდა, რომ დანაშაულსა და დისციპლინალურ გადაცდომას შორის განსხვავება განისაზღვრება სუბიექტის ბრალის ხარისხის მიხედვით.

ამ საკითხებს ეხებიან შრომის კანონმდებლობის კომენტარების ავტორებიც, რომლებიც გვთავაზობენ ვიხელმძღვანელოთ „როგორც ჩადენილი მოქმედების ხასიათით და დამდგარი შედეგის სიმძიმით, ასევე მუშაკის პიროვნების გათვალისწინებით“.³ ეს აზრი ჩვენ უფრო სწორად მიგვაჩნია.

საქმე იმაშია, რომ ადმინისტრაციული და დისციპლინალური პასუხისმგებლობა, როგორც წესი, ხორციელდება იმ სამართალდარღვევის მიმართ, რომლებიც არ იწვევენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. სისხლისსამართლებრივი დარღვევების განსხვავების კრიტერიუმი ადმინისტრაციული და დისციპლინალური გადაცდომისაგან არის ჩადენილი ქმედობის ხასიათი, მისი საშიშროება და დამდგარი შედეგის სიმძიმე. ანალოგიური დარღვევები ერთ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად, მეორე შემთხვევაში გადაცდომად. ამის გამიჯვნის ძირითადი კრიტერიუმი იქნება ყველა ზემოაღნიშნული ნიშნები, როგორც დარღვევით გამოწვეული დამდგარი, ისე შესაძლო შედეგის ხასიათი, დარღვევის საშიშროება და მისი ჩამდენი პიროვნება.

სავსებით ნათელია, არ შეიძლება ერთნაირად შეფასდეს დარღვევები, რომლებიც შეიცავენ მხოლოდ უბედური შემთხვევის შესაძლებლობას და დარღვევები, რომლებსაც შედეგად მოყვა ადამიანების უბედური შემთხვევა და მძიმე შედეგი. უკანასკნელი ყოველთვის საშიშია, ვიდრე უბედური შემთხვევის დადგომის მუქარა და როგორც წესი განიხილება როგორც დანაშაული.


ადმინისტრაციულ დელიქტად და დისციპლინალურ გადაცდომად უნდა ჩაითვალოს ისეთი დარღვევები, რომლებიც თავისი ხასიათით არ მიგვიყვანს მძიმე შედეგამდე.

ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკის შესწავლისას არ შეგვხვედრია არც ერთი შემთხვევა, როდესაც თანამდებობის პირი მიეცეთ პასუხისმგებაში „შესაძლო შედეგებისათვის“. სხვანაირად რომ ვთქვათ, პრაქტიკა არ შეესაბამება საქართველოს სსრ სს კოდექსის 146-ე მუხლის პირველ ნაწილს და სხვა რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებს.

დიდ საშიშროებას წარმოადგენს უსაფრთხოების წესების დარღვევა სამთო, სამშენებლო სამუშაოებზე და აფეთქების მხრივ საშიშ საამქროებში.

მოქმედი კანონმდებლობით შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი ხელყოფისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალის-

³ М. Г. Александров, Э. Н. Астрахан, С. С. Каринский, Н. И. Ставцева, Законодательство о труде, Комментарии, Госюриздат, М., 1954 г. стр. 63.



წინებულია არა მარტო საქართველოს სსრ სსკ 146-ე მუხლით, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებათა თავში.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 245-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სამთო სამუშაოებზე უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში ლარაკია სამთო სამუშაოებზე უსაფრთხოების წესების დარღვევაზე, რამაც ზიანი მიაყენა ადამიანის ჯანმრთელობას.

მოცემული შემადგენლობის განხილვა (საქართველოს სსრ სსკ 245-ე მუხლი) გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ ნორმაში არსებითად პასუხისმგებლობა რეგლამენტირებულია ისეთივე ქმედობისათვის, რასაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლი (თუმცა ხელყოფის ობიექტი უფრო ფართოა), რადგან სამთო სამუშაოებზე უსაფრთხოების ყველა წესი ამავე დროს არის უსაფრთხოების ის წესები, რომლებიც დაცული უნდა იქნენ აღნიშნულ სამუშაოთა შესრულებისას.⁴ ამიტომ იმ შემთხვევაში, როდესაც თანამდებობის პირები დაარღვევენ ამ წესებს, მათი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 245-ე მუხლით. იმ შემთხვევაში კი როდესაც უსაფრთხოების წესების დარღვევა დაშვებულია თანამდებობის პირების მიერ, თუნდაც სამთო მრეწველობის საწარმოში, მაგრამ არა სამთო სამუშაოთა ჩატარებასთან დაკავშირებით, მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 146-ე მუხლით.

საქართველოს სსრ სსკ 244-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამშენებლო სამუშაოთა წარმოების წესების დარღვევისათვის.

სისხლის სამართლის კოდექსის 244-ე მუხლის შინაარსიდან ჩანს, რომ პასუხისმგებლობა აღნიშნული მუხლის მიხედვით დგება მხოლოდ სამშენებლო სამუშაოების ჩატარების დროს. სამშენებლო, სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო წესების, აგრეთვე სამშენებლო მექანიზმების ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის, მაგრამ არა შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევისათვის.⁵

ამიტომ თუ კი მძიმე შედეგები დადგა სამშენებლო, სანიტარული ან ხანძარსაწინააღმდეგო წესების დარღვევის შედეგად, ბრალულ პირთა მოქმე-

4 რსფსრ 1960 წლის კომენტარებში სამთო მრეწველობის საწარმოებში თანამდებობის პირის მიერ უსაფრთხოების ტექნიკის წესების, სამრეწველო სანიტარიის ან სხვა შრომის დაცვის წესების დარღვევა სამთო სამუშაოთა ჩატარების დროს განხილულია, როგორც სამთო სამუშაოებზე უსაფრთხოების წესების დარღვევის კერძო შემთხვევა (Комментарии к уголовному кодексу РСФСР 1960 г., изд-во Ленинградского университета, 1962, стр. 13)

5 ნ. კუზნეცოვა თავის სტატიაში — „სამშენებლო სამუშაოთა წარმოების წესების დარღვევის შესახებ“ ლაპარაკობს არა სამშენებლო, სანიტარულ და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დარღვევაზე, არამედ სამშენებლო სამუშაოთა შესრულებისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევაზე (იხ. журн. Советская юстиция, 1963, № 9, стр. 18—20).

ჩვენ არასწორად მიგვაჩნია სამშენებლო სამუშაოთა წესების დარღვევისა და ამ სამუშაოებზე უსაფრთხოების წესების დარღვევის ცნებების არჩევა.

სამშენებლო, სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო წესების ცნებების არევა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა უსაფრთხოების ტექნიკის წესებთან და უსაფრთხოების ტექნიკის სხვა წესებთან ასევე დაშვებული აქვთ რსფსრ სისხლის სამართლის კომენტარების ავტორებს, 1960 წ. (დასახელებული შრომა изд-во Ленинградского университета, 1962 г. стр. 215—216).

დება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 244-ე მუხლით.

თუ ადგილი ჰქონდა სამშენებლო-სამონტაჟო უსაფრთხოების წესების დარღვევას, მაშინ დამდგარი შედეგის მიუხედავად ბრალეულ პირთა მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შრომის დაცვის წესების დარღვევისათვის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლი).

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლისაგან განსხვავებით სსკ 244-ე მუხლი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშნად ითვალისწინებს ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ფაქტიური ვნების მიყენებას ან სხვა მძიმე შედეგებს, რომლებიც დადგა სამშენებლო, სანიტარული ან ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაუცველობის შედეგად. სისხლის სამართლის კოდექსის 244-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც პირის ქმედობას შედეგად მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, სხეულის დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი.

ამგვარად, ობიექტური მხრივ საქართველოს სსრ სსკ 244-ე მუხლის განსხვავება სსკ 146-ე მუხლისაგან გამოიხატება იმაში, რომ:

ა) სსკ 244-ე მუხლით გათვალისწინებული კვალიფიკაციისათვის საჭიროა დარღვეულ იქნას სამშენებლო, ხანძარსაწინააღმდეგო ან სანიტარული წესები. სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლით ქმედობის კვალიფიკაციისათვის კი საჭიროა შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევა.

ბ) სისხლის სამართლის კოდექსის 244-ე მუხლით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა, ზემოთ აღნიშნული წესების დარღვევის შედეგად დადგეს ადამიანის სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგი, ამავე დროს სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ისეთი დარღვევისათვის, რომელსაც შეიძლება მოჰყოლოდა უბედური შემთხვევა, თუმცა ასეთი არ დამდგარა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებს, აქვს ნორმა, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას „აფეთქების მხრივ საშიშ საწარმოებსა და საამქროებში უშიშროების წესების დარღვევისათვის“ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 247-ე მუხლი).

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 247-ე მუხლის თანახმად მოცემული დარღვევისათვის პასუხისმგებლობა დგება მაშინ, თუ იგი ჩადენილია ასეთ დარღვევებზე დისციპლინალური სასჯელის დადების შემდეგ.

აქედან გამომდინარე, საწარმო-ტექნიკური დისციპლინის ან წესების დარღვევები, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხოებას აფეთქების მხრივ საშიშ საწარმოებსა და საამქროებში, წარმოადგენენ განსაკუთრებით საშიშს გარემომცემო მყოფთათვის; ზოგიერთ რესპუბლიკაში კანონმდებელმა დაადგინა უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა ასეთი დარღვევისათვის შრომის დაცვის წესების დარღვევის პასუხისმგებლობასთან შედარებით (როდესაც მან გამოიწვია ადამიანის სიკვდილი ან მძიმე დაზიანება).

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე და 247-ე მუხ-



ლები ითვალისწინებენ ერთნაირ მაქსიმალურ სასჯელს (ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა).

როგორც სასამართლო პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, არასაკმარისად წარმოებს ბრძოლა ასეთი სახის დარღვევებთან. შესწავლილი საქმეებიდან დანაშაუვთა მხოლოდ 3 პროცენტს აქვს მისჯილი თავისუფლების აღკვეთა კანონის შესაბამისად.

ჩვენის აზრით, სასამართლო პრაქტიკა არ შეესაბამება შრომის პირობების უსაფრთხოების წესების დარღვევასთან ბრძოლას.

ამ ბრძოლას არ შეესაბამება აგრეთვე იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებანი უშიშროების ტექნიკის წესების დარღვევასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი სასჯელის „მოხსნის“ საჭიროების შესახებ.

ასე მაგალითად, ვ. ფ. ზუდინი წერს, რომ „სოციალიზმიდან კომუნიზმში გარდამავალ პერიოდში მუშათა შეგნებულობისა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან ერთად მნიშვნელობა ეკარგება სისხლისსამართლებრივ სასჯელს შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის; მორალური მოვალეობა და შრომისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავენ მაღალგანვითარებულ სოციალისტურ საწარმოებში შრომის უშიშროების პირობების უზრუნველყოფას და დაცვას.“⁶

საკითხის ასე დაყენება არასწორია, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. არც „შრომისადმი კომუნისტურმა დამოკიდებულებამ“, არც „მორალურმა მოვალეობამ“ არ შეიძლება გამოირიცხოს პასუხისმგებლობა „შრომის უსაფრთხოების სფეროში ჩადენილი დარღვევის დროს“; თუ ასეთ დარღვევას ადგილი ექნება, ზუსტად ისევე, როგორც ამ ფაქტორებმა, არ შეიძლება გამოირიცხონ სისხლისსამართლებრივი სასჯელი სხვა დანაშაულისათვის.

მუშაკთა შეგნებულობის ზრდამ და შრომისადმი კომუნისტურმა დამოკიდებულებამ უნდა გამოირიცხოს შემთხვევები შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების რაიმე დარღვევისა, უნდა გამოირიცხოს საერთოდ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა და მაშინ აღარ იქნება საჭირო, სისხლისსამართლებრივი სასჯელი, რამდენადაც არ იქნება დანაშაული. მაგრამ თუ დაირღვა უსაფრთხოების წესები და ამან გამოიწვია უბედური შემთხვევა, მაშინ სისხლისსამართლებრივი სასჯელი არ შეიძლება გამოირიცხოს.

ჩვენ, რასაკვირველია, არ ვამტკიცებთ, რომ თუ ტექნიკის უშიშროების წესების თვითეულ დარღვევებს შედეგად მოყვა მძიმე შედეგი, აუცილებელია, შევეუფარდოთ თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ზღვარი, მაგრამ ამჟამად არსებული სასამართლო პრაქტიკა თხოულობს სერიოზულ კორექტირებას, თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის ამაღლებას მათ მიერ ტექნიკის უსაფრთხოების დარღვევისას.

ადამიანის, მშრომელის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ჩვენში ყველაზე დიდად ფასობს, ხოლო შრომის უშიშროება — საწარმოს კანონია.

შრომის ჯანმრთელი და უსაფრთხო პირობების უზრუნველსაყოფად ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო უდიდეს სახსრებს იღებს.

⁶ В. Ф. Зудин, Предотвращение и расследование преступления, изд-во Саратовского университета, 1963 г., стр. 277.

ყველა დაწესებულებაში არის სპეციალური განყოფილება, სადაც მიმდინარეობს შრომის უსაფრთხოების წესების სისტემატური შესწავლა, რომელთა უზრუნველყოფა აქ მომუშავეთა მოვალეობას შეადგენს და რომელთა საქმიანობა რეგლამენტირებულია ნორმატული აქტებით.

და თუ ჩვენთან ჯერ კიდევ აქვს ადილი შრომის დაცვისა და ტექნიკის უსაფრთხოების წესების დარღვევას, რომელსაც თან სდევს უბედური შედეგი ეს არის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება თავისი მოვალეობისადმი, ვინაიდან არა აქვთ სურვილი აწარმოონ დაუღალავი და ყოველდღიური ბრძოლა შრომის უსაფრთხოების წესების დაცვისათვის.

სოციალისტური სახელმწიფოს მიღწევები შრომის დაცვის სფეროში უდიდესია და ეჭვს არ იწვევს. ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს, მთლიანად გამოვრიცხოთ უბედური შემთხვევები და პროფესიული დაავადებანი საწარმოებში. სახალხო მეურნეობის ტექნიკური ღონის უდიდესი ზრდა, თანამედროვე მოწყობილობის გამოყენება, ტექნიკური უსაფრთხოებისა და საწარმოო სანიტარიის შემუშავებული ნორმების არსებობა, შრომის დაცვისა და ტექნიკის უშიშროების წესების დაცვისადმი კონტროლის ფართო სისტემის არსებობა ქმნიან აუცილებელ პირობებს და შესაძლებლობებს ახლო მომავალში მთლიანად იქნეს ლიკვიდირებული საწარმოო ტრავმატიზმი.

მაგრამ სანამ აქამდის არ მივსულვართ, საჭიროა გამოყენებულ იქნას სისხლისსამართლებრივი სასჯელის უფრო ქმედითი ღონისძიებანი. შრომის დაცვისა და ტექნიკის უსაფრთხოების წესების დარღვევა, თუ ეს საფრთხეს უქმნის ადამიანებს, განიხილება როგორც უფრო მძიმე და სერიოზული დანაშაული, ვიდრე გაუფრთხილებელი მკვლელობა.

და ის ფაქტიც, რომ ეს დანაშაული გაუფრთხილებლობითაა მომხდარი, არ შეიძლება საფუძველი გახდეს ლმობიერი სასჯელისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც ამ „გაუფრთხილებლობას“ შედეგად მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი ან სხვა მძიმე შედეგი.

მსგავსი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაძლიერება, რასაკვირველია, არ გამორიცხავს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენებას სამეურნეო ხელმძღვანელობისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის მიმართ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათ მიერ ჩადენილია შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი დარღვევები.

სასამართლოს მიერ სახელმწიფო მოხელის გამოყენების შორებები სამოქალაქო სამართლის პროცესში

თ. ლილუაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

1. სამოქალაქო საქმის განხილვისა და სწორად გადაწყვეტილების მიზნით საჭირო ხდება შინაარსითა და მნიშვნელობით სხვადასხვანაირი ფაქტების დადგენა.

იმ გარემოებათა შორის, რომლებიც უნდა დამტკიცდეს სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს, გვხვდება ისეთებიც, რომელთა დადგენა სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. კანონმდებელი ითვალისწინებს ამას. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად, „თუ საქმის განხილვის დროს წამოიჭრა ისეთი საკითხი, რომლის განმარტება მოითხოვს სპეციალურ ცოდნას მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკის ან ხელობის დარგში, სასამართლოს... შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა“.

ამრიგად, სასამართლო ექსპერტიზა წარმოადგენს სასამართლოს მიერ სპეციალური ცოდნის გამოყენების ფორმას, რომლის მეშვეობით მეცნიერების, ხელოვნებისა და ტექნიკის მიღწევები ინერგება სასამართლო პრაქტიკაში.

იბადება კითხვა: წარმოადგენს თუ არა ექსპერტიზა სასამართლოს მიერ სპეციალური ცოდნის გამოყენების ერთადერთ ფორმას, თუ სამოქალაქო სამართლის პროცესი იცნობს აგრეთვე სპეციალური ცოდნის გამოყენების სხვა ფორმებსა და საშუალებებს?

ექსპერტიზა უდავოდ წარმოადგენს სასამართლოს მიერ სპეციალური ცოდნის გამოყენების ძირითად ფორმას, მაგრამ ის არ არის ამ ცოდნის გამოყენების ერთადერთი ფორმა, როგორც ეს აღიარებულია სამოქალაქო პროცესუალურ ლიტერატურაში.

2. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად „კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს შეუძლია პროცესში მონაწილეობის მისაღებად ჩააბას სახელმწიფო მმართველობის ორგანოები ან ისინი შეიძლება პროცესში ჩაებან საკუთარი ინიციატივით საქმეზე დასკვნის მისაცემად დაკისრებულ მოვალეობათა განხორციელების მიზნით და მოქალაქეთა უფლებებისა და სახელმწიფო ინტერესების დასაცავად“.

მაშასადამე, სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, სასამართლოს შეუძლია ჩააბას პროცესში საქმეზე დასკვნის მისაცემად არა ყოველთვის, არამედ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

სამოქალაქო პროცესში ფართოდაა გავრცელებული წარმოებაში მუშა-მოსამსახურეთა დასახიჩრებით ან სხეულის სხვა დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე აღძრულ საქმეებზე დასკვნის მისაცემად შრომის დაცვის სახელმწიფო ორგანოების ჩაბმა. აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე სასამართლოები დასკვნის მისაცემად იწვევენ იმ ორგანოებს, რომლებსაც დაკისრებული აქვთ ზედამხედველობა და კონტროლი გაუწიონ შრომის დაცვის

შესახებ კანონმდებლობის, უსაფრთხოების ტექნიკის ნორმებისა და წესების დაცვის საქმეს. აღნიშნული ფუნქციის განხორციელება, კერძოდ, დაკისრებული აქვთ სახელმწიფო სამთო ტექნიკური ზედამხედველობის ორგანოებს, პროფკავშირების ტექნიკური ინსპექციის ორგანოებს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სამმართველოს და მის ორგანოებს ადგილებზე და ა. შ. ამ ორგანოების ჩაბმა საქმეზე დასკვნის მისაცემად გათვალისწინებულია, მაგალითად, წარმოებასთან დაკავშირებით მომხდარი უბედური შემთხვევების გამოკვლევისა და აღრიცხვის შესახებ დებულებით და პროფკავშირების ტექნიკური ინსპექტორის შესახებ დებულებით.¹

ფართოდაა გავრცელებული აგრეთვე სახალხო განათლების რაიონული განყოფილების მონაწილეობა პროცესში დასკვნის მისაცემად ისეთ საქმეებზე, რომლებიც ბავშვის აღზრდას, მშობლიური უფლების ჩამორთმევას, შვილად აყვანას და საერთოდ, ბავშვის ინტერესებს ეხება. აღნიშნული ორგანიზაციების ბავშვთა დაცვის ინსპექტორის მონაწილეობა პროცესში დასკვნის მისაცემად საქმეზე პირდაპირაა გათვალისწინებული ამ ინსპექტორების დებულებით.²

ფართოდაა გავრცელებული, პროცესში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების კომუნალური მეურნეობის ორგანოების მონაწილეობა, როდესაც იხილება საბინაო საქმეები.

აღნიშნული ორგანოების მონაწილეობა პროცესში საქმეზე დასკვნის მისაცემად მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკების საპროცესო კოდექსებით სავალდებულოა, როცა ამას სასამართლო აუცილებლად ცნობს.

იბადება კითხვა: იძლევიან თუ არა ეს ორგანოები დასკვნებს ისეთ საკითხებზე, რომელთა განმარტება სპეციალურ ცოდნას მოითხოვს?

სახელმწიფო მმართველობისა და პროფკავშირების ტექნიკური ინსპექციების ორგანოები, რომლებიც მოწოდებული არიან ზედამხედველობა გაუწიონ საწარმოებში, დაწესებულებებში, ფაბრიკა-ქარხნებში, ტრანსპორტზე. მშენებლობაში და ა. შ. ტექნიკური უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვას, აძლევენ სასამართლოებს დასკვნას იმის შესახებ დარღვეულია თუ არა ზიანის მიმყენებელი საწარმოს ან დაწესებულების მიერ უსაფრთხოების ნორმა და გამოწვეულია თუ არა ზიანი სწორედ ამ უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგად.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, საკითხი იმის შესახებ, დარღვეულია თუ არა სამართლებრივი ნორმა, არის იურიდიული საკითხი და მისი გარკვევა სასამართლოს კომპეტენციას შეადგენს.

ეს შეხედულება რა თქმა უნდა ძირითადად სწორია. მაგრამ უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის ნორმებისა და წესების სახით, ისე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, საქმე გვაქვს ისეთ ნორმებთან, რომელთა

¹ პროფკავშირების ტექნიკური ინსპექციის ორგანოები მართალია არ არიან სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, მაგრამ ვინაიდან ისინი ახორციელებენ საწარმოებში და დაწესებულებებში შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვის სახელმწიფო ზედამხედველობის ფუნქციას, მათი პროცესში მონაწილეობა წარმოებს იმავე ფორმით რა ფორმითაც სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა.

² იხ. «Справочник по вопросам охраны детства», 1956 г. стр. 25—27.

3. საბჭოთა სამართალი, № 2.

შინაარსს შეადგენს მეცნიერულ-ტექნიკური ნორმა ან პროფესიული წესი. ამ წესებით განსაზღვრულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია შრომის პროცესში ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში პირობების შემცირებისა და უბედური შემთხვევების თავიდან აცილებისაკენ.

წინდახედულობის ზემოთ აღნიშნული წესები ან ნორმები, როგორც ამის შესახებ სამართლიანად მიუთითებს ვ. გ. მაყაშვილი: შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც ადამიანთა ემპირიული დაკვირვების განზოგადების შედეგად ისე გამოცდილების განზოგადების საფუძველზე. ამ ნორმებს შეიძლება საფუძველად დაედოს სხვადასხვა მეცნიერების და, მათ შორის, ტექნიკური მეცნიერების დასკვნები. ეს უკანასკნელი თეორიული დებულებების, ექსპერიმენტული მონაცემებისა ან გამოკვლევის სხვა მეთოდების საფუძველზე მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ესათვის საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა ზოგჯერ დაკავშირებულია სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების დაზიანების საშიშროებასთან და, რომ აღმოიფხვრას ან შემცირდეს ეს საშიშროება აუცილებელია მიღებულ იქნეს წინდახედულობის გარკვეული ზომები.³

ხშირად სახელმწიფო აფასებს რა ტექნიკური ან მეცნიერების ამათიმი დარგის მიერ შემუშავებული წესების პრაქტიკულ მიზანშეწონილობას, ანიჭებს მათ სამართლებრივ მნიშვნელობას ამ წესებისა და ნორმების სანქციონირებისა თუ მათი სამართლებრივი ნორმის პიპოტეზაში შეტანის გზით.⁴ სწორედ ასეთ ნორმათა ჯგუფს მიეკუთვნება უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის ნორმები. ეს ნორმები, მათი მოქმედების სფეროს მიხედვით, სავალდებულო ან სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის, ან წარმოების ცალკეული დარგებისათვის, ან ვრცელდება მხოლოდ წარმოების მოცემულ დარგზე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ეჭვს არ იწვევს, რომ როგორც ამ წესების ან ნორმების შემუშავება ისე მათი ცოდნა სპეციალურ დარგს მიეკუთვნება. სპეციალურ დარგს მიეკუთვნება, მაგალითად, წინდახედულობის ისეთი ნორმების ცოდნა, რომლებიც დაცული უნდა იქნეს საექიმო საქმიანობის განხორციელების დროს, საცხოვრებელი თუ არა საცხოვრებელი შენობების მშენებლობის დროს, სხვადასხვა ქიმიური და ფიზიკური ექსპერიმენტების ჩატარების დროს, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში (მანქანათმშენებლობაში, ხეცყისდამმუშავებელ მრეწველობაში, სამთო, გაზის მრეწველობაში და ა. შ.) სამუშაოთა წარმოებისას, სამედიცინო და სამრეწველო მნიშვნელობის რენდგენის კაბინეტებისა და აპარატურის ექსპლოატაციის დროს და ა. შ.

მეცნიერულ-ტექნიკურ ან პროფესიულ წესებს ხშირ შემთხვევაში ენიჭება იურიდიული მნიშვნელობა, მაგრამ ამით ეს წესები არ კარგავენ სპეციალურ, მეცნიერულ-ტექნიკური ნორმების ხასიათს და მამასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ეძლევათ იურიდიული მნიშვნელობა, მაინც განეკუთვნებიან სპეციალური ცოდნის დარგს. ეს ნორმები, როგორც სწორად მიუთითებს ა. ს. პიგოლინი იურიდიულ ნორმებად კი არ გარდაიქმნებიან, არამედ იძენენ სამართლებრივ ფორმას, არ კარგავენ რა ტექნიკური ნორმის მნიშვნელობას.⁵

³ В. Г. Макашвили, Уголовная ответственность за неосторожность. Госюриздат. 1957 г. стр. 124—125.

⁴ В. Г. Макашвили, Указ. Соч. стр. 126. П. Е. Недбайло, Советские социальные правовые нормы, Львов, 1959 г. стр. 42—43.

⁵ А. С. Пиголин, Нормы Советского Социалистического права и их структура. «Вопросы общей теории советского права». Госюриздат. М., 1960 г. стр. 154.


ის გარემოება კი, რომ ეს ნორმები იძენენ სამართლებრივ ფორმას, არ შეიძლება რა თქმა უნდა, საფუძველი გახდეს იმისა, რომ სასამართლოს მოვთხოვით უამრავი და სხვადასხვაგვარი ტექნიკური და პროფესიული წესებისა და ნორმების ცოდნა. ამ ნორმების ცოდნისა და ანალიზის გარეშე კი შეუძლებელია დავადგინოთ თუ რომელი ტექნიკური ან პროფესიული წესია დარღვეული ზიანის მიმყენებლის მიერ, გამიზნულია თუ არა ეს წესი დამდგარი მავნე შედეგის თავიდან აცდენისათვის და გამოწვეულია თუ არა ეს შედეგი ზიანის მიმყენებლის მიერ სწორედ ამ წესის დარღვევის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: **იმ შემთხვევაში, როცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მავნე შედეგი დამდგარია ისეთი იურიდიული ნორმის დარღვევის გამო, რომლის შინაარსს წარმოადგენს ტექნიკური ნორმა ან ესათუის პროფესიული წესი, იმის დასადგენად მართლაც დარღვეულია თუ არა ეს ნორმა და დადგა თუ არა მავნე შედეგი სწორედ ამ ნორმის დარღვევის გამო, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა ან, გამოითხოვოს დასკვნა სახელმწიფო მმართველობის იმ ორგანოებისაგან, რომლებსაც ამგვარი ნორმის დაცვის ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელების სპეციალური ფუნქცია აქვთ დაკისრებული.**

შემთხვევითი არ არის, ამიტომ, რომ სასამართლო პრაქტიკაში ვერ შეგვხვდებით ვერც ერთ საქმეს ზიანის ანაზღაურების თაობაზე, გამოწვეულს წარმოებაში მუშა-მოსამსახურის დასახიჩრებით ან სხეულის სხვა დაზიანებით, სადაც არ იქნება შესაბამისი ტექნიკური ინსპექციის ორგანოს დასკვნა იმის შესახებ თუ კონკრეტულად უსაფრთხოების რომელი წესი ან ნორმა დაარღვია ზიანის მიმყენებელმა საწარმომ ან ორგანიზაციამ და გამოწვეულია თუ არა ეს ზიანი სახელდობრ ამ ნორმის დარღვევის შედეგად. ამასთან სახელმწიფო მმართველობის ორგანოები დასკვნებს იძლევიან იმ შემთხვევაში, თუ ზიანი მუშა-მოსამსახურეებს მიყენებული აქვთ წარმოებასთან დაკავშირებით, მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში. ხოლო, თუ ზიანი არ არის დაკავშირებული წარმოებასთან, მაშინ აღნიშნული საკითხების გასარკვევად სასამართლო ნიშნავს ტექნიკურ ექსპერტიზას.

იგივე შეიძლება ითქვას სახალხო განათლების რაიონული განყოფილების დასკვნებზე.

ცნობილია, რომ რიგ შემთხვევებში სამართლებრივი ნორმის ჰიპოტეზა არ შეიცავს მითითებას იმ კონკრეტულ გარემოებებზე, რომლებსაც უკავშირდება განსაზღვრული იურიდიული შედეგი. სამართლებრივი ნორმა იზღუდება მხოლოდ ზოგადი ნიშნების მითითებით. ასე მაგალითად, საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად „მშობლიური უფლება განხორციელდება მხოლოდ **შვილების ინტერესების** მიხედვით, და უკეთეს იგი მართლშეუსაბამოდ იქნა გამოყენებული, სასამართლოს შეუძლია ჩამოართვას მშობლებს მათი უფლება“. ამავე კოდექსის 51-ე მუხლის თანახმად მშობლებს უფლება აქვთ მოსთხოვონ სასარჩელო წესით შვილის დაბრუნება ყველას ვინც მას თავისთან ამყოფებს კანონის ან სასამართლოს დადგენილების გარეშე. ამასთან, „სასამართლო ფორმალურად მშობელთა უფლებით შეზღუდული არ არის და ყოველ ცალკე შემთხვევაში საკითხს მარტოოდენ **შვილის ინტერესების** მიხედვით გადაწყვეტს“. ამრიგად, ეს ნორმები შეიცავენ ზოგად მითითებებს იმის შესახებ, რომ სასამართლო საქმის გადაწყვეტის დროს უნდა გამომდინარეობდეს მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის ინტერეს-



სებიდან. ამიტომ ისეთი საქმეების გადაწყვეტის დროს, როგორცაა მშობლიური უფლების ჩამორთმევა, ბავშვის გადაცემა ერთი მშობლიდან მეორეზე, შვილად აყვანის გაუქმება და ა. შ. ამა თუ იმ **გარემოების იურიდიული მნიშვნელობის განსაზღვრა**, საქმის სწორად გადაწყვეტისათვის იურიდიული მნიშვნელობის მქონე გარემოებების განსაზღვრა, მინდობილი აქვს სასამართლოს. ამასთან დაკავშირებით, აღნიშნული კატეგორიის საქმეების გადაწყვეტისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ ორგანოების დასკვნებს, რომელთა უშუალო ამოცანას წარმოადგენს ბავშვთა აღზრდისა და განათლების საქმე. ამ ორგანოების თანამშრომლები აღჭურვილი არიან სპეციალური ცოდნით. ბავშვთა დაცვის ინსპექტორის შესახებ დებულება პირდაპირ ითვალისწინებს, რომ ასეთ ინსპექტორებად შეიძლება დაინიშნონ ისეთი პირები, რომლებსაც აქვთ პედაგოგიური განათლება და ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება. შემთხვევითი არ არის, ამიტომ, რომ ბავშვთა დაცვის ინსპექტორი არ იფარგლება მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის ცხოვრების პირობების გამოკვლევით და აფასებს გამოკვლევის შედეგად დადგენილ გარემოებებს თავისი სპეციალური ცოდნისა და კულტურულ-აღმზრდელობითი საქმიანობის შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე. ინსპექტორების დასკვნებს სასამართლო იყენებს არამარტო როგორც მტკიცების საშუალებას, არამედ ისინი დახმარებას უწევს მას იმ გარემოებათა წრის განსაზღვრაშიც, რომლებსაც მოცემულ საქმეზე შეიძლება მიეცეს იურიდიული მნიშვნელობა.

სასამართლო პრაქტიკაში და, აგრეთვე, პროცესუალურ ლიტერატურაში, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების დასკვნას ზოგჯერ განიხილავენ როგორც ექსპერტის დასკვნას. სახელმწიფო მმართველობის ორგანოების დასკვნებსა და ექსპერტის დასკვნას შორის მართლაც არის მსგავსება. ეს მსგავსება ძირითადად გამოიხატება იმაში, რომ როგორც ექსპერტის დასკვნები ისე სახელმწიფო მმართველობის ორგანოების დასკვნები წარმოადგენენ სპეციალური გამოკვლევების შედეგს და ეხებიან ისეთ ფაქტებს რომელთა დადგენა სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, ამ დასკვნებს შორის არსებობს ისეთი არსებითი განსხვავება, რომელიც არ იძლევა საფუძველს ამ დასკვნების გაიგივებისათვის. ეს განსხვავება ძირითადად მდგომარეობს შემდეგში:

1. პირი, რომელსაც მინდობილი აქვს სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება (ექსპერტი), ინიშნება და გამოკვლევას ატარებს პროცესუალური კანონმდებლობით დადგენილი წესის ზუსტი შესაბამისობით.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, რომლებიც სასამართლომ ჩაბა პროცესში საქმეზე დასკვნის მისაცემად სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ატარებს გამოკვლევას პროცესუალური კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვის გარეშე. გამოკვლევების ჩატარებისა და დასკვნის შედგენის დროს სახელმწიფო მმართველობის ორგანოები მოქმედებენ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების მიხედვით. ამ განსხვავებით გაპირობებულია ექსპერტის დასკვნისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების დასკვნის შეფასების თავისებურება. ექსპერტის დასკვნის შეფასების დროს უნდა შემოწმდეს დაცულია თუ არა ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების პროცესუალური კანონმდებლობით დადგენილი წესები და თუ აღმოჩნდება, რომ ეს წესები არ არის დაცული, მაგალითად, ექსპერტად დანიშნულია რომელიმე მხარის ნათესავი ან საერთოდ დაინტერესებული პირი, ექსპერტის დასკვნას არ შეიძლება მიეცეს

მტკიცებულებითი მნიშვნელობა. სახელმწიფო მმართველობის ორგანოს დასკვნის შეფასების დროს კი სასამართლომ უნდა შეამოწმოს დატულია თუ არა გამოკვლევის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული წესები, რომელთა შესაბამისადაც უნდა იმოქმედოს დასკვნის მიმცემმა ორგანომ და რომლებიც ბევრად განსხვავდებიან იმ წესებისაგან, რომლებიც პროცესუალური კანონმდებლობითაა დადგენილი ექსპერტიზის ჩატარებისათვის.

2. სასამართლო ექსპერტიზის ჩატარებისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის პროცესუალურ კომპეტენციას ექსპერტი იძენს მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს სპეციალური განჩინებით, ამასთან ექსპერტის ამ კომპეტენციას ზუსტად განსაზღვრავს სასამართლო.

დასკვნის მიმცემი სახელმწიფო მმართველობის ორგანოს კომპეტენცია განისაზღვრება არა სასამართლოს მიერ, არამედ კანონით. სასამართლოს განჩინება სახელმწიფო მმართველობის ორგანოს საქმეში დასკვნის მისაცემად ჩაბმის შესახებ რაიმე კომპეტენციას კი არ ანიჭებს ამ ორგანოს, არამედ ბიძგს აძლევს მას შეასრულოს ის ადმინისტრაციული სამეურნეო საქმიანობა, რაც კანონით მის კომპეტენციაში შედის. ბუნებრივია, აღნიშნული განსხვავება ექსპერტისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოს საქმიანობას შორის განაპირობებს, თავის მხრივ თავისებურებებს, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული სასამართლოს მიერ მათი დასკვნების შეფასების დროს.

3. ექსპერტსა და სასამართლოს შორის წარმოიშვება პროცესუალურ-სამართლებრივი ურთიერთობა. ამის შესაბამისად ექსპერტი (ფიზიკური პირი) არის პროცესუალური უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი.

იმ შემთხვევაში, როცა პროცესში დასკვნის მისაცემად ჩაებმება სახელმწიფო მმართველობის ორგანო, პროცესუალურ-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვება არა სასამართლოსა და იმ თანამდებობის პირს შორის, რომელსაც სახელმწიფო მმართველობის ორგანომ მიანდო გამოკვლევის ჩატარება, არამედ სასამართლოსა და სახელმწიფო ორგანოს შორის. ამის შესაბამისად, პროცესუალური უფლებებისა და მოვალეობების მატარებელია სახელმწიფო მმართველობის ორგანო (სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლი) და არა ის თანამდებობის პირი, რომელმაც თავისი ადმინისტრაციის დავალებით უშუალოდ ჩაატარა გამოკვლევა და შეადგინა დასკვნა.

ზემოთ აღნიშნული და მთელი რივი სხვა განსხვავებები და თავისებურებები, რომლებითაც ხასიათდება სახელმწიფო მმართველობისა და პროფკავშირების ტექნიკური ინსპექციის ორგანოების დასკვნები, არ გვაძლევს საფუძველს ვავაივივოთ ისინი არამართო ექსპერტის დასკვნებთან, არამედ წერილობით მტკიცებულებასთან, მოწმის ჩვენებასთან ან კანონით გათვალისწინებულ მტკიცებულების საშუალებათა სხვა რომელიმე სახესთან.

სახელმწიფო მმართველობისა და პროფკავშირების ტექნიკური ინსპექციის ორგანოების დასკვნები წარმოადგენენ მტკიცების საშუალებათა დამოუკიდებელ სახეს. მათი შეფასების დროს სასამართლომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ისეთი გარემოებებიც, რომლებიც სხვა სახის მტკიცებულებათა შეფასების დროს არ შეიძლება წარმოიშვას და ამიტომ არც უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში. სწორედ ამაში მდგომარეობს აღნიშნული ორგანოების დასკვნების გამიჯვნის პრაქტიკული მნიშვნელობა კანონით გათვალისწინებული მტკიცების სხვა საშუალებებისაგან.

3. სპეციალური ცოდნის გამოყენების აუცილებლობა სასამართლოს წინა-



შე შეიძლება წარმოიშვას არამართი იმ შემთხვევაში, როდესაც ამათუიმ, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენა სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, როცა აუცილებელია საქმეზე სპეციალური გამოკვლევის (ექსპერტიზის) ჩატარება, არამედ, აგრეთვე, იმ შემთხვევაშიაც როცა სასამართლო რომელიმე, კანონით გათვალისწინებულ მოქმედებას ატარებს.

ითვალისწინებს, რა ამას, კანონმდებელი უშვებს პედაგოგის გამოძახების შესაძლებლობას სასამართლოს მიერ არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის დროს (180-ე მუხ.), ფსიქიატრის გამოძახებას, როცა სასამართლო წყვეტს საკითხს სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე მოქალაქის იძულებით გაგზავნის შესახებ (269-ე მუხ.). პედაგოგი და ფსიქიატრი აღნიშნულ შემთხვევაში, არ ასრულებენ ექსპერტის მოვალეობას, არ ატარებენ, ისე როგორც ექსპერტები, დამოუკიდებლად რაიმე გამოკვლევას. ისინი შესაბამისად მხოლოდ ეხმარებიან სასამართლოს არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის სწორად წარმართვაში, საკითხის გადაწყვეტაში იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია მოქალაქის ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე იძულებით გაგზავნა და ხომ არ მოქმედებს ეს ამ მოქალაქის ჯანმრთელობის გაუარესებაზე.

სათანადო ცოდნით აღჭურვილი პირის გამოძახება შეიძლება საჭირო გახდეს აგრეთვე სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებულ, სხვა პროცესულურ მოქმედებათა ჩატარების დროსაც, კერძოდ, ადგილობრივი დათვალიერების დროს, ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევისას, ექსპერტიზისათვის საჭირო ნიმუშების ჩამორთმევისას და ა. შ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მთელი რიგი, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, როგორც საძიებელი იურიდიული გარემოებები, ისე დამამტკიცებელი ფაქტები, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს უშუალო აღქმის გზით, თუ რა თქმა უნდა ეს ფაქტები განაგრძობენ არსებობას საქმის განხილვის დროს.⁶ ადგილობრივი დათვალიერება, რომელიც დაწვრილებითაა რეგულირებული სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლით. სწორედ სასამართლოს მიერ ფაქტების უშუალოდ აღქმისა და შემეცნების საშუალებას წარმოადგენს. დათვალიერების წარმოების დროს სასამართლოს შეიძლება დასჭირდეს მეცნიერულ-ტექნიკური დახმარება სათანადო ცოდნით აღჭურვილი პირის მხრივ. ასეთი დახმარების აუცილებლობა ხშირად წარმოიშვება რაიმე ნივთების, საცხოვრებელი თუ არასაცხოვრებელი სადგომების დათვალიერებისას და ა. შ. სათანადო სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის დახმარება, ამ შემთხვევაში, ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ მიაქციოს სასამართლოს ყურადღება დასათვალიერებელი ობიექტების ისეთ თვისებებს, ისეთ გარემოებებს, რომლებიც, მართალია, შეიძლება აღქმული იქნან უშუალოდ, გრძნობის ორგანოების მეშვეობით, მაგრამ რომლებსაც სასამართლომ

⁶ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტის დადგენა სასამართლოს მიერ ამ ფაქტის უშუალო აღქმის გზით დასაშვებად მიაჩნიათ როგორც სამოქალაქო ისე სისხლის სამართლის პროცესში. იხ. «Теория доказательств в советском уголовном процессе. Изд-во «Юридическая литература». 1966, стр. 235—240.

ამვე შეხედულებას გამოთქამენ ვერმანის დემოკრატიული რესპუბლიკის სამოქალაქო პროცესულური სამართლის სახელმძღვანელოს ავტორები. მათი აზრით თუ დასადგენი ფაქტა განაგრძობს არსებობას საქმის განხილვის დროს, ის შეიძლება დაადგინოს სასამართლომ უშუალო აღქმის გზით. იხ. **Das Zivilprozessrecht der Deutschen Demokratischen Republik. Berlin 1957 S. 301—302.**

შეიძლება არ მიაქციოს ყურადღება და გამოჩინოს. გარდა ამისა, დათვალიერების დროს შეიძლება წარმოიშვას გვეგმებისა და ნახაზების შედარების, მათი შედგენის, სურათების გადაღების აუცილებლობა და ა. შ. ასეთ შემთხვევებში, თუ სასამართლო სათანადო ცოდნით არ არის აღჭურვილი, აუცილებელი ხდება მცოდნე პირის გამოძახება.

მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსები ითვალისწინებენ ადგილობრივი დათვალიერების ან ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევის დროს ექსპერტების მოწვევას. შეიძლება თუ არა გავიგოთ ეს ისე, რომ ექსპერტები სასამართლომ შეიძლება მოიწვიოს არა მარტო ექსპერტიზის ჩატარებისათვის არამედ, იმ შემთხვევაშიაც როცა მას ჭირდება მეცნიერულ-ტექნიკური დახმარება რაიმე პროცესუალური მოქმედების ჩატარებისას?

ექსპერტის მოწვევა სასამართლოს მიერ დათვალიერების ჩატარებისას მართლაც შეიძლება საჭირო გახდეს, როცა ეს დათვალიერება წარმოებს ექსპერტის დასკვნის შემოწმების მიზნით ან როცა, სასამართლოს აზრით, ექსპერტმა აუცილებელია გაითვალისწინოს დათვალიერების შედეგები. აღნიშნულ შემთხვევებში ექსპერტის მოწვევის აუცილებლობა გაპირობებულია იმით, რომ საქმიანობა, რომელიც უნდა შეასრულოს ექსპერტმა ორგანულადაა დაკავშირებული ექსპერტიზის ჩატარებასთან.

რაც შეეხება სასამართლოსათვის მეცნიერულ-ტექნიკური დახმარების გაწევას ამა თუ იმ პროცესუალური მოქმედების ჩატარების დროს, ამას არაფერი აქვს საერთო ექსპერტიზასთან. ხოლო ვინაიდან სასამართლოსათვის, მის მიერ რაიმე პროცესუალური მოქმედების ჩატარების დროს, მეცნიერულ-ტექნიკური დახმარების გაწევა არ შედის ექსპერტიზის შინაარსში, ექსპერტი არც შეიძლება მოწვეული იქნეს ამ მიზნით. ექსპერტი, კანონის თანახმად (81-ე მუხ.), ვალდებულია ჩაატაროს ექსპერტიზა და მისცეს სასამართლოს ობიექტური დასკვნა. პირი, რომელიც მოწვეულია სასამართლოს მიერ მხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკური დახმარების აღმოჩენის მიზნით, არავითარ დასკვნას არ ადგენს. სასამართლოს მიერ ჩატარებული პროცესუალური მოქმედების შედეგებში აისახება არა ექსპერტის დასკვნაში არამედ სათანადო სასამართლო ოქმში.

მეორე მხრივ, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე და 186-ე მუხლები საფუძველს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ კანონმდებელი გამოდის ექსპერტისა და სასამართლოს ტექნიკური დამხმარის ფუნქციის შეთავსებიდან. სხვანაირად რომ ვთქვათ საქმეზე დანიშნული ექსპერტი შეიძლება სასამართლომ გამოიყენოს აგრეთვე, ტექნიკური დახმარებისათვის, რომელიც ექსპერტიზის ჩატარებასთან უშუალოდ დაკავშირებული არ არის.

მაგრამ, იბადება კითხვა: როგორ მოვიქცეთ, როცა საქმეზე ექსპერტი დანიშნული არ არის და არც არის მისი დანიშვნა აუცილებელი ან, როცა მართალია დანიშნულია (მაგალითად, ექსპერტი — ფსიქიატრი ან ექსპერტი-ბუხჰალტერი), მაგრამ ის არ არის აღჭურვილი იმ მეცნიერულ-ტექნიკურ ცოდნით, რომელიც სასამართლოს ჭირდება ადგილობრივი დათვალიერების თუ სხვა მოქმედების ჩატარების დროს?



ეს საკითხები მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებით არ არის მოწესრიგებული.⁷

ჩვენის აზრით, ამ საკითხების მოუწესრიგებლობით არის ძირითადად გაპირობებული ის, რომ სასამართლო პრაქტიკაში ერთმანეთში ურევენ ექსპერტიზისა და ადგილობრივი დათვალიერებების ცნებებს.

პრაქტიკული შეცდომა, რომელიც ამ ცნებების ერთმანეთში არევისაგან გამომდინარეობს, მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლოები ფორმალურად ნიშნავენ ექსპერტიზას (სხვა გზა ექსპერტების მიწვევისა არ არსებობს), ფაქტიურად კი მათ ანდობენ ადგილობრივი დათვალიერების ჩატარებას, ე. ი. იმ პროცესუალური მოქმედების ჩატარებას, რომელიც კანონით (186-ე მუხ.) დაკისრებული აქვს თვით სასამართლოს.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ სამოქალაქო საქმე გ-ს სარჩელისა გამო მოპასუხე კ-ს მიმართ დედადორისა და 10 გოჭის უკან დაბრუნების თაობაზე. იმის დასასაბუთებლად, რომ აღნიშნული ღორი მართლაც მისი საკუთრებაა, მოსარჩელემ მიუთითა, რომ ღორი არის თეთრი ფერის, ადგილობრივი ჯიშის, რომ მარჯვენა ფეხზე მას აქვს ნიშანი ბაწრის მოჭერის გამო და ა. შ. სასამართლომ ამ საქმეზე დანიშნა ექსპერტი და სხვათაშორის მის წინაშე დასვა შემდეგი საკითხები: აქვს თუ არა სადავო ღორს მარჯვენა ფეხზე რაიმე ნიშანი ბაწრით შეკვრის გამო, და აღწეროს მისი გარეგნობა. ექსპერტმა მისცა დასკვნა იმის შესახებ, რომ ღორს მარჯვენა ფეხზე არ ეტყობა არავითარი ნიშანი ბაწრით მონაჭერი, ის არის ადგილობრივი ჯიშის, ფერად თეთრი, საშუალო ტანის, შესორცებით საშუალოზე დაბალი და ა. შ.⁸ საქმე, რა თქმა უნდა, იმაში არ არის, რომ აღნიშნული გარემოების დადგენას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმისათვის თუ ვის ეკუთვნის სადავო ღორი. დამახასიათებელი ის არის, რომ სასამართლომ ექსპერტიზა დანიშნა ისეთი საკითხების გასარკვევად, რომლებიც შეეძლო თვითონვე დაედგინა დათვალიერების გზით და ფაქტიურად ექსპერტს მიანდო სასამართლო დათვალიერების ჩატარება.

ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭომ აღძრა სარჩელი მოპასუხის მიმართ იმ ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ჩამორთმევის შესახებ, რომელიც აშენებულია გეგმის დარღვევის შედეგად. თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად ქალაქის საბჭომ სასამართლოს წარუდგინა საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დამტკიცებული პროექტი და იმ ოთახების განლაგების სქემა, რომლებიც უნდა ჩამოერთვას მოპასუხეს როგორც გეგმის დარღვევით აშენებული. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ დანიშნა ექსპერტი იმის გასარკვევად, მართლაც აშენებულია თუ არა ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი და გეგმით გათვალისწინებულზე ზედმეტი ოთახები. საკითხავია, რისთვის არსებობს ადგილობრივი დათვალიერების ინსტიტუტი? ვანა სასამართლოს ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ შეეძლო მოეხდინა ადგილობრივი დათვალიერება მხარეთა მონაწილეობით, როგორც ამას ითვალისწინებს საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლი და გაერკვია ეს საკითხები?

ერთ-ერთ საქმეზე, მაგალითად, სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა იმის

⁷ ერთადერთ გამონაკლის ამ მხრივ წარმოადგენს ლიტვის სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი, რომელიც მართალია ითვალისწინებს სასამართლოს მიერ ადგილობრივი დათვალიერების წარმოების დროს ექსპერტების გვერდით სპეციალისტების მოწვევას, მაგრამ არ ადგენს მათი მოწვევის წესს.

⁸ ქ. ფოთის სახალხო სასამართლოს არქივი. საქმე № 2/298-1965 წ.

გასარკვევად თუ რამდენი კვ. მ. მიწის ნაკვეთით სარგებლობენ მხარეში ექსპერტს რა თქმა უნდა არავითარი სპეციალური გამოკვლევა არ ჩატარებია, ეს არ იყო საჭირო, აზომა მიწის ნაკვეთი და მისცა სასამართლოს „დასკვნა“.⁹

ძრავალი სხვა ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება სასამართლო პრაქტიკიდან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ხშირად სასამართლო მასზე კანონით დაკისრებული ფუნქციის შესრულებას აკისრებს ექსპერტს, ამით კი ახდენს თავისი უფლებამოსილების დელეგირებას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყოველად მოუთმენელი და ჩვენი პროცესის პრინციპებისათვის საფრთხილზე შეუსაბამო მოვლენაა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მტკიცებულებათა, გამოკვლევისა და საბოლოოდ შეფასების ერთადერთ სუბიექტს წარმოადგენს სასამართლო. აქედან გამომდინარე კი, იქ შემთხვევაშიც, როცა ექსპერტიზის ჩატარება და ექსპერტის მიერ დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება დაკავშირებულია რომელიმე ნივთიერი მტკიცებულების ან სადავო ობიექტის გამოკვლევასთან, ეს სასამართლოს არ ათავისუფლებს მოვალეობისაგან თვითონვე მოახდინოს ამ ობიექტის დათვალიერება და მათი შეფასება. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციების მიერ სამოქალაქო საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა გაუქმების ერთერთ ყველაზე გავრცელებულ მიზეზს წარმოადგენს სწორედ ის გარემოება, რომ სასამართლო ახდენს რა თავისი უფლებამოსილების ექსპერტზე გადაცემას, თვითონ არ ატარებს ადგილობრივ დათვალიერებას და ამის გამო სათანადოდ ვერ აფასებს ექსპერტის დასკვნას და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს.

აღნიშნული შეცდომების აღმოფხვრის მიზნით, ჩვენის აზრით, აუცილებელია მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამის მუხლებში შეტანილი იქნეს სათანადო ცვლილებები და დამატებები. კერძოდ, ზუსტად უნდა განისაზღვროს სასამართლოს მიერ ადგილობრივი დათვალიერების, ნივთიერი მტკიცებულების გამოკვლევისა თუ სხვა პროცესუალურ მოქმედებათა ჩატარების დროს ექსპერტების მოწვევის მიზანი. ისე როგორც სისხლის სამართლის პროცესში, სამოქალაქო სამართლის პროცესშიც, საკანონმდებლო წესით, გათვალისწინებული უნდა იქნეს სასამართლოს მიერ ამა თუ იმ პროცესუალურ მოქმედებათა ჩატარების დროს სპეციალისტების მოწვევის შესაძლებლობა და ზუსტად იქნეს რეგლამენტირებული მათი მოწვევის მიზანი და წესი.

⁹ ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი, საქმე № 2/853, — 1965 წ.

იურიდიული სამსახურის სპეციფიკისათვის

დოც. ნ. შარვაშიანი,

იურიდიული სამსახურის სპეციფიკისათვის სპეციფიკისათვის

ახალ სამეურნეო რეფორმაზე გადასვლამ დღის წესრიგში დააყენა საწარმოთა და ორგანიზაციათა იურიდიული სამსახურის შემდგომი განმტკიცების საკითხი.

სოციალისტური მრეწველობის სრულყოფისათვის გატარებულ სხვა ეფექტურ ღონისძიებებთან ერთად უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მეურნეობის ეკონომიკის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ სამართლებრივ საშუალებათა აქტიურად გამოყენებას. ამაში დიდი როლი აქვს განკუთვნილი იურიდიულ სამსახურს.

საწარმოო და ტექნიკურ-ეკონომიურ ამოცანათა გადაჭრის საქმეში მეტად მნიშვნელოვანია საბჭოთა კანონების შესრულების სწორი და უნარიანი ორგანიზაცია, სოციალისტური სამართლის დიდ შესაძლებლობათა ფართო გამოყენება.

ახლა, როდესაც საწარმოს საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებად იქცა მოგებისა და პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულება, ახლებური შინაარსი ეძლევა იურიდიულ სამსახურსაც, რომლის წინაშე სერიოზული პრობლემებია დასახული სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

დღეს სულ სხვა მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო ხელშეკრულებასაც. ნებისმიერი დაგეგმვის ხასიათის მქონე დოკუმენტიდან იგი გადაიქცა საწარმოო გეგმის ფორმირების საფუძვლად და როგორც სამართლიანად ითქვა ახლა უკვე ეჭვი არ არის, რომ ძველი დრომოჭმული ფორმულა — „გეგმა — ხელშეკრულება“ გზას დაუთმობს უფრო პროგრესულ და ცხოვრებისეულ ფორმულას „ხელშეკრულება-გეგმა“.¹

სამეურნეო ანგარიშის, პირდაპირი კავშირურობის, სახელმწიფო და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლასთან ერთად იურიდიული სამსახურის წინაშე ამჟამად მრავალი საკითხია დასმული, რომელთა გადაჭრა უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია თვით იურიდიული სამსახურის სწორი ორგანიზაციისაგან, მისი მართებული რეგლამენტაციისაგან.

მთავარია სავესებით (თუ კი სადღემ ამას აქვს ადგილი), აღმოვფხვრათ წარმოება-ორგანიზაციებში სამართლებრივი მუშაობისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, განვამტკიცოთ კანონიერება წარმოების ყველა უბანზე, უფრო სრულად, ეფექტურად და შემოქმედებითად გამოვიყენოთ სამართალი ეკონომიური მიზნებისათვის. ყველაფერი ეს მოითხოვს იურიდიული სამსახურის შემდგომ განმტკიცებას, მის საქმიანობის ამაღლებას ახალ ამოცანათა დონემდე. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც კარგად არის მოწყობილი იურიდიული სამსახური საწარმო უკეთეს ეკონომიურ მაჩვენებლებს აღწევს.

¹ იხ. «Советское государство и право», 1966 г., № 11, стр. 54—68.

იურიდიული სამსახურის სრულყოფის საკითხი ამ ბოლო დროს იქცა ჩვენი პრესის მსჯელობის საგნად.

შემოტანილია მთელი რიგი წინადადება, მოხდა ამ საკითხების განზოგადება². პირველ ყოვლისა საჭიროდ იქნა მიჩნეული ერთიანი საკავშირო დებულების შემუშავება, რომელშიც დასახული იქნება იურიდიული სამსახურის ძირითადი დანიშნულებები. სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკებში გამოცემულმა ასეთმა აქტებმა თუმცა შეასრულა დადებითი როლი, მაგრამ ისინი შემუშავებულია ახალ სამეურნეო რეფორმამდე და არ ითვალისწინებენ იურიდიული სამსახურის აქტიურ, შემოქმედებით და ორგანიზაციულ როლს საწარმოს ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის სამართლებრივ საშუალებათა უკეთ გამოყენებაში.

არანაკლები მნიშვნელობისაა საკითხი იურიდიული სამსახურის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის შესახებ. სხვადასხვა სამინისტროებში გაერთიანებული იურიდიული სამსახური მოითხოვს ერთიან ხელმძღვანელობას, ისეთი ცენტრის შექმნას, რომელიც არა მარტო მეთოდურ ხელმძღვანელობას გაუწევს ამ სამსახურს, არამედ უზრუნველყოფს მისი ავტორიტეტის განმტკიცებას და სრულყოფას. ცნობილია, რომ ბევრ საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებში მოისუსტებს ხელმძღვანელობა ამ სამსახურისადმი, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მუშაობის კოორდინაციას. გამოითქვა აზრი, რომ საერთო ხელმძღვანელობა დაეკისროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, მოკავშირე რესპუბლიკებში კი მინისტრთა საბჭოებთან არსებულ იურიდიულ კომისიებს. ჩვენს რესპუბლიკაში ასეთი მეთოდური ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, მაგრამ შემდეგ იგი დაევალა სახელმწიფო არბიტრაჟს და მასთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილ იურისკონსულტთა რესპუბლიკურ საბჭოს.

უნდა ითქვას, რომ ამ ღონისძიებამ გაამართლა დანიშნულება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო არბიტრაჟთან შექმნილი იურისკონსულტთა საბჭო იურიდიული სამსახურის გამაერთიანებელ ცენტრად გადაიქცა. იგი აწყობს თათბირ-სემინარებს, საბჭოს გამსვლელ სხდომებს; ადგილებზე ამოწმებს იურიდიული სამსახურის მდგომარეობას და სხვა. იურისკონსულტთა რესპუბლიკურმა საბჭომ ამას წინათ გამსვლელი სხდომები მოაწყო ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, ჭიათურის მარგანეცის ტრესტში, გორის ბამბეულის კომბინატში და სხვა. ამ სხდომას დაესწრნენ იურიდიული სამსახურის მუშაკები, საწარმოთა აქტივი და ეკონომიური ანალიზის ბიუროს წევრები.

ზოგიერთ საწარმოსა და ორგანიზაციაში იურისკონსულტი ემორჩილება არა უშუალოდ ხელმძღვანელს, არამედ კანცელარიის გამგეს, მთავარ ბუღალტერს, საფინანსო განყოფილების გამგეს და სხვა. ეს იწვევს იურისკონსულტის უფლებების შეზღუდვას. ამის ფაქტებს ადგილი აქვს ჩვენს რესპუბლიკაშიც. ვხვდებით ისეთ ვახელმძღვანელებსაც, რომელთაც მიაჩნიათ, რომ იურისკონსულტი მოწოდებულია დაიცვას და ცხოვრებაში გაატაროს მათი ყოველი გადაწყვეტილება, იმის მიუხედავად კანონიერია იგი თუ არა. მათი აზრით იურისკონსულტმა უნდა გამოძებნოს გამოსავალი ყოველგვარი შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან. ბევრს მიაჩნია, რომ იურისკონსულტმა უნდა აწარმოოს მხოლოდ სასამართლო და საარბიტრაჟო საქმეები და ამიტომ არ იწვევენ მათ საწარმოს

² «Советская юстиция», 1967 г., № 1, стр. 14—15.

იურიდიული სამსახურის სრულყოფის საკითხი ამ ბოლო დროს იქცა ჩვენი პრესის მსჯელობის საგნად.

შემოტანილია მთელი რიგი წინადადება, მოხდა ამ საკითხების განზოგადება². პირველ ყოვლისა საჭიროდ იქნა მიჩნეული ერთიანი საკავშირო დებულების შემუშავება, რომელშიც დასახული იქნება იურიდიული სამსახურის ძირითადი დანიშნულებები. სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკებში გამოცემულმა ასეთმა აქტებმა თუმცა შეასრულა დადებითი როლი, მაგრამ ისინი შემუშავებულია ახალ სამეურნეო რეფორმადე და არ ითვალისწინებენ იურიდიული სამსახურის აქტიურ, შემოქმედებით და ორგანიზაციულ როლს საწარმოს ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის სამართლებრივ საშუალებათა უკეთ გამოყენებაში.

არანაკლები მნიშვნელობისაა საკითხი იურიდიული სამსახურის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის შესახებ. სხვადასხვა სამინისტროებში გაერთიანებული იურიდიული სამსახური მოითხოვს ერთიან ხელმძღვანელობას, ისეთი ცენტრის შექმნას, რომელიც არა მარტო მეთოდურ ხელმძღვანელობას გაუწევს ამ სამსახურს, არამედ უზრუნველყოფს მისი ავტორიტეტის განმტკიცებას და სრულყოფას. ცნობილია, რომ ბევრ საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებში მოისუსტებს ხელმძღვანელობა ამ სამსახურისადმი, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მუშაობის კოორდინაციას. გამოითქვა აზრი, რომ საერთო ხელმძღვანელობა დაეკისროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, მოკავშირე რესპუბლიკებში კი მინისტრთა საბჭოებთან არსებულ იურიდიულ კომისიებს. ჩვენს რესპუბლიკაში ასეთი მეთოდური ხელმძღვანელობა დაეკისრებულ იქნა მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, მაგრამ შემდეგ იგი დაევალა სახელმწიფო არბიტრაჟს და მასთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილ იურისკონსულტთა რესპუბლიკურ საბჭოს.

უნდა ითქვას, რომ ამ ღონისძიებამ გაამართლა დანიშნულება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო არბიტრაჟთან შექმნილი იურისკონსულტთა საბჭო იურიდიული სამსახურის გამაერთიანებელ ცენტრად გადაიქცა. იგი აწყობს თათბირ-სემინარებს, საბჭოს გამსვლელ სხდომებს; ადგილებზე ამოწმებს იურიდიული სამსახურის მდგომარეობას და სხვა. იურისკონსულტთა რესპუბლიკურმა საბჭომ ამას წინათ გამსვლელი სხდომები მოაწყო ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, ჭიათურის მარგანეცის ტრესტში, გორის ბამბეულის კომბინატში და სხვა. ამ სხდომას დაესწრნენ იურიდიული სამსახურის მუშაკები, საწარმოთა აქტივი და ეკონომიური ანალიზის ბიუროს წევრები.

ზოგიერთ საწარმოსა და ორგანიზაციაში იურისკონსულტი ემორჩილება არა უშუალოდ ხელმძღვანელს, არამედ კანცელარიის გამგეს, მთავარ ბუღალტერს, საფინანსო განყოფილების გამგეს და სხვა. ეს იწვევს იურისკონსულტის უფლებების შეზღუდვას. ამის ფაქტებს ადგილი აქვს ჩვენს რესპუბლიკაშიც. ვხვდებით ისეთ ვახელოვანებებსაც, რომელთაც მიაჩნიათ, რომ იურისკონსულტი მოწოდებულია დაიცვას და ცხოვრებაში გაატაროს მათი ყოველი გადაწყვეტილება, იმის მიუხედავად კანონიერია იგი თუ არა. მათი აზრით იურისკონსულტმა უნდა გამოძებნოს გამოსავალი ყოველგვარი შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან. ბევრს მიაჩნია, რომ იურისკონსულტმა უნდა აწარმოოს მხოლოდ სასამართლო და საარბიტრაჟო საქმეები და ამიტომ არ იწვევენ მათ საწარმოს

² «Советская юстиция», 1967 г., № 1, стр. 14—15.

ხელმძღვანელთან მოწვეულ სამეურნეო ხასიათის თათბირებზე, არ აცნობენ მათ ზემდგომ ორგანოებიდან დაშვებულ ბრძანებებს. ზოგიერთ ხელმძღვანელს კი საერთოდ მიაჩნია, რომ იურისკონსულტის მოვალეობის შესრულება შეუძლია ყველა მუშაკს და შტატების შემცირებისას პირველ რიგში იურისკონსულტის შემცირებისაკენ მიისწრაფვის. იურისკონსულტთა საბჭოს პრეზიდიუმს არაერთხელ მოუხდა ბრძოლა ასეთ მოვლენათა წინააღმდეგ.

იურისკონსულტების მუშაობას მეტად უშლის ხელს ის, რომ ისინი უზრუნველყოფილი არ არიან ნორმატიული ხასიათის მასალით და საჭირო იურიდიული ლიტერატურით. კიდევ მეტი, ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ საწარმოს ხარჯზე იურიდიული ლიტერატურის გამოწერას.

ჯერ კიდევ სახალხო მეურნეობის საბჭოს არსებობის პერიოდში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ზოგიერთმა მუშაკმა საფინანსო დარღვევად მიიჩნია საწარმოს და ორგანიზაციის ხარჯზე იურიდიული ლიტერატურის გამოწერა და დაუშვა მითითება დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ ასეთი ხარჯების გაცემა, მაშინ, როდესაც მთავრობის მიერ დამტკიცებულ დებულებებში გარკვევით არის მითითებული, რომ საწარმო, ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს იურისკონსულტი სამართლებრივი ნორმებით და იურიდიული ლიტერატურით. ამას ემატება ისიც, რომ ჩვენს წიგნის მალახიებში იშვიათად თუ შეუძლია ვინმეს შეიძინოს აუცილებელი იურიდიული ლიტერატურა გამოცემის მცირე ტირაჟის გამო.

იურიდიულ სამსახურს ხელს უშლის ცალკეულ იურისკონსულტთა მიერ თავის მოვალეობის ზერელე შესრულება. ეს უმთავრესად შეეხება ისეთ იურისკონსულტს, რომელიც კანონის საწინააღმდეგოდ იცავს ხელმძღვანელთა მიერ განხორციელებულ ამა თუ იმ მცდარ ღონისძიებას და ამით არასწორ შეხედულებას და წარმოდგენას ნერვავს ხელმძღვანელში იურიდიული სამსახურის მიზანდასახულების შესახებ. ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი ავტორიტეტით სარგებლობს საწარმოში იურისკონსულტი.

იშვიათი როდია შემთხვევა, როცა სასამართლო და არბიტრაჟის ორგანოებამდე გადასაწყვეტად მიაქვთ უდავო საქმეები, რაც ამ ორგანოთა გადატვირთვასთან ერთად იწვევს ზედმეტი ხარჯების გაწევას და დროის დაკარგვას.

იურიდიული სამსახურის ზოგიერთი მუშაკი დაბალი კვალიფიკაციისაა და არ ცდილობს ამაღლოს ცოდნა. ამას ემატება ისიც, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები სახალხო მეურნეობის იურიდიულ მომსახურებისათვის საჭირო კვალიფიციურ კადრებს საკმარისი რაოდენობით ვერ უშვებენ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად უმაღლეს სასწავლებლებში და იურიდიულ სკოლებში შემოღებულია სამეურნეო სამართლის კურსის სწავლება, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ახლა საჭიროა მოვამზადოთ ამ პროფილის სპეციალური კადრები. ამ მხრივ კი ჯერ ბევრია გასაკეთებელი. საკმარისია ითქვას, რომ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთაგან არცერთს არბიტრაჟში და მსხვილ საწარმოში იურიდიულ სამსახურთან გათვითცნობიერებისათვის პრაქტიკა არ გაუვლია, რადგან ასეთი არსებული პროგრამით გათვალისწინებული არ არის.

საჭიროა გაფართოვდეს აგრეთვე პრაქტიკა იურიდიული სამსახურის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სემინარების მოწყობისა.

ზოგიერთ საწარმოში იურიდიული სამსახურის მუშაკები არ ეწევიან კანონების, შრომის კანონმდებლობის საჭირო პროპაგანდას, არ ეწინააღმდეგებიან


საწარმოს ხელმძღვანელებს, როდესაც ისინი არღვევენ კანონმდებლობას, კვალიფიციური დახმარების ვარეშე ტოვებენ პროფესიული კავშირების ადგილობრივი ორგანოების და ამხანაგური სასამართლოების მუშაობას.

ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადყო ჩვენს რესპუბლიკაში შრომის კანონმდებლობისა და შრომის დისციპლინის დარღვევათა, განსაკუთრებით კი უკანონო დათხოვნათა გაუმართლებელი ფაქტები. ამას ადგილი არ ექნებოდა საწარმოთა და ორგანიზაციათა იურიდიული სამსახური ენერგიულ ზომებს რომ იღებდეს. ჯერ კიდევ სუსტია იურიდიული სამსახურის კავშირი პროკურატურის ორგანოებთან. არ ხდება განზოგადება და ანგარიშგება საწარმოში იურიდიული სამსახურის მიერ ჩატარებული მუშაობისა. იურისკონსულტები სუსტად მონაწილეობენ პროფილაქტიკურ ზომების გატარებაში სოციალისტური ქონების დატაცების შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად. სუსტია საზოგადოებრიობის და ამხანაგური სასამართლოების მონაწილეობა წვრილ გატაცებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბევრ საწარმოში არ არის რეგლამენტირებული საპრეტენზიო საქმიანობა. ჩვენ მართებულად მიგვაჩნია საპრეტენზიო მუშაობის კოორდინირება იურიდიულ სამსახურთან. საპრეტენზიო საქმიანობას სათავეში უნდა ედგეს და ხელმძღვანელობდეს საწარმოს, ორგანიზაციის იურისკონსულტი. მაშინ გამოირიცხული იქნებოდა „მამებლობისა“ და „კეთილმეზობლობის“ ისეთი რეციდივები, როცა მიწოდების ვალდებულებათა დარღვევისას მომარაგება-გასაღების სამსახურის ხელმძღვანელობა ცდილობს არ „აწყენინოს“ უპირო მომწოდებელს და არ გადაახდევინოს მას კანონით დადებული პირგასამტეხლო ან ჯარიმა, მაშინ როდესაც ეს ყველა სოციალისტური საწარმოს პირდაპირი მოვალეობაა. თბილისში ცოტა როდია ისეთი საწარმო, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ თვითონ პროდუქციის უკმარისობისათვის საგრძნობ საპირგასამტეხლო თანხებს იხდის, თავისი მხრივ უწყისივრო მომწოდებელთა მიმართ „ამნისტირებას“ იჩენს.

იურიდიული სამსახურის სრულყოფისათვის ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ამ სამსახურის უზრუნველყოფა სათანადო მომზადებული კადრებით. მათი ავტორიტეტის აწევა. თვითკრიტიკის სახით უნდა ითქვას, რომ საზოგადოებრივ საწყისებზე ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟთან შექმნილი იურისკონსულტთა საბჭო ჯერ კიდევ უნარიანად ვერ ხელმძღვანელობს იურიდიული სამსახურის განმტკიცების საქმეს. ადგილებზე, მსხვილ ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში მოქმედმა საფილიალო საბჭოებმა შეასუსტეს მუშაობა. ეს დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს, ისინი უნდა გადაიქცნენ ადგილებზე იურისკონსულტთა მუშაობის გამაერთიანებელ ცენტრებად, ხოლო რესპუბლიკურმა საბჭომ უფრო აქტიურად უნდა დააყენოს საკითხი სამინისტროების და უწყებათა ხელმძღვანელობის წინაშე იურიდიული სამსახურის მიმართ მეტი მზრუნველობის გაწევის უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის, სახელმ-



წიფო არბიტრაჟთან არსებულ იურისკონსულტთა რესპუბლიკური საბჭოს და საქპროფსაბჭოს იურიდიული ბიუროს მიერ ამას წინათ მოწვეულ თათბირზე ფართოდ იყო განხილული ჩვენს რესპუბლიკაში იურიდიული სამსახურის სწორად წარმართვის საკითხები.

სამართლიანად იყო შენიშნული, რომ ჩვენი რესპუბლიკის საგამომცემლო ორგანიზაციები, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც, ქართულ ენაზე ნაკლებად უშვებენ სახელმძღვანელოებს სამოქალაქო და შრომის სამართალში, ლიტერატურას სამეურნეო კანონმდებლობის დარგში, კრებულს, ცნობარებს და სხვ.

წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, რომ მოეწყოს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტების სტაჟირება გარკვეული ვადით, როგორც ამას ადგილი აქვს ახლად კურსდამთავრებულ სხვა პროფილის იურიდიული კადრების მიმართ.

მართებულად იქნა ცნობილი, რათა ჩვენი მრეწველობის საწარმოებში და ორგანიზაციებში იურისკონსულტის თანამდებობაზე მუშაკთა მიღებისას ანგარიში გაეწიოს იურისკონსულტთა რესპუბლიკური საბჭოს რეკომენდაციას. ეს გამორიცხავდა ამ თანამდებობებზე შემთხვევით და შეუსაბამო პირთა გაფორმებას.

მეურნეობის ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით იურიდიული სამსახური მეტ ყურადღებას მოითხოვს. მისი სრულყოფა და ახალ ამოცანათა დონემდე აყვანა პირველხარისხოვან საკითხად უნდა იქნას მიჩნეული.

საქართველოს საქვეყნო ავტორთა და მწიგნობართა დაზარალებულის როლი დამდგარ პედაგოგში

დღითი-დღე იზრდება ქალაქის ელექტრო და ავტომოტოტრანსპორტის როლი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ტრანსპორტის გამართულ მუშაობაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ახალი ხუთწლიანი გეგმის შესრულება. ხუთწლედში საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა უნდა გადიდდეს 1,7-ჯერ, მოსახლეობის გადაყვანა ავტობუსებით 1,9-ჯერ, შესაბამისად უნდა გაიზარდოს საავტომობილო პარკი მოსახლეობის მომსახურებისათვის.

ამ ამოცანათა შესრულებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქალაქის ელექტრო და ავტომოტოტრანსპორტის მუშაკთა მხრივ მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დაცვას, რომელთა დარღვევას დიდი ზარალი მოაქვს სახალხო მეურნეობისათვის და ხშირად თან სდევს ადამიანთა მსხვერპლი, დაზიანება. ამ წესების დარღვევა მიმართულია საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ და მიჩნეულია საშიშ დანაშაულად.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანს ტარდება მნიშვნელოვანი პროფილაქტიკური ღონისძიებანი, მაინც ხშირია ელექტრო და ავტომოტოტრანსპორტზე მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევა ისეთი შედეგებით, რომელიც სისხლის სამართლის წესით ისჯება.


ამ კატეგორიის საქმეების რაოდენობა ჩვენს რესპუბლიკაში საგრძნობლად დიდია. მისი შემცირებისა და შემდეგ კი მთლიანად აღმოფხვრის მიზნით პროფილაქტიკური ღონისძიებათა გაძლიერე-

ბასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომხდარი დანაშაულის სწორად გამოძიებას და დამნაშავეთა სამართლიანად დასჯას. მაგრამ ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ ფაქტებს, როდესაც ავარიის საქმეები უხარისხოდაა გამოძიებული და განხილული. ამის გამო დამნაშავენი დაუსჯელი რჩებიან ან მათ ეფარდებათ ჩანადერთან აშკარად შეუსაბამო სასჯელები.

ძირითადად ეს გამოწვეულია იმით, რომ წინასწარი გამოძიების და საქმის სასამართლოში განხილვის დროს ზოგიერთი გამოძიებელი და მოსამართლე ყურადღებას არ აქცევს ეგრეთწოდებულ „ფორმალურ“ საკითხების დროულად ვარკვევას, არ ითვალისწინებს, რომ შემდგომ ეს საკითხები საბედისწერო გავლენას მოახდენს საქმის მსვლელობაზე.

გამომძიებლები ყურადღებას აქცევენ რა მხოლოდ დანაშაულის მტკიცებულებათა შეგროვება-გამაგრებას, მხედველობიდან უშვებენ მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხს — დამდგარ შედეგში დაზარალებულის როლის ვარკვევას. ამ საკითხის ვარკვევის გარეშე კი, გამოტანილი განაჩენი არასდროს არ იქნება მყარი. ავარიის საქმეებზე დაზარალებულის როლი სპეციფიურია და ის საქმეები, სადაც დამდგარ შედეგში დაზარალებულის როლი ვარკვეული არ არის, ნახევრად გამოძიებულია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ შერეული ბრალის ზუსტად დადგენაზე დამოკიდებულია სასჯელის ზომის და სამოქალაქო სარჩელის სწორად გადაწყვეტის ბედი. შერეული ბრალის დროულად დაუზუსტებლობა იწვევს უსწო-



რო განაჩენების გამოტანას, რომლებიც შემდეგ უქმდებიან. ეს კი მნიშვნელოვნად ასუსტებს ავარიში დამნაშავე პირთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობას.

ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ 1962 წლის 17-18 აპრილის განაჩენით ე. ა. იცნო დამნაშავედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241 მუხლის III ნაწილით და შეუფარდა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სასჯელის მოხდის შემდეგ 2 წლით ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევა. აღნიშნული განაჩენი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის 1962 წლის 15 მაისის განჩინებით დატოვებული იქნა ძალაში.

ა-ს მსჯავრი დაედო მასში, რომ 1962 წლის 13 თებერვალს, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მართავდა რა საკუთარ ავტომანქანა „ვოლგას“, რუსთაველის პროსპექტზე სვლის დროს დაარღვია მოძრაობის წესები, მანქანა დააჯახა მოქ. ი-ს და მიაყენა სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება, დაზარალებული მიატოვა და მიიმალა.

საქმე ერთი შეხედვით თითქოს სწორად იყო გამოძიებული და განხილული, მაგრამ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1966 წლის 14 მარტს სრულიად საფუძვლიანად გააუქმა ამ საქმეზე გამოტანილი განაჩენი და განჩინება, და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადასცა იმავე რაიონის სახალხო სასამართლოს სხვა შემადგენლობას შემდეგი მითითებით: „სასამართლოს მიერ დადგენილ განაჩენში უნდა ითქვას შემთხვევისას დაზარალებულის მიერ ჰქონდა ადგილი თუ არა მოძრაობის წესების დარღვევას, რაში გამოიხატება ასეთი და რამდენად არის იგი მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან“. ამ საკითხის დაზუსტება შეიძლებოდა, და აუცილებელიც იყო წინასწარ გამოძიებაშივე. მაგრამ რატომ-

დაც გამოძიებული ამით არ დაინტერესებულა. ამის გამო, მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელი უკვე მოხდილი ჰქონდა ხელმეორედ იქნა გასამართლებული.

მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ 1966 წლის 10-11 თებერვალს, ბრალდებულ რ. ჩ-ს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241 მუხლის III ნაწილით მიუსაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

რ. ჩ-ს მსჯავრი დაედო მასში, რომ 1964 წლის 27 სექტემბერს მართავდა რა საკუთარ ავტომანქანა „მოსკვიჩს“, ქ. თბილისიდან 63-ე კილომეტრზე დაარღვია მოძრაობის წესების მეორე მუხლის მოთხოვნა, გადავიდა გზის მარცხენა მხარეს და დაეჯახა ფასანაურისაკენ მიმავალ მოტოციკლს. მოტოციკლზე მსხდომი ორი პირი მძიმედ დაზიანდა. საქმის მასალებით საფიქრებელი იყო, რომ საქმე გვექონდა შერეულ ბრალთან, მაგრამ ამის გარკვევით არც გამოძიება და არც სასამართლო არ დაინტერესებულა. უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ გააუქმა განაჩენი და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაუგზავნა იმავე რაიონის სახალხო სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

შერეული ბრალის განხილვისას ცალკე უნდა ითქვას ფეხით მოსიარულეთა როლზე დამდგარ შედეგში. როგორც სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს ხშირად ავარიები გაპირობებულია ფეხით მოსიარულეთა მიერ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევით. ეს საკითხი საქმის აღძვრისთანავე მოითხოვს დაზუსტებას. აუცილებელია ბრალდების მასალების შეგროვება-გამაგრებასთან ერთად პარალელურად დადგინდეს ხომ არ მიუძღვის ბრალი დამდგარ შედეგში დაზარალებულს, რაში გამოიხატება იგი და რამდენად განაპირობა მან დამდგარი შედეგი.

უკეთეს საქმეზე აუცილებელია ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნა, ექს-

პერტს უნდა დაესვას კითხვები დაზარალებულის მიმართაც. გამოძიებლის ან სასამართლოს დადგენილებაში ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ ზუსტად უნდა იყოს ფიქსირებული მონაცემები, რაც დაზარალებულის მიმართ გამოძიების მსვლელობის დროს შეგროვდა და დადგინდეს ყველა საკითხი, რაც საჭიროა ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებისათვის.

ექსპერტებმა კი თავიანთ დასკვნაში ყველა მონაცემების გათვალისწინებით ზუსტად უნდა უზასუხონ მოძრაობის რა წესებია დარღვეული თვით დაზარალებულის მიერ და მოცემულ პირობებში განაპირობა თუ არა მან დამდგარი შედეგი.

ეს საჭიროა, იმიტომაც, რომ ზოგიერთი უპატიოსნო დაზარალებული მომხდარი ფაქტის შესახებ არასწორ ცნობებს აწვდის საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს. დროზე არ იყო რა ვარკვეული მათი როლი დამდგარ შედეგში, ცდილობს დამნაშავე მძღოლის დახსნას მოსალოდნელი სასჯელისაგან, ან პირადი მოტივებით სურს უდანაშაულო პირის დასჯა. გვხდება ისეთი შემთხვევებიც როცა დაზარალებული ჩვენების გადათქმას ახერხებს საქმის სასამართლოში განხილვის დროს და აცხადებს, რომ დამდგარ შედეგში მძღოლს ბრალი არ მიუძღვის, რომ თითქოს ისინი თვით შეეჯახნენ მანქანას და დაზიანდნენ თავისი მიზეზით. თუ საქმეში სხვა მტკიცებულებანი არ არის, მეტად ძნელი ხდება სწორი განაჩენის გამოტანა. ასე შეიძლება გამოეცალოს საფუძველი აშკარა დამნაშავეს დასჯას ან შედარებით ნაკლები სასჯელი შეეფარდოს მას. ეს კი ძირს უთხრის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დამრღვევთა მიმართ დასჯითი პოლიტიკის სწორად გატარებას.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი:

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის

სახალხო სასამართლოს 1965 წლის 12 ნოემბრის განაჩენით მ. მ-ნი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის II ნაწილით და შეეფარდა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამასთან ჩამოერთვა მანქანის მართვის უფლება სამი წლით.

განაჩენი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის 1965 წლის 27 ნოემბრის განჩინებით დატოვებული იქნა ძალაში.

მ-ას მსჯავრი დაედო მასში, რომ 1965 წლის 28 იანვარს მართავდა საკუთარ ავტომანქანა „მოსკვიჩს“ ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე დაარღვია მოძრაობის წესები, დაეჯახა მოქ. მ-ს და მიაყენა ამ უკანასკნელს სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება. საქმეზე ჩატარებულმა ავტოტექნიკურმა ექსპერტიზამ გამოძიებას მისცა ალტერნატიული დასკვნა, ხოლო დაზარალებულის როლის საკითხი ექსპერტიზის წინაშე არ დასმულა. მ-ს ბრალდება დამყარებული იყო მხოლოდ და მხოლოდ დაზარალებულის მიერ მიცემულ ერთმანეთის საწინააღმდეგო ჩვენებებზე აგებულ ექსპერტიზის დასკვნაზე. დაზარალებულმა მ. საკასაციო საჩივარში აღნიშნა: „მომეჩვენა, რომ მანქანა პირდაპირ ჩემსკენ მოდიოდა, დავიბენი, ჩავვარდი შიშში, რის გამოც არ შემიძლია განვსაზღვრო მარცხენა მხრიდან მარჯვენაზე რამდენი მეტრი გავიარე, გავცდი თუ არა მანქანის კორპუსს, უკან დავბრუნდი მანამდე თუ მანქანის კორპუსის გაცდენის შემდეგ კარგად არ მახსოვს, ამიტომ შემთხვევის ვითარების განსაზღვრა ხსენებული საკითხების დაზუსტებით მე არ შემიძლია, ასეთ პირობებში მ.-ს ასე მკაცრად დასჯა ჩემში სინდისის ქეჯნას იწვევს“.

როგორც აღვნიშნეთ ექსპერტი გადაჭრით ვერ ამტკიცებდა მ-ს მიერ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევას, დაზარალებულმაც წინასწარ გამოძიებაში მიცემული არაობიექტური ჩვენებები

ნება კიდევ უფრო გააქარწყლა, ამის გამო საქმეში მტკიცებულება აღარ დარჩა. დროზე რომ დადგენილიყო დაზარალებულის როლი დამდგარ შედეგში საქმე აქამდე არ მივიდოდა.

გვხვდება განაჩენებიც, სადაც აღნიშნულია: „სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის, რომ დამდგარ შედეგში თვით დაზარალებულსაც მიუძღვის ბრალიო“ და სასჯელიც ამის გათვალისწინებით არის დანიშნული, მაშინ როდესაც არც გამოძიებას და არც სასამართლოს დაზარალებულის როლი საფუძვლიანად არ შეუსწავლია. განაჩენი ეყრდნობა დაზარალებულის ან დაინტერესებული მოწმის ლიტონ განცხადებას, ასეთი განაჩენი უსწორია და საქმის მასალებისადმი შეუსაბამო, ხშირად კი აშკარა ლმობიერიც. მოსამართლენი თვით გამოდიან ექსპერტის როლში და განსაზღვრავენ მოძრაობის წესების რომელი მუხლი დაარღვია დაზარალებულმა, მაშინ როდესაც საამისო მასალები საქმეში არ არის და რომელთა დადგენა სასამართლოს არც შეეძლო მისი სპეციფიურობის გამო.

ასე მაგალითად: პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ მ-ს სას-

ჯელის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღო, რომ „დაზარალებულსაც აქვს დარღვეული მოძრაობის წესების მე-4, მე-10, მე-11 მუხლების მოთხოვნები“, მაშინ როდესაც ავტოტექნიკურ ექსპერტიზის დასკვნაში ამაზე არაფერია ნათქვამი და არც არავის დაუსვამს მისთვის ასეთი კითხვები.

აღნიშნულის გამო საჭიროა ზუსტად ვიხელმძღვანელოთ საქართველოს სსრ სსსკ მე-18 მუხლის მოთხოვნით და სისხლის სამართლის საქმის აღძვრისთანავე პარალელურად შევამოწმოთ დაზარალებულის როლი დამდგარ შედეგში. განაჩენის სტაბილობის დაცვისა და დასჯითი პრაქტიკის სწორად გატარების მიზნით სასამართლოებმა არ უნდა მიიღონ წარმოებაში მოძრაობის უსაფრთხოების და ექსპლოატაციის წესების დარღვევებთან დაკავშირებით აღძრული ისეთი საქმეები, სადაც ბრალდებულთან ერთად კანონის შესაბამისად დადგენილი არ იქნება დაზარალებულის როლი დამდგარ შედეგში.

გ. ცუცქერიძე,

საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწე, იუსტიციის მრჩეველი.

აღვოკატის საქმიანობის მხარეი შეუასება

ადვოკატი გ. ლეშხვა

კეთილსინდისიერად განხორციელებულ დაცვას დიდი სარგებლობა მოაქვს მართლმსაჯულებისათვის. ეს დებულება იმდენად უდავოა, რომ ძნელია წარმოიდგინო კაცი, ვინც ამაში ეჭვს შეიტანს. სამწუხაროდ საწინააღმდეგო შეხედულების წარმომადგენელი თვით ადვოკატების რიგებში აღმოჩნდა. ეს შეხედულებანი გადმოცემულია გ. ხარატიშვილის სტატიის „ადვოკატის ავტორიტეტის საკითხისათვის“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ გასული წლის მე-5 ნომერში.

როგორც სათაურიდან ჩანს, სტატიის ავტორის მიზანია ხელი შეუწყოს მისი აზრით, ადვოკატის მეტად დაცემული ავტორიტეტის ამალგებას. ეს მიზანი არამც თუ მიღწეულია ამ სტატიით, არამედ პირიქით სწორად მას შეუძლია დასცეს ადვოკატის ავტორიტეტი ფართო მკითხველთა თვალში. გ. ხარატიშვილის აზრით ადვოკატი მოწოდებულია ზოგჯერ თავის რწმენის წინააღმდეგ გაილაშქროს, გვერდი აუაროს ან უარყოს ფაქტები და იბრძოდოს. ობიექტური ჭეშმარიტების წინააღმდეგ ავტორი პირდაპირ აცხადებს, რომ ადვოკატს „ხშირად უხდება სამართლისა და ზნეობის წინააღმდეგ მოქმედება“ და ამას იგი სჩადის მძიმე დამნაშავეთა გამართლების მიზნით, დამნაშავეთა, რომლებიც ჯიუტობენ, თავს დამნაშავედ არ ცნობენ და რომლებმაც დაიქირავეს ეს ადვოკატი, რაც ავტორის აზრით, დამნაშავეს „კმაყოფაზე“ ყოფნას ნიშნავს.

ეს მოსაზრებანი თუმცა საკმაოდ უცნაურია, მაგრამ კიდევ დასაშვები იქნებოდა, რომ გ. ხარატიშვილი ეყრდნობოდეს კონკრეტულ ფაქტებს და აკრიტიკებდეს ცალკეული ადვოკატის მუშაობას, ისე, რომ არ ეხებოდეს მთელი ადვოკატურის საქმიანობას და საერთოდ დაცვის ინსტიტუტს, რომლის არსებობის თვით მიზანშეწონილობაც კი, ავტორის მიერ ეჭვის ქვეშაა დაყენებული. ყოველშემთხვევაში დაცვის ინსტიტუტი იმ სახით, როგორც იგი მოქმედი კანონმდებლობითაა ჩამოყალიბებული გ. ხარატიშვილს გაუმართლებლად მიაჩნია.

ადვოკატურის საქმიანობისადმი ასეთი აგდებული დამოკიდებულება ახალი როდია. მსგავსი მოსაზრებანი ადრეც იყო გამოთქმული, ასეთი ჩვენს დროშიც გვხვდება. გ. ხარატიშვილი სწორი არ არის როცა აცხადებს, რომ „საბჭოთა მწერლებს ჯერ-ჯერობით არაფერი უთქვამთ ადვოკატების შესახებ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიას“, სადაც ორიოდ სიტყვაა ნათქვამი ადვოკატის პროფესიის შესახებ, მაგრამ საკმაოდ „განმკიცხავი და დამამკირებელი“. ეს ასე არ არის. ადვოკატების შესახებ აპეციალურა წიგნი გამოვიდა ქალაქ როსტოვში. მისი ავტორია მწერალი პ. ზვანცევი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა ადვოკატების საქმიანობის დასამკირებლად და პროფესიის გასაუფასურებლად.

და მერე რა გამოვიდა აქედან? გაზეთ „იზვესტიამ“ 1963 წლის 22 მარტს ს. ზვანცევის ეს წიგნი უღმობელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა და დავმო

იგი როგორც მაგნე და ყოვლად გაუმართლებელი. „იზვესტიას“ ამ სტატიის სახელწოდებაა „ადვოკატები“, მისი ავტორია ო. ჩაიკოვსკაია და ეს სტატია ქართულ ენაზე გამოქვეყნდა ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1963 წლის მეორე ნომერში. ამ სტატიის წაკითხვას სარგებლობა შეეძლო მოეტანა გ. ხარატიშვილისათვისაც. გავიხსენოთ ზოგიერთი მოსაზრებანი გამოთქმული ო. ჩაიკოვსკაიას მიერ. „გვონებ დამცველისადმი აგდებულ დამოკიდებულებას ისინი ზომ ყველას დაცვას იკისრებენო, — ცოტათი როდი შეუწყო ხელი მაგიურმა სიტყვამ „ჰონონარმა“ (თითქოს ადვოკატს არ შეუძლია თავისი შრომისათვის ვასამრჯელო მიიღოს) ყოველივე ეს იყო ბუნდოვანი ობივატელური მოსაზრებანი, რომლებიც წარმოშვა გარესოციაციებმა და სამართალწარმოების არსის გაუგებრობამ“. და შემდეგ: „თუ ობივატელი წინდაუხედავობით თავის მოსაზრებებს ნაცნობთა წრეში იმეორებს, ეს საწყენია. თუ ეს მოსაზრებები პრესაში გამოდის ეს საზიანოა“. მოვიყვანოთ კიდევ ერთი ადგილი ამავე სტატიიდან. „დიახ, ადვოკატი სწორედ იმისათვის არსებობს, რომ სასამართლოში დაეხმაროს ბრალდებულს (რომელიც ხშირად ცუდად ლაპარაკობს, ზუსტადაც ვერ აზროვნებს, კანონებიც არ იცის), ადვოკატმა უნდა დაანახოს მოსამართლეებს, თუ რა ადამიანს ასამართლებენ, ყოველი ბრალდებულის ინტერესების სადარაჯოზე უნდა იდგეს (სწორედ ყოველისა, — კანონით ადვოკატს არ შეუძლია უარი თქვას დაცვაზე), გულდასმით შეკრიბოს და მოახსენოს სასამართლოს ყოველივე, რასაც შეუძლია გაამართლოს ბრალდებული ან შეუმსუბუქოს მას განაჩენი. ადვოკატმა ბრალდების მტკიცებათა ჯაჭვის თვითიული რგოლი უნდა შეამოწმოს, და მაშინაც კი, თუ თვითონ ჰგონია, რომ მისი მარწმუნებელი დამნაშავეა, მაინც უნდა ეძებდეს მის უდანაშაულობის დამამტკიცებელ საბუთებს, ეძებდეს რათა თავიდან იქნეს აცილებული სასამართლო შეცდომის შესაძლებლობა. სწორედ ეს უნდა მისგან სასამართლოს, სწორედ ეს ევალება მას კანონით“. ვფიქრობ, რომ ამ ნათელ მოსაზრებებს კომენტარი არ სჭირდება.

გ. ხარატიშვილის სხვა მეტად ორიგინალურ მოსაზრებათა გვერდით ასეთი მოსაზრებაა გამოთქმული: „თანამედროვე ადვოკატურა მაინც შეიცავს ორ, ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო თვისებებს, დადებითს და უარყოფითს. სახელდობრ: ადვოკატურის მოღვაწეობა დადებითია, როდესაც ის იბრძვის სასამართლოსა და ჭეშმარიტებისათვის, უარყოფითია როდესაც უხდება გამოსვლა პირიქით, სამართლის და ჭეშმარიტების წინააღმდეგ“. შემდეგ ავტორი განმარტავს თუ როდისაა ადვოკატის მოღვაწეობა დადებითი და დასძენს: „ადვოკატის პრაქტიკულ საქმიანობაში არის მეორე მხარეც, უარყოფითი. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც ადვოკატს სასამართლო პროცესზე ბრალდებულის დაცვის დროს უხდება ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფა, რაც ბუნებრივად წარმოშობს საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებას ამ პროფესიისადმი“.

როგორც ვხედავთ ავტორმა აქ ყველაფერი განმარტა. ურიგო არ იქნებოდა განემარტა მას ისიც, თუ როგორ მოახერხოს ადვოკატმა საქმის განხილვამდე, ე. ი. მაშინ, როცა ბრალდებულის დაცვა იკისრა, უტყუარად გამოარკვიოს და დაადგინოს ობიექტური ჭეშმარიტება საქმეზე და შეუცდომლად დაასკვნას დამნაშავეა თუ არა ბრალდებული. ამის გამორკვევას ხომ მთელი სამსჯავრო გამოძიება ემსახურება? სამართალში მიცემულის მიერ ჩადენილია თუ არა დანაშაული ეს ხომ სასამართლომ უნდა დაასკვნას საქმის მასალის


ყოველმხრივ შემოწმების შემდეგ, ხომ ფაქტია ისიც, რომ ზოგჯერ თვით სასამართლოები ცდებიან, სჯიან უდანაშაულო ადამიანს, ან სჯიან შეუფერებელი კვალიფიკაციით და განა დასაშვებია მოვთხოვით ადვოკატს შეუცდომლად შეაფასოს საქმის მასალა და ბრალდების საფუძვლიანობა ბრალდებულის დაცვის განხორციელების საბოლოოდ დამამთავრებელ სტადიამდე?

გ. ხარატიშვილის კონცეფციას თუ გავიზიარებთ უნდა ვცნოთ, რომ სისხლის სამართლის საქმეები მკვლელობის, ძარცვის, გაუპატიურებისა და სხვა მძიმე დანაშაულობათა შესახებ, სასამართლოში მოდის იმ სახით, რომ იქ სადავო არაფერია, ობიექტური ჭეშმარიტება დადგენილია და საჭიროა მხოლოდ მათი განხილვა. რომ ეს ასე იყოს, ცხადია, ადვოკატს შეუძლია გაჰყვეს გ. ხარატიშვილის რჩევას და დასაცავად ხელი მოკიდოს ისეთ საქმეს, სადაც მას შეუძლია ე. წ. „დადებითი საქმიანობა“ შეასრულოს, მაგრამ ვინ არ იცის, რომ სასამართლოში შემოსულ სისხლის სამართლის საქმეთა შორის ძალზე მცირეა ისეთი საქმეები, სადაც სადავო არაფერია. უმეტესად კი ამ საქმეების განხილვისას სასამართლოს და პროცესში მონაწილე მხარეებს უდიდესი ენერჯის დახარჯვა უხდებათ ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად. აქ საჭიროა ადვოკატის მხრივ ბრძოლა და იქნებ გვითხრას გ. ხარატიშვილმა თავიდანვე ხელი აიღოს ადვოკატმა ამ ბრძოლაზე.

ეს კიდევ ცოტაა. როგორ უნდა შევაფასოთ ისეთი შემთხვევები, როცა ადვოკატის საქმიანობა გ. ხარატიშვილის კრიტერიუმით ერთსა და იმავე დროს „ორ ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო თვისებებს, დადებითსა და უარყოფითს“ შეიცავს? ხომ ცნობილია, რომ ზოგჯერ სასამართლოები არ აზიარებენ სამართალში მიცემულთა დამცველების შეხედულებებს, წინააღმდეგ ამ უკანასკნელთა მოთხოვნისა სჯიან მათ, ხოლო შემდეგ ამ საქმის საზელამხედველო წესით შესწავლისას ირკვევა ამ განაჩენის უსაფუძვლობა, განაჩენი უქმდება და უსაფუძვლოდ მსჯავრებული მართლდება.

გ. ხარატიშვილის კონცეფციით ასეთ შემთხვევაში ადვოკატის საქმიანობა დადებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ ისმება კითხვა, იმ დროს როცა ადვოკატი სასამართლოს წინაშე ასეთი ბრალდებულის უდანაშაულობას ამტკიცებდა, რითაც შესაძლოა ზოგ დამსწრეთა გულისწყრომასაც კი იწვევდა, სასარგებლო საქმეს აკეთებდა თუ არა? იგი ხომ პროკურატურისა, ზოგიერთ დამსწრეთა და თვით სასამართლოს შეხედულებათა წინააღმდეგ გამოდიოდა და განა ასეთ შემთხვევებს არ უწოდებს გ. ხარატიშვილი ფაქტების უარყოფას, ობიექტურად ჭეშმარიტების წინააღმდეგ ბრძოლას და სხვა. ე. ი. გამოდის რომ საქმის წარმოების ამ სტადიაში ადვოკატის საქმიანობა უარყოფითად უნდა იქნას განხილული.

მაგალითად მოვიყვანოთ საქართველოში კარგად ცნობილი ე. წ. ლენინგორის საქმე. სამართალში მიცემულთ ამ საქმეზე — ძმებს შიუკაშვილებს და სხვებს უმძიმესი ბრალდება ქონდათ წარდგენილი. მათ ბრალი ედებოდათ, რომ ლენინგორის რაიონის ერთ-ერთ სოფელში თითქოს მთლიანად ამოწყვიტეს ერთი ოჯახი, მოჰკლეს ექვსი და სასიკვდილოდ დააშავეს ერთი ადამიანი. დაზარალებულთა შორის ოთხი მცირეწლოვანი იყო, ბრალდებულთაგან ოთხს საქართველოს უმაღლესი სასამართლოს 1963 წლის 14 ოქტომბრის განაჩენით დახვრეტა მიესაჯათ. ვასაგებია, რომ საზოგადოება დიდად იყო აღშფოთებული ამ საქმით. სამართალში მიცემულთა დამცველები არ თვლიდნენ ბრალდებას დამტკიცებულად და საქმეზე გამამართლებელი განაჩენის გამოტა-



ნას შუამდგომლობდნენ. საბოლოოდ ამ საქმის საზედამხედველო წესით წარმოებამ ცხადყო, რომ განაჩენი ამ საქმეზე უმართებული იყო, იგი გაუქმდა. საქმე დამატებით გამოძიებისათვის წარიმართა და სიკვდილმისჯილთაგან სამი კაცის მიმართ საქმე წარმოებით შეწყდა.

არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ამ საქმეში მონაწილე ადვოკატთა გამოსვლებმა დიდი გულისწყრომა გამოიწვია საზოგადოებაში, რომელსაც ქონდა საფუძველი ეფიქრა, რომ ეს უმძიმესი დანაშაული ნამდვილად ჩადენილია სამართალში მიცემულების მიერ და, რომ ამიტომ ადვოკატები დალატობენ ჭეშმარიტებას, დალატობენ თავიანთ სინდისს და სხვ. და განა ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ამით ადვოკატთა ავტორიტეტი დაეცა? სულაც არა ან არსებითად რომ ვთქვათ რას წარმოადგენს ადვოკატის მოღვაწეობის დაყოფა დადებით და უარყოფით თვისებების მქონე საქმიანობად. ეს აშკარა შეუსაბამო, ხელოვნურად შემოტანილი დაყოფაა. ადვოკატის მოღვაწეობა, თუ კი იგი თავის მოვალეობას კანონის შესაბამისად ასრულებს, ყოველთვის დადებითია, ყოველთვის საზოგადოებრივად სასარგებლოა და მას მართლმსაჯულებისათვის ვნების მოტანა არ შეუძლია.

გ. ხარატიშვილი როდი ჯერდება ზემოთ აღნიშნულ, ჩვენის აზრით დაუსაბუთებელ და მიუღებელ დებულებებს, უფრო მეტიც, იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ფაქტების გვერდის ავლა, მათი უარყოფა, საკუთარი სინდისისა და რწმენის წინააღმდეგ მოქმედება, სამართლისა და ზნეობის არად ჩადგება და ობიექტურად ჭეშმარიტების წინააღმდეგ ბრძოლა, ადვოკატის მუშაობაში გამონაკლისი როდია და რომ ამას იგი სჩადის პროფესიულ მოვალეობათა გამო.

ადვოკატთა პროფესიულ მოვალეობათა სტატუსს კანონი განსაზღვრავს და ამდენად თუ გ. ხარატიშვილის შეხედულებას გავიზიარებთ, გამოდის, რომ ადვოკატს კანონი ავალებს ჩაიდინოს ზემოთ აღნიშნული დასაგმობი მოქმედებანი, მაგრამ საქმე ის არის, რომ კანონს არასოდეს მიუცია ასეთი დავალება ადვოკატისათვის. კანონში აღნიშნულია: „დამცველი მოვალეა გამოიყენოს ამ კოდექსში აღნიშნული დაცვის ყველა საშუალება და ხერხი იმ მიზნით, რომ გამოარკვიოს ვარემოებანი, რომლებიც ამართლებენ ბრალდებულს ან ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას და გაუწიოს ბრალდებულს სხვა საჭირო იურიდიული დახმარება“. (საქართველოს სსრ სსს კოდექსი 46-ე მუხლი).

სრულიად გასაგებია, რომ კანონის ამ განსაზღვრიდან შეუძლებელია გამოვიტანოთ ის დასკვნები, რაც ხარატიშვილის სტატიისაში გადმოცემული. ამიტომ მისი შეხედულებანი მცდარად და დაუსაბუთებლად უნდა იქნას მიჩნეული.

პროფესიული მოვალეობის ცუდად შესრულება დიდ ზიანს აყენებს საქმეს და ეს მართო ადვოკატის საქმიანობას როდი ეხება. ცუდად ჩატარებულმა ოპერაციამ შესაძლოა იმსხვერპლოს ავადმყოფი, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ექიმთა კორპორაციის ავტორიტეტი ამით გამოუხსნორებლად შეიბღალოს. არავის მოუვა აზრად ამტკიცოს, რომ ჩვენი ადვოკატურის საქმიანობა ისეთ სიმადლეზეა აყვანილი, რომ კაცი უკეთესს ვერაფერს ისურვებს. არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ადვოკატები შეცდომებს უშვებენ თავიანთ პროფესიული მოვალეობის განხორციელების დროს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვენი

ადვოკატურის კადრებს ამშვენებს მრავალი ისეთი მუშაკი, რომლებსაც სიამოვნებით უსმენენ, სჯერათ მათი და უჭოჭმანოდ იზიარებენ მათ სწორ და პირუთვნელ იურიდიულ დასკვნებს. ისეთი წარჩინებული ადვოკატების დაცვითი სიტყვების მოსასმენად, როგორც არიან: ბ. ბარათაშვილი, ა. გელოვანი, ა. საგინაშვილი, გ. უგრეხელიძე და მრავალი სხვა, ზოგჯერ სპეციალურადაც კი მოდიან სასამართლოში ადამიანები, რომელთაც ხიბლავთ ჯანსაღი და ცოცხალი პაექრობა.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ჩვენი ადვოკატურის ავტორიტეტი არც თუ ისე სავალალო მდგომარეობაშია, როგორც ეს გ. ხარატიშვილს ჰგონია. მიუხედავად ამისა, საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ვალია იზრუნოს ადვოკატურის პრესტიჟის კიდევ მეტად ამაღლებით, რაც შეიძლება მიღწეული იქნას ადვოკატის შრომის უკეთესი ორგანიზაციით, მათი იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებით, ადვოკატურაში ნიჭიერი ახალგაზრდა იურისტების მიღებით და სხვ. მრავალი საშუალებით.

ქართული სამართლისა და დიპლომატიის ისტორიიდან

რევით აღმაშენებელი სამეფო ვახვის მეგვიდრეობის შესახებ

დოკ. მ. აბაშმაძე

ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციისა და ცალკეულ სამთავროებზე სამეფო ხელისუფლების გაძლიერების შემდეგ საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამეფო ტახტის მეგვიდრეობის უფლებას. სამეფო ხელისუფლება ღირსეულ მეგვიდრისათვის ტახტის გადაცემას უკავშირებს ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების აუცილებლობით გამოწვეული ქართველი ხალხის წინაშე მდგომი დიდი საშინაო და საგარეო ამოცანების წარმატებით განხორციელებას. აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევის მიხედვით ფეოდალურ საქართველოში „სამეფო უფლების დამკვიდრება IX საუკუნიდან მოყოლებული პირდაპირ მეგვიდრეობასა და პირმოთობაზე იყო დამოკიდებული. ყოველთვის განსვენებული მეფის უფროსი ვაჟი — უფლისწული ადიოდა ხოლმე სახელმწიფო ტახტზე“.¹

სამეფო ტახტის მეგვიდრეობის ეს წესი მტიკედ იყო დადგენილი ფეოდალურ საქართველოში და საქართველოს მეფენი მხოლოდ ამ ნორმით ხელმძღვანელობდნენ. ამის მიხედვით დავით აღმაშენებელმაც, გარდაცვალების წინ, 1125 წელს სპეციალური ანდერძით სამეფო ტახტი გადასცა თავის უფროს ვაჟიშვილს დიმიტრის. დავით აღმაშენებელი ამ ანდერძში საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ფეოდალური საქართველო „ნიკოფსითგან დარუბანდისა ზღუადმდე და ოკსეთიდან სოერად და არეგაწადმდე... აწ შვილმამ ჩემმან მეფემან დ ი მ ი ტ რ ი ს რულ-ჰყოს ყოვლითურთ საუკუნოდ ჩემთვის და მისთვის და მომავალთა ჩემთათვის; რომელნი მიმიცემიან, მისგან ნურას მოაკლებს“.²

დავით აღმაშენებლის აზრით, სამეფო ტახტი ფეოდალურ საქართველოში ძველთაგანვე არსებული წესის თანახმად უნდა გადაეცეს უფროს ვაჟიშვილს, რომელიც ტახტის უპირველესი მეგვიდრეა. მაგრამ 1125 წლის ანდერძის საგულდაგულო შესწავლას იმ

დასკვნამდე მიგყვართ, რომ დავით აღმაშენებელს, ჩვენთვის დღემდე უცნობი პოლიტიკური საფუძვლით, გადაუწყვეტია სამეფო ტახტის მეგვიდრეობის მანამდე არსებული წესის ძირფესვიანი შეცვლა და კიდევაც დაუდგენია იგი ამავე ანდერძით. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს დავით აღმაშენებლის საანდერძო განკარგულება ტახტის მეგვიდრის დიმიტრისადმი: „და მივანდე შვილნი და დედოფალნიცა, შუამდგომლობითა ღმრთისთა, რათა ძმა მისი გაზარდოს, და თუ ინების ღმერთმან და ვარ-ყოს ც უ ა ტ ა, შემდგომად მისსა მეფე — ჰყოს მამულსა ზედა“.³

როგორც ანდერძიდან ჩანს სამეფო ტახტის მეგვიდრეობის ეს ახალი წესი მეგვიდრეთა წრიდან არ გამოირიცხავს უმცროს ვაჟიშვილს ვახტანგს (ცვატას). გარდა ამისა, საზგასმით უნდა აღინიშნოს დ. აღმაშენებლის აზრი იმის შესახებაც, რომ სამეფო ტახტის მეგვიდრეობის განსაზღვრისა და დამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მეგვიდრის პირად ღირსეუბს. როდესაც დავით აღმაშენებელმა სამეფო ტახტი გადასცა თავის უფროს ვაჟიშვილს დიმიტრის. რა თქმა უნდა იგი მართო იმით კი არ ხელმძღვანელობდა, რომ დიმიტრი უფროსი ვაჟიშვილია, არამედ ამ საკითხის გადაწყვეტისას დავით აღმაშენებელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა დიმიტრის პირად ღირსეუბს. 1125 წლის ანდერძში დავით აღმაშენებელი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ღმერთმა მას მრავალი წყალობა მისცა, ამ წყალობათა შორის კი უპირველესია სამეფო ტახტის ღირსეული მეგვიდრე დიმიტრი: „რამეთუ მომცა პირველად შვილი ესე ჩემი დ ი მ ი ტ რ ი, სიბრძნითა, სიწმიდითა, ახოვნებითა და სიმხნითა უმჯობესი ჩემსა და ნამდელიც კევითარი ჯერ-იყო მეფე, მოცემული ღმრთსა მიერ მკვდრთათვის სოფლისათა მართლ-მორწმუნეთა“.⁴


დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძში ჩამოყალიბებული ეს საანდერძო განკარგულება, რო-

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბილისი, 1965, გვ. 239. იხ. აგრეთვე: ივ. სურგულაძე, ტახტის მეგვიდრეობის საკითხი ვეფხისტყაოსნის მიხედვით (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს, თბილისი, 1966, გვ. 94).

2 ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოსცა და შენიშვნები და კომენტარები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1965, გვ. 19-20.

3 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბილისი, 1965, გვ. 19.

4 იქვე.



მელმაც არსებითი ცვლილება შეიტანა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის მანამდე არსებულ წესებში, ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში შესწავლილი არ არის. მხოლოდ ნ. ურბნელმა მიუთითა ზოგადად, რომ დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძი ძირეულად ცვლის სამეფო ტახტის მემკვიდრეობის მანამდე არსებულ წესებს⁵

ამავე პირადი ღირსებების მიხედვით წყვეტს დავით აღმაშენებელი თავისი უმცროსი შვილის — ვახტანგის მიერ სამეფო ტახტის დაკავების საკითხს. ანდერძის შედგენისას ვახტანგი მცირეწლოვანი იყო და რა თქმა უნდა დავითს არ შეეძლო შეეფასებინა უმცროსი მემკვიდრის პირადი ღირსებები, მაგრამ თავის უფროს მემკვიდრეს დიმიტრის ავალუმს, რომ სამეფო ტახტზე ვახტანგი აიყვანოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას საამისო ღირსებები ექნება. მხოლოდ ასეთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს დავითის მითითებიდან: „თუ ინებოს ღმერთმან და ვარგყოს ცუბატა, შემდგომად მისსა მეფე-ჰყოს მამულსა ზედა“⁶

სამეფო ტახტის მემკვიდრეობის განმსაზღვრელი სამართლებრივი ნორმების შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძთან დაკავშირებული შემდეგი საკითხის გარკვევას: დავით აღმაშენებლის მიერ დადგენილი სამეფო ტახტის მემკვიდრეობის განმსაზღვრელი ეს ახალი ნორმა ზოგადი ხასიათისაა და ამიერიდან ფეოდალური საქართველოს ყველა მეფეს ეძლევა უფლება უფროს სამეფო ტახტის მემკვიდრეთა წრიდან არ გამოირიცხოს უმცროსი ვაჟი-ვილიც, თუ ამას საერთო წესიდან გამოინაკლის კერძო შემთხვევად მიიჩნევს და ამიტომაც იგი სპეციალური საანდერძო განკარგულებით ანიჭებს ვახტანგს სამეფო ტახტის დაკავების უფლებას.

დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძის ტექსტის შინაარსის ანალიზს და აგრეთვე დავით აღმაშენებლის შემდგომ ეპოქაში მემკვიდრეთა მიერ სამეფო ტახტის დაკავებისათვის ბრძოლის ისტორიის გაცნობას მხოლოდ იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ დავით აღმაშენებლის ამ საანდერძო განკარგულებას, რომელიც ადგენს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის განმსაზღვრელ ახალ ნორმას, აქვს არა ზოგადი ხასიათი, არამედ იგი კერძო ხასიათის ნორმაა. ამ ნორმით დადგენილი ახალი სამეფო ტახტის წესი მხოლოდ პერსონალურად განსაზღვრულ პირს — ვახტანგს ეხება და იგი არ უნდა წარმოადგენდეს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის იმ ზოგად ნორმას, რომლითაც უნდა მოხდეს შემდეგში სამეფო ტახტის მემკვიდრეთა განმსაზღვრა.

მართლაც, დავით აღმაშენებელი თავის ანდერძში

ზოგადად კი არ მიუთითებს, რომ ამიერიდან ღვინადე სამეფო ტახტის მემკვიდრეობის ეს ახალი წესი საერთოდ, არამედ მასში პერსონალურად არის მითითებული, როგორც კერძო შემთხვევა, რომ პირველირიგის მემკვიდრემ დიმიტრი „ძმა მისი გაზარდოს და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგყოს ცუბატა, შემდგომად მისსა მეფე-ჰყოს მამულსა ზედა“.

აღსანიშნავია, რომ დავით აღმაშენებლის მიერ სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესის ნაწილობრივი შეცვლა საკანონმდებლო გზით ერთდღერთი შემთხვევა XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში და ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ წყაროებში არ ჩანს, რომ რომელიმე მეფეს შეეცვალა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის ძველი წესი, რომელიც IX საუკუნიდან მოყოლებული მტკიცედ დამკვიდრდა ფეოდალურ საქართველოში, თუმცა ამ წესიდან გადახვევას და უმცროსი ვაჟიშვილის გამეფების შემთხვევას დავით აღმაშენებლის შემდეგაც ჰქონდა ადგილი.


ჩვენამდე მოღწეული ისტორიული წყაროებიდან არ ჩანს, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია რა დიდი გამოხმაურება ექნებოდა დავით აღმაშენებლის მიერ დადგენილ ტახტის მემკვიდრეობის ამ ახალ წესს ფეოდალური საზოგადოების გაბატონებულ წრეებში, რომლებიც სისტემატყუალად იყვნენ დაკავშირებულნი სამეფო ხელისუფლებასთან. სამეფო ტახტის მემკვიდრეობის უფლება ფეოდალური სამართლის ყველაზე მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენდა და ამ უფლების განხორციელების თაობაზე ფეოდალურ საქართველოში ადვილი ჰქონდა გაბატონებული კლასების შორის გააფთრებულ შინაკლასობრივ ბრძოლას. დავით აღმაშენებლის მიერ სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესის შეცვლა მხოლოდ კლასობრივ ძალთანაფარდობით უნდა ავხსნათ. გაბატონებული კლასის რომელი ნაწილის ინტერესებით იყო განსაზღვრული სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესის ნაწილობრივი შეცვლა, მისი დადგენა არ ხერხდება ისტორიული წყაროების არ არსებობის გამო, თუმცა ნ. ურბნელი ვარაუდობს, რომ რადგანაც ვახტანგი დავით აღმაშენებელს ჰყავდა ყივჩაღთა მეფის ათრაქა შარაღანის ძის ქალიშვილის გურანდუხტისაგან, სამეფო ტახტის მემკვიდრეობის განმსაზღვრელი ეს ახალი საანდერძო განკარგულება ყივჩაყთა გულის მოგებას ისახავდა მიზნად.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწისა და ფეოდალიზმის დიდი თეორეტიკოსის დავით აღმაშენებლის ამ ახალმა საანდერძო განკარგულებამ, ისევე როგორც მთელმა მისმა მოწინავე რენესანსულმა მსოფლმხედველობამ, რომელიც გახდა XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს პო-

5 იხ. ნ. ურბნელი, დავით აღმაშენებელი და მისი დრო (ტურნ. „მოამბე“, № 1, 1894 წ., გვ. 20).

6 ქართული სამართლის ძეგლები, II, თბილისი, 1965, გვ. 19.

7 ივ. სურგულაძე, ტახტის მემკვიდრეობის საკითხი ევფხისტყაოსნის მიხედვით (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს, თბილისი, 1966, გვ. 94).



ლიტიკური ცხოვრების საფუძველი, უდიდესი ზეგავლენა მოახდინა სამეფო ტახტისათვის მებრძოლი სოციალური ფენების იდეოლოგიაზე.

დავით აღმაშენებლის ამ ახალ საანდერძო განკარგულებას სამეფო ტახტის მემკვიდრეობის შესახებ გადაწყვეტი მიიღვენოდა უნდა ჰქონდეს დავით აღმაშენებლის შემდეგ პერიოდში იმ დიდი აჯანყების მონაწილეთა პოზიციების გასარკვევად, რომელიც მსხვილ ფეოდალთა წაქეზებითა და დახმარებით დემნამ მოაწყო სწორედ სამეფო ტახტის დასაბატონებლად.


როგორც ცნობილია დიმიტრი პირველს, რომელიც თავის სიცოცხლეშივე აიყვანა სამეფო ტახტზე და ვით აღმაშენებელმა, 8-ორი ვაჟი დარჩა — უფროსი დავითი და უმცროსი გიორგი. უფროსი ვაჟიშვილისაგან — დავითისაგან შევიწროებული დიმიტრი პირველი იძულებული გახდადარა თვითონ ბერად შემდგარიყო და სამეფო ტახტი დავითისათვის დაეთმო, თუმცა როგორც „ისტორიანი და აწმანი შარავანდედთანს“ უცნობი ავტორი წერს დიმიტრი მეფე იყო „მარჩვეული ძისა უმცროსისა“ გიორგისა⁹. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით დიმიტრი მეფის მონაზუნად აღკვეცა უნდა მომხდარიყო 1154-1155 წელს და, რა თქმა უნდა, იმავე წელს გამეფებულა მისი უფროსი ვაჟი დავითი.¹⁰ გამეფებიდან ექვსი თვის შემდეგ გარდაცვლილა დავითი, რომელსაც დარჩა მცირეწლოვანი ვაჟი დემნა. დიმიტრი პირველს მონასტრისათვის თავი დაუწებებია, ისევე დაბრუნებია სამეფო ტახტს და თავისი სიცოცხლეშივე 1156 წელს გაუმეფებია თავისი საყვარელი უმცროსი შვილი გიორგი.

სანამ დემნა მცირეწლოვანი იყო, გიორგი მესამეს სამეფო ტახტს არავინ არ ეღაპებოდა, მაგრამ მას შემდეგ რაც დემნა სრულწლოვანი გახდა და დავაჟაკცა, გიორგი მესამისადმი მტრულად განწყობილი მსხვილი ფეოდალების წაქეზებითა და დახმარებით დემნა უფლისწული 1177 წ. აწყობს დიდ აჯანყებას ბიძის — გიორგი მესამის წინააღმდეგ, აჯანყებას, რომელიც მიზნად ისახავდა გიორგი მესამის გადაყენებას და სამეფო ტახტზე დემნა უფლისწულის აყვანას, მეტად ფართო ხასიათი მიიღო, რამდენადაც აჯანყებულთა ჯარი 30.000 კაცს აღემატებოდა და აჯანყებას მხარს უჭერდა სამცხე, ჰერეთი, კახეთი, სომხეთი და ქართლი.¹¹ მიუხედავად ამისა, გიორგი მესამემ შეძლო აჯანყებულთა წინააღმდეგობის დაძლევა და დამარცხებულებს — დემნა უფლისწულსა და ორბელებს სასტიკად გაუსწორდა.

დავით აღმაშენებლის მიერ 1125 წელს დადგენილ სამეფო ტახტის მემკვიდრეობის ახალ წესთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს აჯანყების მონაწილეთა უფლებრივი მდგომარეობა, კერძოდ, სამეფო ტახტისათვის ატეხილ ბრძოლაში ვინ იყო მართალი, დემნა უფლისწული თუ ბიძა მისი — გიორგი მესამე.¹²

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ IX საუკუნიდან დაწყებული ფეოდალურ საქართველოში არსებობდა მტკიცედ ჩამოყალიბებული წესი — სამეფო ტახტზე ყოველთვის განსვენებული მეფის უფროსი ვაჟი — უფლისწული ადიოდა ხოლმე. დიმიტრი პირველმა თავისი უფროსი ვაჟი — დავითი თავისი ნებით აიყვანა სამეფო ტახტზე და სწორედ ამიტომ დავითის გარდაცვალების შემდეგ ფეოდალურ საქართველოში არსებული წესის თანახმად სამეფო ხელისუფლება მის ვაჟს — დემნას უნდა გადასცემოდა, მაგრამ დიმიტრი პირველმა დავითის გარდაცვალების შემდეგ მიატოვა მონასტერი, კვლავ დაიკავა სამეფო ტახტი და ამავე დროს თავისი სიცოცხლეშივე სამეფო ხელისუფლება გადასცა უმცროსი ვაჟიშვილს — გიორგის, ამრიგად, დიმიტრი პირველმა ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო დარჩენია ფეოდალურ საქართველოში არსებული სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესი და თავისი სიცოცხლეშივე გაამეფა უმცროსი ვაჟიშვილი გიორგი. შეიძლება ეს დარღვევა იმით იყო გამოწვეული, რომ სამეფო ტახტის მემკვიდრეობის არსებული წესის მიხედვით ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე — დემნა მცირეწლოვანი იყო და თავისი უმცროსი ვაჟიშვილის — გიორგის გარდა სამეფო ტახტზე პრეტენზიის გაცხადება აღარავის შეეძლო, მაგრამ სათანადო ცნობების არ არსებობის გამო დღემდე გაურკვეველია საკითხი — დიმიტრი პირველმა სამუდამოდ ჩამოართვა თუ არა ტახტის მემკვიდრეობის უფლება დემნა უფლისწულს. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით „წესიერად რომ ყოფილიყო საქმე მოწყობილი, დიმიტრი I შემდგომ უნდა მის უხუცეს ძეს დავითს ემეფა, მაგრამ მის მამას სხვანაირად განუსჯია. მომავალი აღმოაჩენს, როდესაც ახალი და საკამო ცნობები გამოქვეყნდება, ჰქონდა დიმიტრი I რაიმე კანონიერი საბუთი, როდესაც თავის უფროსი შვილს მემკვიდრეობის უფლებას ართმევდა?.. მაინცა-და-მაინც ძნელი დასაჯერებელია, რომ მშობელმა მამამ თავის უდანაშაულო უზადო პირშემოს მარტოოდენ პირადის გრძნობის გამო მეფობის დამკვიდრების უფლება მოუსპოს“.¹³ ყოველ შემთხვევაში ის გარემოება, რომ დემნას აჯანყებას გიორგი მესამის წინააღმდეგ თითქ-

8 იხ. ლაშა გიორგის-დროინდელი მემბტიანე, ცხოვრება დემეტრე მეფისა (ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 365).
9 იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 3.
10 იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბილისი, 1965, გვ. 227.
11 იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1965, გვ. 240; 5. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბილისი, 1965, გვ. 34.
12 იხ. 5. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1965, გვ. 37.
13 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1965, გვ. 239—240.



მის მთელი საქართველო უჭურდა მხარს,¹⁴ მარტო იმის მაჩვენებელი არ არის, რომ ჰსხვილი ფეოდალები ყველა პოლიტიკურ მოვლენას სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას უკავშირებენ, არამედ იგი ნაწილობრივ იმაზეც მიუთითებს, რომ ფეოდალურ საქართველოში გარკვეულ წრეებს დემნა-უფლისწულის მოთხოვნები კანონიერად მიაჩნდათ.

მიუხედავად ამისა, სამეფო ხელისუფლების პოლიტიკური იდეოლოგია ცდილობს იურიდიულად დაასაბუთოს გიორგი მესამის ბრძოლა განდგომილ დემნას წინააღმდეგ და აჯანყებულთა მოქმედებას სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ უკანონოდ მიიჩნევს, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი, რომელიც სამეფო ხელისუფლების იდეოლოგია, აღნიშნავს, რომ დემნას აჯანყება დიდი სახელმწიფო დანაშაულია, იგი არის „უშიშრობა ღმრთისა და გარდამავლობით მოქმედება სჯულისა ქრისტეს მცნებათასა“.¹⁵ გიორგი მესამისა და თამარის ისტორიკოსის აზრით დემნას აჯანყება, რომელიც სამეფო ტახტის დაპატრონებას ისახავდა მიზნად, ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, და რადგანაც სიმართლე გიორგი მესამის მხარეზე იყო, რა თქმა უნდა, ღმერთმა გამარჯვება მას მიაჩნია. ისტორიკოსის აზრით „არა მიშუებელმა ღმერთმან, მოქმედმან სამართალთამან... მისცა გიორგისევე ძლევა, მძლეთა მძლევას... ამას შინა სძლო მსჯავრისა და სიმართლისა მქონებელმან“.¹⁶ ისტორიკოსის ამ მითითებიდან განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ის, რომ გიორგი III სამართლის მქონებულია, რადგანაც მისი ბრძოლა დემნას წინააღმდეგ მთლიანად შეესაბამება მოქმედ სამართალს.

დემნა-უფლისწულის აჯანყებასთან დაკავშირებით გიორგი მესამის მოქმედების ამგვარი იურიდიული შეფასების შემდეგ გასარკვევია საკითხი, თუ რომელ მოქმედ სამართალს გულისხმობს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი, რომლის მიხედვითაც დიმიტრი პირველის უმცროს ვაჟიშვილს — გიორგის კანონიერი უფლება აქვს სამეფო ტახტზე.


IX საუკუნიდან მოყოლობული ვიდრე 1125 წლამდე ფეოდალურ საქართველოში განუყოფლად ბატონობდა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესი, რომლის მიხედვით განსვენებული მეფის მხოლოდ უფროსი ვაჟი ითვლებოდა ტახტის ერთადერთ მემკვიდრედ. ეს წესი შეცვალა 1125 წლის ანდრძით დავით აღმაშენებელმა, რომელმაც თავის უფროს ვაჟიშვილს დიმიტრის დაავალა მის შემდეგ სამეფო ტახტი გადაეცა უმცროსი ვაჟიშვილისათვის, ვახტანგისათვის. დავით აღმაშენებლის ეს ახალი სანდერძო განკარგულება მართალია არ განხორციელებულა, რადგან ვახტანგი ჯერ კიდევ მცირეწლოვანი გარდაიცვალა, მაგ-

რამ რამდენადაც დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდრძი მის მემკვიდრეებს არ გაუჭურვებიათ, ამდენად სამეფო ტახტის მემკვიდრეობის ეს ახალი წესი სწორედ მოქმედ სამართალს შეადგენდა. ამ სამართლის მიხედვით სავსებით გამართლებული იყო, რომ სამეფო ტახტის მემკვიდრეობა დიმიტრი პირველის არა უფროსი ვაჟიშვილის — დავითის შთამომავლობას; არამედ უმცროსი ვაჟიშვილის — გიორგის შთამომავლებს გადასცემოდა.

ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ წყაროებში სხვა რომელიმე სამართლებრივი ნორმა, გარდა დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდრძისა, რომელიც ადგენს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის უფლების უმცროსი ვაჟიშვილის შთამომავლობაზე გადაცემას, არ გვხვდება და საფიქრებელია, რომ დიმიტრი პირველს თავისი სახელგანთავსების შემდეგ სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესებში ცვლილებანი არ შეუტანია და ასეთი ცვლილებანი არც იყო საჭირო. ალბათ დიმიტრი პირველს, თავისი მოქმედების დასასაბუთებლად (ის, რომ სამეფო ტახტის მემკვიდრეობის უფლება ჩამოართვა უფროსი ვაჟიშვილის — დავითის შთამომავლობას და იგი მთლიანად გადასცა უმცროსი ვაჟიშვილის — გიორგის შთამომავლობას) ისიც საკმარისად მიაჩნდა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობდა სახელმოსვლელი მეფის — დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდრძი. ეს იმდენად დამაჯერებელი და ავტორიტეტული იყო, რომ მას შეიძლებოდა ქონოდა ფეოდალური სამართლის ზოგადი წყაროს მნიშვნელობაც. მართლაც, დიმიტრი პირველის ამ გადაწყვეტილებას სამეფო ხელისუფლებასთან დაკავშირებულ გაბატონებული კლასების მაღალ წრეებში არავითარი წინააღმდეგობა არ გამოუწვევია, პირიქით მისი უმცროსი ვაჟიშვილის გამეფება მიჩნეულ იქნა როგორც სავსებით კანონზომიერი მოვლენა, ხოლო უფრო გვიან ტახტის მძიებელი დემნას მოქმედება სამეფო ხელისუფლების პოლიტიკურმა იდეოლოგიამ შეაფასა, როგორც ღმრთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებანი, რომელიც განსაზღვრულია არა მარტო XI-XII სს. ფეოდალური საქართველოს უაღრესად განვითარებული ეკონომიკის, არამედ საზოგადოებაში არსებული მწვავე კლასობრივი ბრძოლის თავისებურებებით, უდიდეს ზემოქმედებას ახდენს შემდგომ პერიოდშიც ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაზე. მართალია დავით აღმაშენებლის მიერ დადგენილ სამეფო ტახტის მემკვიდრეობის

14 **ხ. ბერძენიშვილი**, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1965, გვ. 35; ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 18.
 15 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 18.
 16 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 18—19.



ახალ წესს კერძო ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მისმა შთამომავლობამ სამეფო კარზე სახელთოვანი წინაპრის მიერ დადგენილ კერძო ნორმასაც ქვეყანაში კლასობრივ ძალთა ახლებური განლაგების შესაბამისად განწესებითი ახსნა-განმარტება მისცა და თავის გადაწყვეტილების დასასაბუთებლად ზოგადი ხასიათის ნორმად აქცია. სხვათა შორის, დავით აღმაშენებლის თავისუფალი, შემოქმედებითი მიდგომა ძველი, დახაფებული და ეპოქის პოლიტიკური სიტუაციისათვის შეუსაბამო წესებისადმი, მთლიანად მიიღო მისმა შთამომავლობამ: დიმიტრი პირველმა თავისი სახელთოვანი მამის კერძო საანდერძო განკარგულება უმცროსი ვაჟიშვილისათვის სამეფო ტახტის მემკვიდრეობის უფლების მინიჭების შესახებ ქვეყა-

ნაში შექმნილი განსაკუთრებული პოლიტიკური სიტუაციის გამო ზოგადი ხასიათის ნორმად აქცია; ხოლო დავით აღმაშენებლის შვილიშვილმა გიორგი მესამემ ძველი წეს-ჩვეულებისადმი გასაოცარი შემოქმედებითი მიდგომა გამოიჩინა, როდესაც ქართული სამართლით ვათვალისწინებელი წესი ვაჟის გამეფებისა ძირფესვიანად შეცვალა და სამეფო ტახტზე თავისი ქალიშვილი თამარი აიყვანა.¹⁷

XI-XII სს. ფეოდალური საქართველოს ფონშიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მოპოვებული წარმატებები მთლიანად განაპირობა დავით აღმაშენებლის რენესანსულმა მსოფლმხედველობამ, რომელიც სამეფო ხელისუფლებისაგან ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანებისადმი შემოქმედებით მიდგომას მოითხოვდა.

¹⁷ ივ. სურგულაძე, ტახტის მემკვიდრეობის სკიკიხი ვეფხისტყაოსანში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს, თბილისი, 1966, გვ. 94); ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1965, გვ. 296.



რუსეთში ქართლ-კახეთის 1752 წლის ელჩობის საკითხისათვის

ბ. პაიჭავაძე,

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

1752 წლის მაისში თეიმურაზ მეორემ და ერეკლე მეორემ რუსეთში საგანგებო დავალებით ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანებული ოფიციალური ელჩობა გაგზავნეს.

ქართლის სამეფოს ათანასე თბილელი (ამილახვარი) წარმოადგენდა, ხოლო კახეთისას — სიმონ მაყაშვილი. პროფესორმა ი. ცინცაძემ ამ ელჩობის მასალები ჯერ კიდევ 1952 წ. გამოაქვეყნა „საისტორიო მოამბის“ მეექვსე ტომში. პუბლიკაციას ვრცელი შესავალი წერილი აქვს დართული. მასალები კრიტიკულადაა განალიზებული. უფრო ადრე 1942 წელს კრებულში „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ პროფ. ი. ცინცაძემ დაბეჭდვანაშრომი, სადაც ამ ელჩობის ისტორიასაც შეეხო. ამგვარად, პროფ. ი. ცინცაძემ ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობის ისტორია გააშუქა. დღეს ჩვენთვის უკვე გარკვეულია ქართული დიპლომატიის ისტორიის ამ საინტერესო ფაქტის ზოგიერთი მხარე.

ჩატარებული კვლევისა და პუბლიკაციის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართლისა და კახეთის მეფეებმა ელჩობის გასაგზავნად 1752 წელი შემთხვევით არ შეარჩიეს. ისინი ითვალისწინებდნენ შექმნილ საერთაშორისო ვითარებას და ცდილობდნენ გამოეყენებინათ ის თავიანთ სასარგებლოდ;

უნდა ვიფიქროთ, რომ ქართლ-კახეთის მეფეები კარგად ხედავდნენ შექმნილ ვითარებას, ირანის სახელმწიფოს კრიზისს, იმას რომ შუა აღმოსავლეთში თურქეთის აგრესიის საშიშროების გამო რუსეთის საგარეო პოლიტიკაში კასპისპირეთისა და საერთოდ ირანის პრობლემა კვლავ წინა პლანზე გამოვიდა და, რომ ასეთი ისე, საქართველოს საკითხიც დღის წესრიგში დადგებოდა.

ქართველ მეფეებს ამ დროს ხელსაყრელი პირობები ჰქონდათ. ირანის დაცემის შედეგად ქართლმა და კახეთმა ფაქტიურად დამოუკიდებლობას მიადნეს. რუსეთთან პოლიტიკური კავშირის დამყარება არც იურიდიულად და არც ფაქტიურად საქართველო-ირანის ურთიერთობას არ გაართულებდა, რადგან ირანს რაიმე სა-

წინააღმდეგო ზომების მიღება საერთოდ აღარ შეეძლო.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პირველობისათვის ბრძოლაში ქართლმა და კახეთმა წარმატება მოიპოვეს. მაგრამ ამავე დროს გაძლიერდა დაღესტნელ ფეოდალთა თარეში. 1751 წ. მათთან ერთ ბრძოლაში თეიმურაზი და ერეკლე დამარცხდნენ. ამან აიძულა ქართველი მეფეები დანაშარება გარეთ ეძიათ.

საერთოდ ასეთ ვითარებაში ქართლისა და კახეთის მეფეები შეეცადნენ რუსეთთან პოლიტიკური კავშირი თავიანთი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ.

ქართლ-კახეთის ელჩობაში 17 კაცი შედიოდა. უფროსობდა მათ ათანასე თბილელი. 1752 წ. ივლისში ელჩობა ასტრახანში ჩავიდა. აქ ჩვეულებრივი მიმოწერა დაიწყო ასტრახანის გუბერნატორსა და პეტერბურგს შორის ელჩობის შემდგომ გამგზავრების თაობაზე. დაიწყო ჩვეულებრივი პროცედურა-დაკითხვები ელჩობის მიზნის გასარკვევად და სხვა. მაგრამ ათანასე თბილელი და სიმონ მაყაშვილი ქართლ-კახეთის მეფეთა ოფიციალურ ელჩებად წარადგინეს და გუბერნატორს მათი მისიის შესახებ არაფერი უთხრეს. ელჩებმა მოითხოვეს სასწრაფოდ გაეგზავნათ ისინი პეტერბურგს. ამასთან დაკავშირებით ასტრახანის გუბერნატორს ბრილინს თეიმურაზისა და ერეკლეს სპეციალური პირადი წერილი გადასცეს. მაგრამ ცხადია, გუბერნატორმა ვერ გაბედა არსებული წესის დარღვევა და თავის უფროსების მითითებების მიღებამდე ელჩები დააკავა. საგარეო საქმეთა კოლეგიაში 31 აგვისტოს გაცა სათანადო განკარგულება. მაგრამ ვიდრე ნებართვა ასტრახანს მივიღოდა და ელჩები მოსკოვს ჩავიდნენ ორი თვე გავიდა. 1752 წლის ნოემბერში ქართლ-კახეთის ელჩობა მოსკოვს დაბინავდა, რადგან რუსეთის საიმპერატორო კარი იმ დროს იქ იმყოფებოდა.

რუსეთის მთავრობას ქართველმა ელჩებმა გადასცეს თაიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორის წერილი, რომელიც ტრადიციულად იყო შედგენილი. ქართველი მეფენი რუსეთის იმპერატორს მიმართავდნენ ვითარცა დიდ ხელ-

მწიფეს, მართლმადიდებელ ქრისტიანების მფარველს და ა. შ.

მაგრამ წერილში ჩანდა ის ახალი ვითარება, რომელშიც იმ დროს ქართლისა და კახეთის სამეფოები იმყოფებოდნენ. თეიმურაზი და ერეკლე ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ „ვიანათგან აწ მყოფსა ამას უამსა არღარავინ არს უსჯულოთა მეფეთაგანი უფალი ჩვენზედა... აწ არს უამი გამოსხნისა ჩვენისა და დღე აღდგომისა ჩვენისა“¹.

ქართველი მეფეები ელისაბედ დედოფალს თხოვდნენ დახმარებას დაღესტნელ მფლობელთა დამანგრეველი თარეშის აღსაკვეთად. ისინი რუსეთის იმპერატორს მართლმადიდებელ ქრისტიანთა დედად აღიარებდნენ და მოუწოდებდნენ მას მშობლის ვალი პირნათლად შეესრულებინა — გამოეხსნა შვილი მისნი გჳირვებიდან. დასასრულს, თეიმურაზი და ერეკლე ელისაბედ დედოფალს შეახსენებდნენ მეფე ალექსი მიხეილის ძის მიერ ერეკლე პირველისადმი 1674 წელს გაცემულ სიგელს, რომლითაც რუსთა მეფე თავის მფარველობის ქვეშ იყვანდა ერეკლე პირველს მთელი მისი შთამომავლობითა და „всей иверской землей“ დამახსიათებელია, რომ ასლი ამ სიგელისა ქართველმა ელჩებმა თან ჩაიტანეს.

თუ ვიმოგვლებთ ელჩების მიერ თან წაღებული დოკუმენტების შინაარსითა და იმ განცხადებითთ, რომლებიც მათ სხვადასხვა დროს რუსეთის მთავრობას წარუდგინეს, გამოადის, რომ ელჩობის ძირითადი მიზანი იყო მოეზოვებინათ რუსეთის დახმარება დაღესტნელ ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამისათვის კი ელჩებს უნდა ეთხოვათ საქართველოში კაზაკთა სამათსიანი რაზმის გამოგზავნა ან, უკიდურეს შემთხვევაში, ჩერქეზთა ჯარის დაქირავება. ამის გამო სიმონ მაყაშვილი თავის განცხადებაში განწრაბ ხაზს უსვამდა, რომ ამ მიზნით საქართველოში კაზაკთა გამოგზავნა უპრეცედენტო არ იყო. მაგალითად ახსენებდა ფაქტს, რომ XVI საუკუნეში კახეთში იმყოფებოდა კაზაკების რაზმი, რომელიც ლეკებთან ბრძოლაში ეხმარებოდა ქართველებს. ამასთანავე ქართველ ელჩებს უნდა ეთხოვათ რუსეთის მთავრობისათვის, რომ სპეციალური მითითება გავგზავნა რუსეთის მფარველობის ქვეშ შესულ დაღესტნელ მფლობელებისათვის და აეკრძალა მათთვის საქართველოში თარეში. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ რუსეთის მთავრობა მეტ აქტივობას გამოიჩინდა და გამოუგზავნიდა თავის ჯარს თეიმურაზსა და ერეკლეს, ისინი

პირდებოდნენ საქართველოსთან ახლო მდებარე ირანის ქალაქების დაკავებას.

თუ გავითვალისწინებთ ლეკიანობის ბუნებას და იმას, რომ XVIII საუკუნის 50-იან წლებში ლეკთა თარეში განსაკუთრებით მომძლავრდა, მაშინ საგნებით გასაგები იქნება, რომ საქართველოში კაზაკთა სამათსიანი რაზმის გამოგზავნა გარკვეულად მნიშვნელოვანი ღონისძიება იქნებოდა ლეკთა საკითხის გადასაწყვეტად. ს. მაყაშვილი შემთხვევით როდი აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ როცა ქართველმა მეფეებმა ჩერქეზები დაქირავეს ლეკების წინააღმდეგ საომრად, მაშინ დაღესტნელები შეუფოთდნენ, რადგან ჩერქეზები რუსეთის მთავრობის მიერ გამოგზავნილი ეგონათ. ქართველი ელჩი ცდილობდა რუსეთის მთავრობისათვის აეხსნა ლეკიანობასთან ბრძოლის სპეციფიკა. ის აღნიშნავდა, რომ თუმცა თეიმურაზსა და ერეკლეს ჰყავდათ ოცათსიანი ლაშქარი, მაგრამ ლეკთა თარეშის მოსაგერიებლად ამ ლაშქრის მუდმივად თოფქვეშ ყოლა ქონებრივად შეუძლებელი იყო. ალბათ იმის გამო, რომ რუსეთის მთავრობას არ შეჰქმნოდა მცდარი შეხედულება თეიმურაზის და ერეკლეს ძალაზე, რომ თითქოს და ისინი მოეთქმებოდნენ კაზაკთა სამათსიანი ლაშქრის გამოგზავნაზე ამყარებდნენ, მაყაშვილი ლაპარაკობდა ქართველთა მზადყოფნაზე დაელაშქრათ ირანის ქალაქები. ალბათ ამავე მიზანს ემსახურებოდა ათანასესადმი 1752 წლის სექტემბერში თეიმურაზის მიერ გაგზავნილი წერილი. მეფე ავალბედა თავის ელჩს რუსთა მთავრობისათვის ცნობებიანი ერეკლე მეორის გამარჯვება შაქ-შირვანისა და ლეკთა გაერთიანებულ ლაშქარზე. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ქართლისა და კახეთის მეფეები საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკის გააქტიურების მოთხოვნისას, კარგად ითვისებდნენ იმას, რომ ეს უშუალოდ იყო დაკავშირებული არა მხოლოდ ირანთან, არამედ თურქეთის პრობლემასთანაც. ამას მოწმობს თეიმურაზ-ერეკლეს 1752 წ. 11 აგვისტოს წერილი ელჩებისადმი. ისინი იტყობინებოდნენ სულთანის განწრაზვას ყარსისაკენ გაგზავნა ტრაპიზონის ფაშა ჯარითურთ. ქართველი მეფენი ავალბედნენ ელჩებს ეს ცნობა რუსთა მთავრობისათვის მიეწოდებინათ.

მაგრამ ქართლ-კახეთის ელჩობის მიზნების მხოლოდ ამით შემოფარგვლა არ შეიძლება.

არსებითად, საელჩოს ამოცანებში ხომ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა შედიოდა როგორც იყო საერთოდ საქართველო-რუს-

¹ ი. ცინცაძე. ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში (1752—1754).

სეთის პოლიტიკური კავშირის დამყარება, უფრო სწორედ კი, აღდგენა. მაგრამ ეს პოლიტიკური კავშირი ამჯერად ხომ ქართლ-კახეთის სამეფოების მიერ კახელი ბაგრატიონების მეთაურობით ხდებოდა. მართებულაა ვიფიქროთ, რომ თეიმურაზ მეორე და ერეკლე მეორე ამ აქტით ცდილობდნენ ერთი მხრით, მოეშალათ რუსეთის მთავრობის მხარდაჭერა ვახტანგ მეექვსის მემკვიდრეებისათვის, რომლებიც რუსეთში იმყოფებოდნენ და, მეორე მხრივ, ჩაეფუშათ ქართლის თავადთა ოპოზიციის გეგმები, რომ ქართლელი ბაგრატიონებისათვის ტახტი დაებრუნებინათ.

ცნობილია, რომ ქართლელ დიდგვაროვანთა შორის თეიმურაზ მეორეს იმ თავითვე მომხრეებთან ერთად მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა. აღსანიშნავია ისიც, რომ თეიმურაზ მეორემ ქართლის ტახტისათვის ბრძოლისას კარგად გამოიყენა ის მდგომარეობა, რომ ვახტანგ მეექვსე მისი სიამამი იყო. ქართლში თეიმურაზის გამეფება კი ნიშნავდა, რომ ტახტის კანონიერი მემკვიდრე მისი შვილი ერეკლე უნდა ყოფილიყო. სოლო ვახტანგ მეფის შთამომავალნი ამით კარგავდნენ უფლებას ქართლის ტახტზე. სრულიად გასაგებია ის გრძნობები რაც ვახტანგ მეექვსის ძეს — ბაქარს გაუჩნდებოდა ქართლში თეიმურაზის გამეფების ცნობის მიღებისას.

1748 წლის მაისში ბაქარი კატეგორიულად მოითხოვდა საქართველოში დაბრუნებას. ელისაბედისადმი გაგზავნილ წერილში განსხვავებით თავის წინანდელი განცხადებებისა, როცა ის უარს ამბობდა ნადირ-შაჰთან გამგზავრებაზე, ამჯერად მზად იყო ირანში წასულიყო. ისიც კი სცადა, რომ დაესაბუთებინა თუ რა სარკებელს ნახავდა ამით თვით ირანის შაჰი.

«... ежели всемилоштивейшее соизволение ВИВ будет, ныне обстоит время такое, что ВИВ повеление безпрепятственно доставить оное наше отечество и без труда дальнейшаго нам может, понеже ежели нынешний шах уведает, что под милостивою протекцией ВИВ в сем состою и ВИВ соизволение на оное будет, чтоб оное наше отечество от него отдано нам было невозможно в нынешнем состоящем ево времени чтоб не допустил и не отдал...»

Небезизвестно, слухом достоверным состоит, что нынешний шах ко всем грузинской нации людям показывает доброжелательную милость и стараетца чтоб во охранение себя и при близости своей оных грузинцов содержать и ежели же всемилоштивейшим повелением по соизволению ВИВ оное мое отечество от него шаха мне от-

дастся и прибытие мое к шаху увидят, то к немалому благополучию и приращению и ево шаховой силы воследовать может, того ради что увидят ВИВ чрез то к нему милость, то народ персицкой в покорение и в послушание шаху притти скорейше может»².

ამასთანვე ბაქარი ხაზს უსვამდა იმას, რომ თუ რაიმე მიზეზის გამო რუსეთი მიზანშეწონილად არ ჩათვლიდა მის გამგზავრებას ირანში, მაშინ მას სურდა წასულიყო საქართველოში. მაგრამ ბაქარის წინადადებები ამუშავდაც არ აწყობდა რუსეთის მთავრობას. ის ცდილობდა შეენიღბა თავისი დაპყრობითი გეგმები და კვლავ თავს არიდებდა ქართულ საქმეებში ჩარევას. რუსეთის მთავრობას არ სურდა თურქეთისათვის ეჭვიანობის საბაზო მიეცა და ამით ურთიერთობა გაემწვავებინა.

ამავე დროს იცოდა ბაქარის დაუოკებელი სურვილი სამშობლოში დაბრუნებისა და ფრთხილობდა, რომ ქართლის ტახტის მემკვიდრე არ გახსტკომოდა ხელიდან.

1748 წლის ივნისში საგარეო საქმეთა კოლეგიამ მიიღო ანონიმური წერილი, სადაც ნათქვამი იყო ბაქარის საეჭვო საქციელზე.³ ამის შედეგად 15 ივნისს საიდუმლო სამძებრო კანცელარიის უფროსს უშაკოვს დაევალა ბაქარზე ფარული მეთაულყურების დაწესება.⁴ თავის მხრივ ბაქარი კი კვლავ დაუინებოთ მოითხოვდა საქართველოში დაბრუნებას. ამის გამო მას განუცხადეს, რომ თუ ის დაბრუნდებოდა ქართლში თავის სამფლობელოს მისაღებად, მაშინ მას რუსეთში ბოძებულ მამულებს ჩამოართმევდნენ. და როცა ბაქარი ამაზე დათანხმდა, მაშინ 1749 წელს ბრძანებულემა გასცეს მისი მამულების კონფისკაციის შესახებ. ამავე დროს რუსეთის მთავრობა ბაქარს პირდებოდა, რომ თუ ის უარს იტყოდა საქართველოში წასვლაზე მისი სახლი ახალ წყალობას მიიღებდა.⁵ მაგრამ ბაქარი თავისაზე იღვა. თითქმის უკვე ყველაფერი იყო გამზადებული გამოსამგზავრებლად. მაგრამ 1750 წ. 1 თებერვალს ბაქარი გარდაიცვალა.

მისი სიკვდილის შემდეგ ქართლის ტახტზე ალექსანდრე, ბაქარის ძე ოცნებობდა. 1766 წ. ალექსანდრე გამომგზავრა რუსეთიდან და დიდხანს თავს აფარებდა დადესტანს, ყაზარდოსა და იმერეთსაც კი. 80-იან წლებში ის დარუბანდში იმყოფებოდა და მხოლოდ 1788

² ЦГАДА, ф. XV, д. № 95, лл. 10 об. — 11.

³ იქვე, ფ. ფ. 3—5; 20.

⁴ იქვე, ფ. 19.

⁵ АВПР, ф. Сношения России с Грузией, 1749, д. № 19а лл. 1—6 об.

წელს ფათ-ალი ხანმა ალექსანდრე რუსეთს გადასცა.⁶

ერთი სიტყვით, ემიგრაციაში მყოფი ქართული ბაგრატიონები ყოველთვის ცდილობდნენ ქართლის ტახტზე დაბრუნებას. როგორც ცნობილია, ანალოგიური მისწრაფებები ჰქონდათ ვახტანგ მეექვსის ძმის იესეს შთამომავლებსაც, რომლებიც საქართველოსა და ირანში იმყოფებოდნენ. მაგრამ ქართლში თეიმურაზისა და კახეთში ერეკლეს გამტკიცების შემდეგ, ვინაიდან ისინი აღმოსავლეთ საქართველოს ფაქტიურად გაერთიანებული სამეფოების პირობებში ახორციელებდნენ საერთო ეროვნულ პოლიტიკას, ქართლელ ბაგრატიონთა რესტავრაციის ყველა ცდა უკვე რეგრესულ ხასიათს ატარებდა. თვით საქართველოში კი ქართლელ ბაგრატიონთა აღდგენას მხარს უჭერდნენ მხოლოდ რეაქციული ძალები, იმ ფეოდალური ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებიც შეშინებულნი იყვნენ ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებით და ეწინააღმდეგებოდნენ მას, ანდა ის პირები, ვინც პირადად იყო უკმაყოფილო თეიმურაზითა და ერეკლეთ. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა უკმაყოფილო გამოდიოდა ქართლის ტახტზე კანონიერი მემკვიდრეების — ვახტანგ მეექვსის შთამომავლების აღდგენის იდეით. და რადგან ეს მემკვიდრეები რუსეთის მფარველობის ქვეშ იყვნენ, ოპოზიციონერებს, ბუნებრივია, თეიმურაზსა და ერეკლეს წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის მთავრობის დახმარების იმედს ჰქონდათ. ამას თავლანთივ მოწმობს კათოლიკოს ანტონ პირველის 1757 წლის 17 მარტის წერილი, გაგზავნილი ელისაბედ დედოფლისადმი.

«И хотяб для сего врученное мне от бога стадо и оставил не надлежало, однакож, когда я наставлял князей к обращению от грехов, а паче вразумлял дабы они от неправды отлучались, того снести не хотели; и затем пожелали меня вовсе от престола моего отлучить, но токмо желаемого без причины получить не могли и затем меня обвинили и выговорили чтобы я ехал куды похочу. Ныне ж царствующие в Грузии не наследники престола нашего, а Грузия принадлежит деду моему и в наследство фамилии моей. Хотя же я и монах был, но токмо не такой, которой бы жил всегда в монастыре, и затем все князья и почтенные люди как воспитаны от дяди и отца моего,

когда они обидимы бывали, ко мне прибегали и я их всегда утешал, к чему и званию тому дозволяю, чего царь вытерпеть и снести не возмogli и пожелав меня от престола моего отлучить восприял к тому причину и оклеветав обвинил меня напрасно»⁷.

1759 წ. ამავე განწყობას გამოხატავს იესეს მეორე შვილი ალექსანდრე, რომელიც დაბავებული-გაზრდილი იყო ირანში, მაგრამ ვერ შესძლო ირანის დახმარებით ქართლის ტახტზე ასვლა და ამის გამო გადავიდა რუსეთში თავის ძმა ანტონთან.⁸

ქართლში თავადთა ძლიერი ოპოზიციის არსებობას მოწმობს მთელი რიგი წყაროებისა და ამის შესახებ აღარაფერს ვიტყვით. აღვნიშნავთ, მხოლოდ იმ ფაქტს, რომ 1765 წელს ერეკლე მეორემ გახსნა რეაქციულ თავადთა შეთქმულება ბატონიშვილ პაატას მეთაურობით.⁹

თუ გავითვალისწინებთ ყველა ამ დინასტიურ შუღლს და რეაქციულ თავადთა წინააღმდეგობას, მაშინ თავისთავად გასაგები იქნება, რომ თეიმურაზი და ერეკლე გაერთიანებული ელჩობის გაგზავნით ცდილობდნენ, რომ თეიმურაზ მეორე რუსეთს ქართლის მეფედ ეცნო. მაშასადამე, რუსეთის მთავრობას იმის გარანტია უნდა მიეცა, რომ აღარ დაუჭერდა მხარს ვახტანგ მეექვსის შთამომავლებს, ვთარცა ქართლის ტახტის პრეტენდენტებს.

ამგვარად, თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორის დიპლომატიის მთელი არსი გამოიხატებოდა შემდეგში:

1. მოეგონებინათ რუსეთის მთავრობისათვის, რომ ისინი იყვნენ კანონიერი მემკვიდრეები როგორც კახეთის ისე ქართლის ტახტისა, რომელსაც მათი უშუალო წინაპრები თეიმურაზ პირველი და ერეკლე პირველი ფლობდნენ. ამასთანავე, რომ ისინი დახმარებისა და მფარველობისათვის რუსეთის იმპერატორს მიმართავდნენ რუს მეფეებსა და მათ წინაპრებს — ქართველ მეფეებს შორის დადებულ ხელშეკრულებათა უფლებით. ამის თვალსაჩინო მოწმობა იყო მეფე ალექსი მიხეილის ძის სიგელის ასლი, რომელიც თან წაიღეს ქართველთა ელჩებმა.


2. უნდა ეგრძობებინათ რუსეთის მთავრობისათვის, რომ თეიმურაზ მეორე და ერეკლე მეორე მტკიცედ ისხდნენ თავიანთ ტახტზე და მათი სამფლობელო სერიოზული ძალა იყო ამი-

⁶ О. П. Маркова. Феодалная реакция на прогрессивную политику единовластия в Грузии (выступление князя Александра Грузинского, 1766—1783 гг.) «Ис. Кавк. обл.», Кавказского исторического общества, Тбилиси, 1966 წ.

⁷ ი. ცინცაძე. რამდენიმე ახალი ცნობა XVIII საუკუნის ქართლის ისტორიისათვის. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1942, გვ. 22.

⁸ იქვე, გვ. 24.

⁹ საქართველოს ისტორია, ტ. I, თბილისი, 1958 წ. გვ. 354.



ერკავკასიაში. ხოლო ამის გამო რუსეთი უნდა დაინტერესებულიყო ქართლ-კახეთით.

3. მიედწით იმისათვის, რომ რუსეთს თეიმურაზ მეორე ქართლის მეფეთ ეცნო და ამ გზით გაენიჭარღებინათ ვანჭანე მეექვსის შთამომავლები. ეს კი თავის მხრით დაასუსტებდა მტრულად განწყობილ თავადთა ოპოზიციას ქართლში.

4. მიედლოთ რუსეთის დახმარება დადესტენილი ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

თეიმურაზისა და ერეკლეს მოქმედება ნაპარნახევი რომც ყოფილიყო მხოლოდ ეგოისტური, ვიწროდინასტიური ინტერესებით, არსებითად ის მაინც პროგრესული ხასიათის მატარებელი იყო. რადგან მათი ეს საქმიანობა ხელს უწყობდა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოების გაერთიანებას და ამგვარად ემსახურებოდა სერთო ეროვნულ ინტერესებს.

თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორის თხოვნათა (ლექთა თარეშის ასალაგმავად კაჯაკთა დამხმარე რაზმის გამოგზავნა) დაკმაყოფილება თითქოს და არ უნდა ყოფილიყო რუსეთისათვის ძნელად შესასრულებელი, მაგრამ სინამდვილეში ყოველივე ეს ადვილი არ აღმოჩნდა და ქართლ-კახეთის ელჩობამ მიზანს ვერ მიაღწია.

XVIII საუკუნის 50-იან წლებში ევროპაში საერთაშორისო ურთიერთობა ძლიერ გამწვავდა. ამას მოჰყვა შვიდწლიანი (1756-1763) ომი. რუსეთის მთავრობა ძირითადად ევროპის საქმეებით იყო გართული. ის პრუსიასთან სამხრად ემზადებოდა. ამის გამო რუსეთის მთავრობა თურქეთთან ურთიერთობის გაუარესებას გაუბრუნდა და საქართველოს საქმეებში ჩარევას მოერიდა.

ამის თაობაზე სათანადო მასალა ჯერ კიდევ ისტორიკოსმა ს. სოლოვიოვმა გამოაქვეყნა, რის საფუძველზეც პროფ. ი. ცინცაძემ თავის ნაშრომში ყოველივე ეს აღნიშნა. ამიტომ ამ ფაქტებზე ჩვენ ყურადღებას აღარ შევაჩერებთ. მაგრამ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მაინც აღვნიშნოთ ის, რომ რუსეთ-ევროპის ურთიერთობათა რთული გადახლართვა უცილობლად თურქეთის საკითხთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, ევროპის დიპლომატია რუსეთთან ბრძოლაში ყოველთვის ცდილობდა თურქეთის გამოყენებას. ელისაბედის კარზე მყოფი საფრანგეთის ელჩი თავის ერთ-ერთ მოხსენებაში პარიზს შემთხვევით არ წერდა, რომ ეს იყო ძველი ნაცადი საშუალება.

იმის გამო, რომ რუსეთი თურქეთთან ომს გაუბრუნდა, — წერდა იგი, — ჩვენ შეგვიძლია თურქეთის ჩვენს სასარგებლოდ გამოყენება. კერძოდ, თურქეთს შეუძლია შეუხიოს რუსეთს ყირიმული თათრები. ეს რუსეთს შეაშინებდა, ხოლო თურქეთის მთავრობას ყოველთვის შეუძლია უარი თქვას ამ შემოსევების პასუხისმგებლობაზე.¹⁰

მაგრამ, რუსეთ-თურქეთის ურთიერთობათა გამწვავების პოლიტიკით ევროპის ქვეყნებს სურდათ რუსეთის მოქმედებათა შეწყვეტა არა მხოლოდ ევროპაში, არამედ შუა აღმოსავლეთშიც, კერძოდ, ირანში, სადაც მათ გარკვეული ინტერესები ჰქონდათ. ამ ინტერესებს მოწმობს ისიც, რომ XVIII-ს. 50-იან წლებში ევროპაში რამდენიმე ნაშრომი გამოქვეყნდა. მაგალითად, პარიზში კლერაკ დე მამისა და პეისონელის შრომები გამოვიდა, ხოლო ინგლისში ცნობილი კომერსანტისა და მოგზაურის ჰანვეის შრომები გამოსცეს. როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ი. მარკოვა ორ ენაზე ერთდროულად ნაშრომების გამოცემა ირანსა და ამიერკავკასიაზე გამოწვეული იყო არა მხოლოდ პირადი ინტერესებით, არამედ დაკავშირებული იყო ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკასთან, კაპიტალის ინტერესებთან მახლობელ და შუა აღმოსავლეთში.¹¹

ხოლო ისეთმა ფაქტებმა, როგორცაა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოთა გაძლიერება, მათი გავლენის ზრდა ამიერკავკასიაში, ერეკლე მეორის სამხედრო წარმატებები, რაც აწუხებდა თურქეთს, დასავლეთ ევროპის პრესა აახმაურა. ერეკლეს მიაწერდნენ ისპაჰანის დაპყრობასა და ანტითურქული მოქმედების დაწყებას. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1753 წ. ნოემბერში რუსეთის მთავრობამ მიზანშეწონილად ჩათვალა თავის პრესაში თურქეთის დამარცხების მიზნით ყოველივე ეს ხმები ოფიციალურად უარეყო.¹²

ერთი სიტყვით, რუსეთის მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა არ მიეცა თურქეთისათვის გაღიზიანების საბაბი. ცხადია, ამავდროს რუსეთი თურქეთთან ომის შემთხვევისათვის სათანადო საფრთხილო ზომებსაც ღებულობდა. მაგალითად, 1753 წ. ივნისში მოსკოვში დადებული იქნა საიდუმლო თავდაცვითი ხელშეკრულება ავსტრიასთან. ორივე მხარე კისრულობდა ვალდებულებას თურქეთთან ომის შემთხ-

¹⁰ П. В. Безобразов. О сношении России с Францией, М., 1892, стр. 194.

¹¹ О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII в., М., 1966, стр. 134.

¹² П. Г. Бугков. Материалы для новой истории Кавказа... ч. 1, СПб, 1869, стр. 387—394.

ვეკაში. დაუყოვნებლივ დაეწყო საომარი მოქმედება.¹³

ამგვარად, ელისაბედის მთავრობა აქტიურად მოქმედებდა პრუსიის მიმართ და ყოველმხრივ ცდილობდა თურქეთთან მშვიდობიანი პოლიტიკა გაეტარებინა. ასე იყო შვიდწლიან ომამდე და მითუმეტეს თვით ომის დროს.

1756 წ. მარტში ელისაბედის მიერ რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკური კურსის განსახადგრელად მოწვეულმა სპეციალურმა კონფერენციამ დაადგინა: «Стараться туток и шведов держать в спокойствии и бездействии; оставаться в дружбе и согласии с обеими этими державами, чтобы с их стороны не было ни малейшего препятствия успеху здешних намерений относительно сокращения сил короля прусского»¹⁴.

გასაგებია, რომ შექმნილ ვითარებაში რუსეთის მთავრობა სრულიადაც არ ჩაერეოდა ქართულ საქმეებში, რათა არ გაეღიჯებინა თურქეთი. ამავ დროს, დროის გაჭიანურებისა და თემურაზ-ერეკლესათვის ოფიციალური პასუხის მიცემისაგან თავის შეკავებით, როგორც ჩანს, რუსეთის მთავრობა ცდილობდა საქმეები ისე მოეწყო, რომ ხელიდან არ წასვლიდათ საქართველოს რეალური მეფეები — მამა და შვილი, და აგრეთვე რუსეთში მცხოვრები ქართველი ბაგრატიონები. ამ საქმეში რუსეთის მთავრობას გარკვეული სამსახური გაუწია ათანასე თბილელმა, რომელიც ქართლელი ბაგრატიონების მხარეზე აღმოჩნდა. თავისი პასუხობით მან ქართლ-კახეთის ელჩობის საქმიანობა შეზღუდა და ამით, ცხადია, საერთოდ მისიის მნიშვნელობაც შეამცირა.

ამიტომ შემთხვევითი არ იყო რომ, როცა თბილელმა გადაწყვიტა რუსეთში დარჩენა და თემურაზი და ერეკლე ყოველ დონეს ხმარობდნენ მისი საქართველოში დაბრუნების დასახატუბებლად, რუსეთის მთავრობამ ათანასე დაცვა და ქართველ მეფეებს თხოვნაზე უარი უთხრა.

რაც შეეხება მეორე ელჩს ს. მყაუზილს, ის ყველა დონეს ხმარობდა რომ მიეღო რუსეთის მთავრობის პასუხი. ს. მყაუზილი უმიზეზოდ არ სდებდა ბრალს ათანასე თბილელს რუსეთის კანცლერ ა. პ. ბესტუჟევ-რიუმინის იგნორირებაში, როგორც ჩანს მყაუზილმა იცოდა, რომ კანცლერსა და ვიცე-კანცლერს ვორონცოვს შორის ბრძოლა იყო. მან ისარგებლა იმ შემთხვევით, რომ ათანასე ოფიციალურად შეხვდა მხოლოდ ვორონცოვს და მისწერა კანცლერს, რომ ოთქქოს და თბილელმა ბესტუჟევ-რიუმინს დაუმალა ქართველ მეფეთა წერილი. ამით მას სურდა ათანასეს დისკრედიტირება და ამავ დროს უნდოდა რაიმე გავლენა მოეხდინა რუსეთის მთავრობაზე, რომ მისგან მიეღო პასუხი. 1758 წ. ოქტომბერში უკვე თემურაზმა და ერეკლემ მიმართეს ელისაბედს წერილით. ისინი სთხოვდნენ დაეჩქარებინა პასუხი და დაებრუნებიათ ელჩები. მხოლოდ 1754 წ. მარტში ელისაბედმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა ეს საკითხი კანცლერის მიერ შემოთავაზებული წინადადებების მიხედვით. თავის მოხსენებით ბარათში კანცლერი წერდა:

«...интересы здешней империи... того требуют, чтоб самым делом в зашишение грузинцов и в сопряженные с тем персидские дела отнюдь не вступать и немешаться сколь долго турецкой двор в таком же молчании об онных пребудет. И понеже всякой повод к подозрению отнимать надобно, которое турки возиметь могли, в том что российской императорской двор с грузинскими царями сношение имеет и в тамошние дела вступает. Того ради, не надлежит на прошении их с помянутыми присланными от них митрополитом и князем Макаевым что-либо письменно отвечать, ибо такая письменная пересылка у них грузинцов не токмо скрытна быть не может, но они тем еще и похваляться станут».

ამის გამო გადაწყვიტეს, რომ საპასუხო წერილი ქართულ ენაზე მიეცათ, თანაც ისე, რომ მასში არ ყოფილიყო ნახსენები არც აღრესატი და არც გამგზავნი, ე. ი. გაცეთ არა ოფიციალური დოკუმენტი.

ამის გამო გადაწყვიტეს, რომ საპასუხო წერილი ქართულ ენაზე მიეცათ, თანაც ისე, რომ მასში არ ყოფილიყო ნახსენები არც აღრესატი და არც გამგზავნი, ე. ი. გაცეთ არა ოფიციალური დოკუმენტი.

წერილში საერთოდ იყო ნათქვამი, რომ იმპერატორის კარზე დიდი მწუხარებით შეიტყვეს საქართველოს მიმე მდგომარეობა, მაგრამ გაუვალი მთებისა და შორი მანძილის გამო ვერ გაგზავნიან ჯარს დასამარებლად. ჩერქეზების, ე. ი. ყაბარდოელების, გამოგზავნა კი უბრალოდ არ შეეძლოთ იმის გამო, რომ ისინი რუსეთის ქვეშევრდომნი არ იყვნენ.

შემდეგ წერილში გამოთქმული იყო გაკვირება იმის გამო, რომ ყუმუხები თავს ესხმოდნენ საქართველოს. პირობას იძლეოდნენ, რომ ყოვლარში მხოლოდ ყუმუხებისათვის გაგზავნიდნენ სათანადო მიწერილობას და ხაზს უსვამდნენ, რომ სხვა მთიელები რუსეთის გავლენის სფეროში არ იყვნენ. შემდეგ ამედეგდნენ ქართლ-კახეთის მეფეებს, რომ მათ რწმენა არ დაეკარგათ რუსეთის მხარდაჭერისა, რომ მათ პირველი შესაძლებლობისთანავე დახმარებას

¹³ Н. Н. Бантыш-Каменский. Обзор внешних сношений России, ч. I, М., 1894. стр. 72.

¹⁴ П. В. Барановский. О сношениях России с Францией, стр. 213.

აღმოუჩენდნენ, ცხადია, თუ ქართველი მეფე-ები რუსეთის ერთგულნი იქნებოდნენ.¹⁵

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ათანასე თბილელმა ავადმყოფობა მოიმიჯნა და სამუდამოდ დარჩა რუსეთში. საქართველოში პასუხით დაბრუნდა ს. მაყაშვილი.

ბუნებრივია, ელისაბედის მთავრობა დაინტერესდებოდა, თუ როგორი კმაყოფილებით შეხვდებოდნენ თეიმურაზი და ერეკლე ელჩობის შედეგებს, კერძოდ, დარჩებოდნენ თუ არა ისინი რუსეთის ორიენტაციისა და ხომ არ დაიწყებდნენ თურქეთის მფარველობის ძებნას, ამის თაობაზე ინფორმაციის მისაღებად და საერთოდ ირანისა და თურქეთის შესახებ სათანადო ცნობების შესაქრებად ბესტუჟევი-როუმინის წინადადებით საქართველოში გამოგზავნეს ქართველ პუსართა პოლკის კაპიტანი ოთარ თუმანოვი.

ამგვარად, ქართლ-კახეთის ელჩობამ დასახულ მიზანს ვერ მიაღწია. რუსეთის იმპერატორი თეიმურაზსა და ერეკლეს არ დაეხმარა. მართალია, ელჩობა რუსეთის მთავრობამ ოფიციალურად მიიღო, მაგრამ ოფიციალური პასუხი არ გასცა. ამდენად, ამოცანა რომელიც საელჩოს დააკისრეს კახელმა ბაგრატიონებმა რუსეთში მცხოვრები ქართლელი ბაგრატიონების პოლიტიკური ნეიტრალიზაციისა გადაუწყვეტელი დარჩა. ვასაგებია, რომ ეს განსაკუთრებით აწუხებდა ქართველ მეფეებს. ელჩობის მარცხი საქართველოში შექმლეთ სხვაგვარად გაეფოთ და ოპოზიციონერებს ეს ამბავი თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ამ მხრივ საინტერესოა ოთარ თურმანოვის 1756 წ. 22 მაისის მოხსენებითი ბარათი. ეს ბარათი მან საგარეო საქმეთა კოლეგიას მიართვა. აქ იგი წერდა ქართლ-კახეთის მეფეების რუსულ ორიენტაციაზე და ქართლში თავადაწარსული ოპოზიციის არსებობის შესახებ.

„საქართველოს მეფეებმან, — წერდა თუმანოვი, — მიბრძანეს რუსეთის ერთგულობაზედ თავის დადება... ყოველთვის იქ ჭორები გაიშლებს რომე მეფე ვახტანგის ძენი ანუ იმისი ჩამომავლობა მოდიანო, ამაში ის კახბატონებს ეფიქრებათ, თუმიცა რუსეთმან დაიჭიროსო იმათ მიცემენო თავათ სამკვიდროსო, ამიტომ ბე-

ჯითად არ ეჭიდებან, კახეთს უფრო ხელს უწყობენ. ამიტომ დაფარული პარტიები არის... ქართლის მეფე თეიმურაზ უფრო მშვიდი და მოწყალე არის საქმე სლაბად უჭირავს, მისი შვილი ერეკლესი უფრო ეშინიათ უფრო საქმის წამყვანია, უმიხისოთ არა იქნება რა... ამ მეფე ვახტანგის შვილიშვილების ფიქრი არ ექნებოდეს. აქედამეც ნუგეში და წყალობა ექნებოდეს ერეკლეს, აქაური შიში იმ მხარეს რუსეთის ფიქრი აქვთ, ძალიანი სახერი არის რუსეთისა...“

ქართველს მეფეებს აქაური იმედი აქვთ რუსეთით კვებურობენ, რომ აქედან კაცნი მივლენ პატვის აძლევენ... ამ გვარის კაცით და რუსეთის ტანისამოსით ვიც მივა იამებათ, ამიტომ რომ გარეშეს მტერს აშინებენ, ყოველთვის მუცლის ზღაპრით ჭორები გაიშლებს, იქ ხომ სიტყვის დაშლა არ არის, ვისაც რა მოადგება იმას იტყვიან“.¹⁶

ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ თეიმურაზ მეორესა და ერეკლე მეორეს უნდა ეზრუნათ ელჩობის შედეგების სათანადო ინტერპრეტაციისათვის. პაპუნა ორბელიანის ცნობილი გამოთქმა ამ საკითხზე შესაფერისი, თვალსაჩინო მაგალითია. როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს პროფ. ი. ცინცაძე ორბელიანი ერთის მხრით ამართლებს საერთოდ ქართველ მეფეთა რუსულ ორიენტაციას და მიზანშეწონილად აცხადებს 1752 წელს გაგზავნილ ელჩობას, ხოლო მეორე მხრივ ცდილობს ახსნას ამ ელჩობის მარცხი. ამის მიზეზად ის ასახელებს საქართველოს შიგნით არსებულ ქიშპს და, რაც მთავარია, რუსეთში. მყოფ ქართულ ემიგრაციის მტრულ საქმიანობას.¹⁷

პაპუნას სიტყვებით რომ ვთქვათ „მაგრამ ვინა ქართველთა შვილნი რუსეთსა შინა იმყოფებოდნენ იმათ ერთმანეთის მტრობა და შური არ მოშალეს და ამათის მიზეზით ქართლში მოხმარება რუსთა აღარ ინებეს.“¹⁸

სურვილი იმისა, რომ რუსეთს თეიმურაზ მეორე ქართლის მეფედ ოფიციალურად ეცნო, უნდა ვეძიოთ 1752 წლის ელჩობის გარდა აგრეთვე იმ ფაქტში რომ 1760-1762 წლებში თვით თეიმურაზი გაემგზავრა რუსეთში.

15 იხ. ი. ცინცაძე. ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში... გვ. 157—162.

16 ი. ცინცაძე. კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები საქართველოდან (1754—1756). სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1946, ტ. XXVII, გვ. 26—28.

17 იხ. ი. ცინცაძე. ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში... გვ. 129—130; მისივე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიოგრაფიიდან, „მომომხილველი“, ტ. III, თბილისი, 1953, გვ. 97—98.

18 პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, ქართლის ცხოვრება, ნ. II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, სპბ, 1854, გვ. 458—459.

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

სამოცდათექვსმეტი გაცანადი



მისი ბიოგრაფია მეცხრამეტე საუკუნეში დაიწყო.

მერე რა, რომ სამოცდათექვსმეტჯერ მოესწრო ფოთოლცვენას; მერე რა, რომ სამოცდათექვსმეტჯერ შესცინა გაცანადს. ის შორეული დღეები მისთვის მუდამ ახალია, მოსაგონად სასიამოვნო, განცდით — თითქოს გუშინ იყო.

მაშინაც გაცანადი იყო, წლის ყველაზე ლამაზი დრო. მეთვრამეტე გაცანადი... უფროსმა ძმამ — გიორგიმ ბაქოში ჩაიყვანა. საყვავილე ფარდულში, სადაც გიორგი მუშაობდა, მეორე კარები შენიშნა, დაუკითხავად შეაღო და უცხო ხალხი დაინახა. კარი სწრაფად მიხურა, თითქოს რაღაცამ შეაკრთო — არავის მოელოდა. ძმას შეანათა ცისფერი, მეტყველი თვალები. გიორგის

არაფერი უთქვამს, მხოლოდ თავზე გადაუსვა ხელი და იქაურობა დროზე ადრე დატოვა. საღამოს კი დას ყველაფერი უამბო...

ეს ის დრო იყო, როდესაც ბაქო რევოლუციის ქარცეცხლში იყო გახვეული. სამრეწველო ქალაქი კავკასიის პროლეტარიატის, რევოლუციური ბრძოლების ერთ-ერთ დიდ კერას წარმოადგენდა. ბაქოს პროლეტარიატის სათავეში ი. ბ. სტალინი ედგა. გიორგი მისი უშუალო ხელმძღვანელობით ასრულებდა რევოლუციურ დავალებებს...

თავის რევოლუციურ ცხოვრებაზე ესაუბრა დას... მალე კობაც გააცნო. ალვასი მონუსხულივით იდგა მის წინ. თითქოს ხელმეორედ დაიბადა, ახალი ძალა იგრძნო. რაღაც გამოუცნობი სურვილი აღეძრა გამოდგომოდა ხალხს, მისთვისაც მიეცათ რაიმე დავალება, მასაც წვლილი შეეტანა დიდ საქმეში.

* * *

ალვასი თალაკვაძე ოჯახში ყველაზე უმცროსი იყო — მეთორმეტე შვილი. მამას — დარბ გლეხს უჭირდა მრავალრიცხოვანი ოჯახის რჩენა. უფროსი შვილი — გიორგი სამუშაოდ ბაქოში წავიდა, ერთ-ერთ მუშათა რაიონში მოეწყო და ოჯახს იქიდან ესმარებოდა. ალვასიმ სოფლის ორკლასიანი სასწავლებლის დასრულების შემდეგ ხონში ოთხკლასიანი სასწავლებელი დაამთავრა და მშობლიურ სოფელს — მთისპირს დაუბრუნდა. გაცანადის ერთ დღეს ბაქოში დროებით წაყვა ძმას. აქ კი მის ცხოვრებაში გარდატეხა მოხდა — თავისი ბედი თვითონვე გადაწყვიტა... და დარჩა ბაქოში.

დაიწყო ახალი ცხოვრება, სავსე ახალი გრძნობებით, ახალი შთაბეჭდილებებით. შორს დარჩა ლამაზი გურიის ცა — ოც-

ნებასავით უნაპირო და წარმტაცი, აქორილი კორტები...

თვალცქირალა გოგონა ნიავეით დაქროდა მუშათა სხვადასხვა რაიონებში, გადაქონდა პროკლამაციები, პოლიტიკური ფურცლები და გაზეთები.

მალე, ძმების დაკარგვით, ოჯახს უბედურება ეწვია. მწუხარებას სიღარიბე მოჰყვა. ალვასიც მშობლიურ ოჯახს უბრუნდება და გაჭირვებას უმსუბუქებს მშობლებს, ობლად დარჩენილ ძმების შვილებს. ამავე დროს განაგრძობს სახიფათო, მაგრამ საყვარელ საქმეს — არალეგალურ მუშაობას, არ წყვეტს კავშირს ბოლშევიკებთან. მალე მთისპირშიც ჩამოყალიბდა პარტიული უჯრედი, რომლის მდივანად ალვასი თალაკვაძე დანიშნეს. მძიმე, არალეგალურ პირობებში უხდებოდათ ბოლშევიკებს მუშაობა. მენშევიკების ანტიხალხური პოლიტიკადლითი-დღე იწვევდა მშრომელთა უკმაყოფილებას. კრებებს ხშირად ვახშობის მოწყობის სახით ატარებდნენ. მისი საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩათ და იძულებული იყო დაეტოვებია სოფელი.

1919 წელს მომწიფდა შეიარაღებული აჯანყების საკითხი. გურიაში აჯანყების ხელმძღვანელობისთვის ჩავიდა ცნობილი ბოლშევიკი გიორგი სტურუა. შეიქმნა აჯანყების ხელმძღვანელი შტაბი, განაწილდა ფუნქციები. ალვასი თალაკვაძეს გიორგი სტურუამ მორიგი დავალება მისცა, კონფერენციის მასალები უნდა გადაეცა მიხა ცხაკაიასთვის.

აჯანყებამ ოზურგეთის მაზრაში დანიშნულ დროს იფეთქა, მაგრამ მენშევიკებმა აჯანყება სისხლში ჩაახშვეს. მდგომარეობა გართულდა. მეშენევიკები დაგეილ მეძებრებით დაეძებდნენ ბოლშევიკების კვალს. ალვასიც დააპატიმრეს, მაგრამ მალე თავი დაადწია პატიმრობას, კვლავ დაუბრუნდა ძველ საქმიანობას. არ შეუნელებია არალე-

გალური მუშაობა... კვლავ კრებები... მინტიგები... და 1921 წელს სხვებთან ერთად იზეიმა 25 თებერვალი.

* * *

ალვასი თალაკვაძის ცხოვრება ახალი გზით წარიმართა. ოქტომბრის წინ დაბადებული — ხელმეორედ დაიბადა. ახალი ცხოვრების შექმნის მონაწილე გახდა — ეს ახარება. ბედნიერი ცხოვრება სრულიად ახალგაზრდამ — 30 წლისამ დაიწყო, მაგრამ გამოცდილება დიდი რამაა, ასაკთან შეუფერებელი ყურადღებით და გამოცდილი თვალთ უყურებდა ცხოვრებას.

ალვასის კარგად ესმოდა, რომ სოციალისტური რევოლუციის მიერ განთავისუფლებული ქალის ძალა და უნარი ფართო გამოყენებას პოუვდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ მიმართულებით ბევრი რამ გააკეთა გურიის კომიტეტში ქალთა განყოფილების გამგედ მუშაობის დროს, ხოლო 1924 წლის მაისიდან ალვასი თალაკვაძე ბათუმის საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილებას ხელმძღვანელობს. მის ძირითად ფუნქციებს შეადგენდა აჭარელი ქალის ჩაბმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

წარმოუდგენლად ძნელი იყო იმ დროს აჭარელ ქალთა შორის მუშაობა. მათთან ხომ ქალის უუფლებობის და დამონების საუკუნოვანი ტრადიცია მეფობდა. ქმარმა და სარწმუნოებამ მათთვის ცხოვრება ჯოჯოხეთად აქციეს. ჩადრაფარებულ დაჩაგრულ ქალებს მსხნელად სხვებთან ერთად ალვასიც მოველინა. სოფლებში ხშირად მარტო დადიოდა. ბევრჯერ ფეხით. ზოგ სოფელში მხოლოდ 15 ოჯახი ცხოვრობდა. რა დიდი ბრძოლა იყო საჭირო... ბევრგან მტრულადაც ხვდებოდნენ... ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა ე. წ. „ჩადრის ახდის კამპანიის“ ჩატარების დროს.

„—ძნელი ბრძოლა გველოდა წინ. ეს კია, რომ ცოტა პრიმიტიულად გვებრძოდნენ — სასიამოვნოდ ელიმება ალვასი თალაკვაძეს.

მაგონდება: ხულოს რაიონის, თუ არ ვცდები, სოფელ წირკბაძეებში, მივუახლოვდით თუ არა ერთ-ერთ სახლს, ხუთი ძალი აუშვეს და გადმოუშვეს ეზოდან. ბედად შევასწარით იქვე მდგომ ეტლში, თორემ კარგი დღე არ დაგვადგებოდა. ისე, არც მთელი ღამე ეტლში გატარება იყო სასიამოვნო. გვინდოდა სოფელი ისე არ დაგვეტოვებინა, თუნდაც ერთი ქალი რომ არ გადმოგვებირებინა“.

ვინ იცის, რამდენი ასეთის მოგონება შეუძლია ალვასის. დრომ თავისი გაიტანა... მალე ბათუმში დაარსდა აჭარელ ქალთა კლუბი ლიბკნეხტის ქუჩაზე, მოეწყო აჭარელ ქალების წერა-კითხვის სწავლება; ჩამოყალიბდა ჭრა-კერვის, მანქანაზე ბეჭდვის კურსები... აჭარელ ქალთა ცხოვრებაში თანდათან შეიჭრა სინათლე და 1929 წელს აჭარელი ქალები სრულიად მომზადებული შეხვდნენ თავიანთ პირველ ყრილობას.

— ძნელი იყო, ძალიან ძნელი ყამირის გატეხვა... დღეს კი მათი შვილები და შვილიშვილები შრომით ასახელებენ დედა სამშობლოს. ბევრის მკერდზე კიაფობს სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავი. უყურებ ამ დარბაისელ ქალს, მისი სახე და დათვლილი თმები განიშნებს გავლილ ქარიშხალს. ყურს უგდებ მის წყნარ, მშვიდ საუბარს და გინდა არც ერთი სიტყვა არ გამოგჩხეს. მისი წარსული ხომ ჩვენი ბედნიერებისათვის მებრძოლი ადამიანის ცხოვრებაა, ჩვენი ცხოვრების ისტორიის ფურცლებია.

წლების განმავლობაში ბევრ ადგილზე უხდებოდა ალვასი თალაკვაძეს მუშაობა.

1928 წლის დეკემბრიდან აჭარის უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს თავმჯდომარეა. ათასგვარი პროფესიის ხალხთან უხდებოდა ურთიერთობა, არავითარი ზედმეტი აღელვება. ყოველთვის დამაჯერებელი და მშვიდი ხმა... ეს ხმა უხსნიდა ადამიანებს თუ რაში ცდებოდნენ, რაში იყვნენ მართალნი, როგორ უნდა ემოქმედათ, როგორ გაეკაფათ ახალი ცხოვრების გზა.

ასრულებდა აჭარის უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობასაც.

* * *

სამოცდათექვსმეტ გაზაფხულს კვლავ სამუშაოზე ხვდება. იგი ქ. ბათუმის სამშობიარო სახლის და ბავშვთა პოლიკლინიკის იურისკონსულტია. დედათა და ბავშვთა ინტერესების დაცვას ემსახურება. თვალეში კვლავ მოუღლეელი ენერგია კიაფობს.

თაობები დავაჟკაცდნენ მის თვალწინ. ალვასის ყველა ახსოვს, ყველა უყვარს. ზოგი უკვე თმაშვერცხლილია, ზოგი სულ ახალგაზრდა, ზოგი უკვე სახელმძოვფეჭილი, ზოგი ახალბედა...

მერე რა რომ, სამოცდათექვსმეტჯერ მოესწრო ფოთოლცვენას, მერე რა, რომ სამოცდათექვსმეტჯერ შესცინა გაზაფხულს. ის შორეული დღეები მისთვის მუდამ ახალია, მოსაგონად სასიამოვნო, განცდით — თითქოს გუშინ იყო.

დ. ნანობაშვილი.

წერილები ჩვენი პარტიის ვეტერანებზე

გული კვლავ ახალგაზრდულად ძმის



საკუთარი მხრებით უზიდნია 79 წელი სერგი ნანიტაშვილს, მაგრამ წელთა სიმრავლეს არ დაუმძიმებია.

რა არ უნახავს მას ამ დროის მანძილზე...

ჯერ კიდევ სრულიად ბავშვმა შეიგრძნო ცხოვრების უკუღმართობა — თბობა და მოჯამაგირეობა, სიღატაკე და ვარამი... ხარაგაულის ორკლასიანი სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იძულებულია მუშაობა დაიწყოს რკინიგზაზე.

ცხრაასიანი წლები. მუშათა მოძრაობა მასობრივ ხასიათს იღებს. სერგი არალეგალურად მოწყობილ კრებებს ესწრება. სან-

დო ბინის გამოძენა და დაცვა, პოლიტიკური ლიტერატურის გავრცელება, მონაწილეობა მუშათა გამოსვლებში, რევოლუციური აგიტაცია — აი საკითხები, რაზედაც მსჯელობდნენ რევოლუციონერები. სერგიც მათ სულიერ ქურაში იწრთობოდა, მათ რევოლუციურ იდეებს მტკიცედ ითვისებდა.

რამდენადაც ძლიერად იყო გამსჭვალული მშობლიური მიწისა და ხალხის სიყვარული, იმდენად ძლიერად სძულდა მას ჩვენს მიწაზე მობოგინე მშრომელთა მტრები. 1905 წლის რევოლუციის დღეებში 17 წლის ჭაბუკი პირადად მონაწილეობს ხარაგაულსა და ძირულას შორის „ხანდებში“ მომხდარ შეტაკებაში, რომელიც რკინიგზის მუშებმა მეფის მთავრობას გაუმართეს.

იგი დიდი ენერგიით აგრძელებს რევოლუციურ საქმიანობას. მოხერხებულად ასრულებს არალეგალური ორგანიზაციის ყოველ დავალებას, ეწევა რევოლუციურ აგიტაციას. წინ კიდევ გრძელი და განსაცდელით აღსავსე გზაა გასავლელი. ეს გზა სერგის ამხანაგების სისხლითაა მორწყული, მაგრამ მას ხალხი ნათელი მომავლისაკენ მიჰყავს.

გარბიან დღეები. 1917 წლის რევოლუციამ სპარსეთში მოუსწრო. მოქმედ არმიამ მყოფი ს. ნანიტაშვილი აქტიურად მონაწილეობს ჯარისკაცთა გამოსვლებში, განაგრძობს სახიფათო, მაგრამ საყვარელ საქმეს — რევოლუციურ აგიტაციას მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა შორის.

რევოლუციის შემდეგ საქართველოში

დაბრუნებული სერგი მაქსიმეს ძე ნანიტა-შვილი ბოლშევიკური პარტიის რიგებში შევიდა. ეს იყო 1918 წელი. იგი ებმება ბრძოლაში მენშევიკთა უღელური მთავრობის წინააღმდეგ. ამის შესახებ თვით იგონებს:

„ახლადჩამოყალიბებული ხარაგაულის პარტორგანიზაციის გარშემო შეგქმენით ძლიერი რაზმი მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, აგიტატორ-პროპაგანდისტად ვიყავი გამოყოფილი და აგიტაციას ვეწეოდი მენშევიკების მიმართ. ვესწრებოდი არალეგალურ კრებებს და ვითვლებოდი აქტიურ მებრძოლ წევრად“.

მაგრამ მენშევიკებს როდი ეძინათ: მათ მხედველობიდან არ გამოპარვიათ სერგის თავგანწირული საქმიანობა. 1920 წელს პარტიული წრის სხვა წევრებთან ერთად იგი დააპატიმრეს და შორაპნის სამაზრო ციხეში მოათავსეს. შემთხვევამ იხსნა იგი გადასახლებიდან — 1920 წლის ივნისში საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც საქართველოს ბოლშევიკებს ლეგალური მუშაობის უფლება მიენიჭათ. პრინციპში, რასაკვირველია, ეს დროებითი, მოჩვენებითი მანევრი იყო — მენშევიკებს ბრძოლა ბოლშევიკების მიმართ არ შეუწყდებიათ.

1921 წლიდან აქტიურად მონაწილეობს რაიონისა და სოფლის რეკომების ჩამოყალიბებაში. ამ დროიდან მოყოლებული მუშაობს ბაზალეთის რეკომის თავმჯდომარედ, სამიწათმოქმედო სავარაუდო კომისიის თავმჯდომარედ, ხარაგაულის სათემო აღმასკომის თავმჯდომარედ, საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ.

1924 წლიდან იწყება მისი მოღვაწეობა მართლმსაჯულების ფრონტზე. ცამეტი

წლის განმავლობაში სახალხო მოსამართლეა იმერეთის სხვადასხვა რაიონებში. საკმაოდ დრო გავიდა მას შემდეგ, მოგონებები მაინც თვალსაზრისად შემორჩა: „1924 წლის აგვისტოს თვეში მენშევიკების ბანდიტური გამოსვლების გამო საქვევო პირები დავაპატიმრეთ და დამე იარაღსხმულნი ყვარაულობდით მოსახლეობის მშვიდ ცხოვრებას, დილით კი სასამართლოს სხდომებს ვაჭარებდით. იმ ხანებში უმეტესად ურჩ თავდაზნაურთა, სასულიერო პირებისა და ვაჭართა საქმეს ვიხილავდით“.

სერგი ნანიტაშვილი მთელი თავისი დაუცხრომელი ენერგიით მიჰყვება ახალი ცხოვრების შენებას. უხმაურად ასრულებს თავის მამულიშვილურ ვალს. მოსამართლე ს. ნანიტაშვილი საქველმოქმედო საქმიანობითაც გადატვირთულია. სოფელ დედაბერაში მისი ინიციატივით იხსნება დაწყებითი საშუალო სკოლა, მისივე ზრუნვის შედეგია ცხოვრებაში სასოფლო საბჭოს, გლეხთა კომიტეტისა და სოფლის კოოპერატივის შექმნა. იგი დიდ დახმარებას უწევს მოსახლეობას ჩიხას, არგვეთისა და ჭალის საშუალო სკოლების მშენებლობაში. სოფელ სხვიტორში ბევრი რამ კარგი გაკეთდა მისი უშუალო ხელმძღვანელობით.

1937 წლიდან ს. ნანიტაშვილი საქართველოს სსრ პროკურატურის სამოქალაქო განყოფილების პროკურორია. აქაც იგივე დაუცხრომელი ენერგია, მონდომება, მოწოდება...

დაიწყო დიდი სამაშულო ომი. საბჭოთა ადამიანებმა საომარ ყაიდაზე გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა. ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის! ამ მოწოდებით იყო შთაგონებული ყოველი მოქალაქე და სერგიც გაათკეცებული ენერგიით ასრულებს მასზე დაკისრებულ ყველა

საქმეს. კალინინის რაიონში ჩამოყალიბებული „გამანადგურებელი ბატალიონის“ აქტიური წევრია, რისთვისაც აჯილდოებენ მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

ომის შემდგომ იურისკონსულტის საქმიანობას ეწევა. სამართლებრივ საკითხებზე დასკვნები, პროცესუალური დოკუმენტების შედგენა, სამოქალაქო საქმეთა წარმართვა სასამართლოში, არბიტრაჟსა და სხვა დაწესებულებებში, ხელშეკრულების პროექტების შედგენა და ვიზირება, — მისი ძირითადი მოვალეობაა. თავისი დაწესებულების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ნიჭიერი ქომავია...

სიხარულით აცოცხლებს განვლილ დღეებს თავის გონებაში და თან ისეთი ამღვრე-

ბული ხმით ჰყვება, თითქოს განიშნებს სათქმელი ბევრზე ბევრი მაქვსო. ყველაფრის ჩამოთვლას მაინც ვერ ახერხებს იმდენი სიკეთე აქვს დათესილი...

და ახლა ეს მოხუცი განახლებულ ცხოვრებას გაჰყურებს, იმ ცხოვრებას, რომლის შემქმნელი მრავალ ათასებთან ერთად თვითონაც არის. დგას ვალმოხდილი და პირნათელი, შეჰხარის შვილებსა და შვილიშვილებს და თითქოს საკუთარი ცხოვრების მაგალითით გზას უჩვენებს — მათ ხომ ბოლომდე უნდა მიიყვანონ ის სანუკვარი საქმე, რომელსაც თვითონ ასე კაცურად ემსახურება მთელი თავისი ლამაზი ცხოვრების მანძილზე.

ლ. ისაკაძე

ნაქარაზი

მ ო თ ხ რ ო ბ ა *

მათე დინჯად ლაპარაკობდა, სუფთად, გამართული რუსულით.

არც ერთი გრამატიკული შეცდომა, არც ერთი დამახინჯებული სიტყვა, თვით წინადადების კონსტრუქციაც კი სხარტი იყო და უნაკლო.

ხარაბაძე კითხვას კითხვაზე უსვამს: ვინ არის? როდის ჩამოვიდა წყალტუბოში? სად ბინადრობს და საიდან მოვიდა? ჩარგევი ზოგ მათგანზე პასუხობს — ვილნიუსში ცხოვრობს, ტაქსომოტორის პარკის დისპეტჩერია. წყალტუბოში დასასვენებლად ჩამოვიდა. სასტუმროში ბინადრობს, 103 ნომერში. უკვე 18 დღეა ჩამოსულია, რამდენიმე დღეში უკან უნდა დაბრუნდეს.

ხარაბაძეს ეჭვი ებარება მისი პასუხების სისწორეში, განმეორებით ეკითხება სად გაიცნო ზასკაკოვა.

ჩარგევი აღშფოთდა, უარი ვანაცხადა პასუხის გაცემაზე და კატეგორიულად მოითხოვა პროკურორი.

— კეთილი, იი ვათენდება და პროკურორიც მოვა, შეუსრულებენ ჩარგევის კანონიერ სურვილს, მანამდე კი...

— მანამდე ჩემი ვალია დაგაკავოთ! — უცხადებს ხარაბაძე.

— დამაკავოთ? რომელი კანონით, რა საფუძვლით? ხომ არ ჰგონია პატივცემულ მაიორს, რომ ასეთ უკანონობას შეარჩენენ? მადლობა დმერთს ახლა კანონს განუხრელად იცავენ, ის დრო წავიდა, როდესაც ადამიანს ასეთი მუშაუკები დაუსჯელად ამწყვდევენ ციხეში, ან იქნებ მაიორი ვაზეთებს არ კითხულობს? — დაინტერესდა ჩარგევი.

გამოირკვა, რომ ხარაბაძე ვაზეთებს კითხულობს, კანონიც იცის, ამიტომ...

— დილამდე აქ დარჩებით! შეუვალად აცხადებს განყოფილების უფროსი.

ჩარგევის აღშფოთება კულმინაციურ წერტილს აღწევს.

— ეს ძალადობაა, თქვენ პასუხს აგებთ უდანაშაულო ადამიანის შეურაცხყოფისათვის — ცხარედ უტევს მაიორს.

— რა ბრალდებით მკავენთ? — ყვირის ჩარგევი.

— რესტორანში დებოშის ატეხისათვის — მშვილად პასუხობს მაიორი.

— მშვენიერი სამართალი გქონიათ, ეს ალბათ კარგად იციან აქაურმა ხელიგნებმა და ამიტომაც ასე უშიშრად ესხმიან თავს ადამიანებს, რესტორანშიაც კი — მწარედ იღიმება ჩარგევი. ხარაბაძე დაკავების ოქმის წერას შეუდგა.

— გაჩხრიკეთ — უბრძანა ლეიტენანტს.

— ჩარგევი გაუნძრევლად ზის, მიახლოებულ ლეიტენანტს, გამჟვალავად აცქერდება.

— ინანებთ მაიორო! — ეუბნება ხარაბაძეს.

— შესაძლოა, მაგრამ მაინც უნდა გაჩხრიკო!

ჩარგევის მეორე ოფიცერიც მიუახლოვდა. ის ფეხზე წელა წამოდგა, სიბრაზით მიაჩერდა მაიორს, შემდეგ აქეთ-იქედან ამომდგარ ოფიცრებს გადახედა:

— კეთილი, — დაცხრო მან სიბრაზე — გამჩხრიკეთ, მაგრამ იცოდეთ პასუხს ვაგებინებთ. ჩარგევი გაჩხრიკეს: პასპორტი, სამხედრო ბილეთი, 200 მანეთამდე ფული და... სხვა არაფერი.

ხარაბაძე ოდნავ დაბნეული დაცქეროდა მაგიდაზე დაწყობილ ფულს და საბუთებს, შემდეგ ჩხრეკის ოქმი შეადგინეს, ჩარგევის ხელი მოაწერინა და დაკავებულის სამორიგეო ოთახში ჩაყვანა უბრძანა.

— უთუოდ შევცდით, ცრუ კვალს გავყვებით და ოპერაციაც ჩავშალებთ — შეშფოთდა მაიორი, როგორც კი ჩარგევი გაიყვანეს.

ძიძიგური მინდელს მიაჩერდა.

გამომძიებელს ოდნავ ეღიმება.

— ყველაფერი ჩინებულად მიდის, ოპერაციამაც კარგად ჩაიარა, — ამბობს წყნარად.

— კარგად? — იკითხა გაკვირებულმა ხარაბაძემ და შემდეგ დაუმატა — მერე ჭადარა? სადღაა ჭადარა? ვანა თქვენი ვარაუდით ის ამაღამ არ უნდა აგვეყვანა?

— უნდა აგვეყვანა. —

— სად? ქუთაისში? — განცვიფრდა ძიძიგური.

მინდელს ისევ გაუღიმა.

— შესაძლოა ქუთაისში, ეს მალე გამოირკვევა, — უპასუხა მოგვიანებით.

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1966 წ. № 3, 4, 5, 6; 1967 წ. № 1.

— მაშ თქვენ ოპერაცია დამთავრებულად შიგანიათ? — ეჭვით იკითხა ძიძიგურმა.

მინდელმა საათს დახედა.

— ჯერ არა, ახლა მხოლოდ 11 საათი და 50 წუთია, შემუშავებული გეგმით კი დღევანდელ მხოლოდ 12 საათის შემდეგ მიიღებს ჩვენს ბავშვს.

კაბინეტში ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

გარკვევით ისმოდა როგორ ტკაცუნობდა ხმელი შეშა თუნუქის ღუმელში.

— გამაგებინე ლევან რას ფიქრობ? — დაარღვია ღუმელი მაიორმა.

— ვფიქრობ, დიდი სიცხე დაადგებათ ჩვენებს დღევანდის ბინაზე. ჩვენ მართლაც შეეცდით, მაგრამ არა ჩარგოვის დაკავებაში... ბანდიტებს ძირითად ბინა დღევანდის სახლში აქვთ და არა წყალტუბოში.

— მაშ ბასკაკოვა... დაიწყო ხარაბაქემ.

— ბასკაკოვა აქ არაფერ შუაშია — გააწყვეტინა მინდელმა. ის ისევე როგორც დღევანდელ ბრმა საფოსტო ყუთად იქნა გამოყენებული.

— საფოსტო ყუთად? — განცვიფრდა ძიძიგური.

— დიახ, მხოლოდ საფოსტო ყუთად.

— კი მაგრამ ხოტოველი ხომ მარტო მას ხვდებოდა.

— სწორია, მაგრამ ბასკაკოვამ არაფერი იცის მათი საქმიანობის შესახებ. ამის თქმა ახლა დაბეჭათებით შეიძლება.

— და ეს შენ იცოდი როცა წყალტუბოში მოვიდოდით?

ძიძიგურმა გამომცდელად შეხედა მინდელს.

— არა, — მაგრამ ახლა უკვე ვიცი — გაიღიმა მინდელმა.

— არაფერი მესმის — მხრები აიჩიჩა ხარაბაქემ.

მინდელს არ უბასუხია, წამოდგა, რამდენჯერმე გაიარა ოთახში.

— ამხანაგო ელიზბარ, — მიმართა მტკიცე ხმით ხარაბაქეს. — ჩარგოვი იცოდეთ გადაყვანეთ ქუთაისში, მაგრამ დიდი სიფრთხილით, იცოდეთ, მისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

— გაქცევა? — განცვიფრდა ხარაბაქე.

— გაქცევაც. ეგ ნატიფ ზრდილობაში გახვეული, ნახტომისათვის გამზადებული მხეცია — ვანმარტა გამომძიებელმა.

პოლბოლკოვნიკმა ველარ მოითმინა.

— ამისნინ თუ არა — შეუტია მინდელს.

— მთლიანად ვერა, სერგო, ხვალ კი ზოგიერთი საკითხის შემოწმების შემდეგ დავაკმაყოფილებ შენს სურვილს, მოითმინე ხვალამდე. კარგი?

— ეშმაკსაც წაუღიხარ — ჩაბურტყუნა ძიძიგურმა.

ყველას გაეცინა.

...გვიან ღამით დაბრუნდნენ ქუთაისში, ჩარგოვიც ჩამოიყვანეს.

— სამმართველოდან პირდაპირ საავადმყოფოში წავიდნენ. მღელვარებით უცდიდნენ ოპერაციის შედეგს.

ღამის 5 საათზე საოპერაციოდან დაღლილი გრძელიკე გამოვიდა. ყველანი შემოეხვივნენ სახელოვან დასტაქარს, უხმოდ შეაჩერდნენ, კითხვით კი ვერაფერი კითხეს.

გრძელიკის დაღლილ თვალებში ღმიილმა გაიელვა.

— ჯერ უგონოდ არის, ბევრი სისხლი დაუკარგავს, ფილტვი აქვს დაზიანებული, მაგრამ იცოცხლებს, არ მოკვდება ღომის გული აქვს — ხმამალა უბასუხა მან მუნჯ შეკითხვებს და ბალანჩივაძესთან ერთად მთავარი ექიმის კაბინეტს მიაშურა.

მინდელი და ბალანჩივაძე ღამის 5 საათზე დაბრუნდნენ სამმართველოში. პოლკოვნიკი ჩინებულ ხასიათზე იყო, გულდასმით მოუსმინა მინდელს, შემდეგ ორთავემ მეორე დღის სამუშაო ვეგმა დასახეს, დაკითხვის ვეგმა შეიმუშავეს და გათენებისას ძლივს დატოვეს სამუშაო. სამუშაო კი ბევრი იყო. ჩარგოვის ოთახისა და პირადი ნივთების ჩხრეკამ საქმეს ვერაფერი შემატა. ტანსაცმელი, თეთრეული, ორიოდვე წიხანი, აი, ყველაფერი, რაც იქ იქნა აღმოჩენილი.

დღევანდის ბინაში შეპყრობილ ოთხი რევოლვერი აღმოაჩნდათ, 100-მდე ვაზნა. 4-დან სამი რევოლვერი „პარაბელუმის“ სისტემისა იყო, მეოთხე „ველტერის“.

მინდელს მშვენივრად ესმოდა, რომ საგამომძიებლო საქმე — მხოლოდ ახლა იწყებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდის ბინაში შეპყრობილ დამნაშავეთა მიმართ სკეპოზი მამხილებელი მასალა იყო შეგროვილი, მინდელი ერთი წუთითაც არ ეჭვობდა, რომ ბანდიტები შეეცდებოდნენ მხოლოდ ის ელიარებიანთ რისი უარყოფაც აღარ შეიძლებოდა, ხოლო დანარჩენი, მთავარი მიეჩქმალოთ.


გამომძიებელი დარწმუნებული იყო, რომ არც ერთი ბანდიტი არ დაასახელებდა „ჭადარას“ და ყველა საშუალებით შეეცდებოდა გზა-კვალი აერია გამოძიებისათვის.

ყოველივე ეს ესმოდა გამომძიებელს, როდესაც მეორე დღეს დილით სამმართველოში გამოცხადდა. მალე ბალანჩივაძეც მოვიდა.

მინდელი ქალაქებს ჩასტყუროდა.

— პოლკოვნიკმა ბოლომდე მოწეული პაპიროსი საფერფლეში ჩასრასა, შემდეგ სავარძელში შესწორდა.

— დავუწყეთ — მოჰკვება მოკლედ და ზარის დილაკს თითი დააჭირა.



— გადაეცით მორიგეს, დაკავებული ხოტო-
ველი ამოიყვანოს — უბრძანა შემოსულ სერ-
ჟანტს.

ორიოდე წუთის შემდეგ ახალგაზრდა ლეი-
ტენანტი კაზინეტში ხოტოველს შემოუძღვა.
პოლკოვნიკმა ცოვად შეათვალიერა უქანსკენლ
მოდანზე კოხტად ჩაცმული ხოტოველი, რომე-
ლიც შიშისაგან მობუზულიყო და ხაფანგში
გამძულ ვირთავასავით ახამხამებდა თვალებს.

— დაჯექით — უბრძანა ბალანჩივაძემ.
ხოტოველი დაჯდა, ხელები მუხლებზე დაი-
წყო და თავი ჩაქინდრა.

სადღა იყო მისი გამოძვევი ცქერა და უღანა-
შაულოდ დაკავებული კაცის სიფიცეს! ოთახის
კუთხეში დამარცხებული, თავის ხვედრს თით-
ქოს შერიგებული ადამიანი იჯდა და მოთმინე-
ბით ელოდა როდის დაიწყებდნენ მასთან სა-
უბარს.

შემუშავებული გეგმის მიხედვით დაკითხვა
მინდელს უნდა ეწარმოებინა, მაგრამ გამოძ-
ძიებული არ ჩქარობდა, ქაღალდებს ათვალეი-
რებდა და რაღაც შენიშვნებს აკეთებდა სუფთა
ფურცელზე.

ღუმელმა რამდენიმე ხანს გასტანა, ბოლოს
ხოტოველმა ჯიბე მოისინჯა, პაპიროსი ამოიღო;

— ნებას მომცემთ მოვწიო? — შეეკითხა
ორთავეს.

— მოსწიეთ — უპასუხა პოლკოვნიკმა.

მინდელმა საქაღალდე დაკეცა, საწერი მაგი-
დის უჯრიდან დაკითხვის შეუქსებელი ბლანკი
ამოიღო და დაკავებულის ანკეტური მონაცემე-
ბის შევსება დაიწყო. ხოტოველი მოკლედ პასუ-
ხობდა.

ჩვეულებრივი ფორმალობის შესრულების
შემდეგ მინდელმა კალმისტარი გვერდზე გადას-
დო და ხოტოველს თვალი თვალში გაუყარა. ხო-
ტოველი შეეცადა მზერა გაესწორებინა, მაგრამ
ვერ შეძლო, ნელ-ნელა დახარა თავი და გამოძ-
ძიებლის გამჭვალავი მზერა აიცილა.

მინდელი მოხერხებულად მოეწყო სავარ-
ძელში.

— იქნებ გირჩევნიათ თქვენ თითონ დასწე-
როთ ჩვენება? — დაუსვა მოულოდნელი კი-
თხვა.

— რა ჩვენება? — იკითხა გაკვირვებით.

— ვითომ არ იკით? — გაღიმა გამოძძიე-
ბელმა. — თუ ახლაც ტყუილად ხართ დაკავე-
ბული?

ხოტოველი ერთ ხანს ღუმელა, შემდეგ თითქოს
გადაწყვეტილება მიიღო, გამოძძიებელს პირდა-
პირ შეხედა და ხმადაბლა თქვა:

— ვნებდა ღუმელი ზედმეტია, მაგრამ მე იმ-
დენი განათლება არა მსაქვს თითონ დავეწერო,
დამკითხოთ და გიპასუხებთ.

— კეთილი, — მიუგო მინდელმა.

გამომძიებელი ბრძოლას ელოდა, ხოტოველი
კი მორჩილად აცხადებდა: მკითხეთ და ყველა-
ფერს გიამბობთო.

— ვაითვალისწინეთ, რომ მე გულწრფელი
ვარ გამოძიების წინაშე და ყველაფერს ვაღი-
არებ — კვლავ ამოილაპარაკა ხოტოველმა.

— გონიერი საქციელია — წააქეზა მინდელ-
მა და განაგრძო: აბა დაიწყეთ, გვიამბეთ ვინ
გავგზავნათ ბასაკაოვასთან და რა დავალებით?
ხოტოველის თვალებმა განციფერება გამო-
ხატეს.

— დავალებით? რა დავალებით?

— ჩვენც მაგას გეკითხებით რა დავალებით
იყავით მეთქი და ვისგან — გაუმეორა კითხვა
გამომძიებელმა.

— რას ბრძანებთ, უფროსო, არაფერი დავა-
ლება მე არ მქონია, ბასაკაოვასთან პირად საქ-
მეზე ვიყავი მხოლოდ, არავისაც არ გაუგზავ-
ნივარ.

— ეს არის თქვენი გულწრფელობა?

— მე სიმართლეს მოგახსენებთ.

ბასაკაოვა ამ ოთხიოდე დღის წინათ შემთხ-
ვევით გავიცანი ქუთაისში, ბრილიანტის ბე-
ჭედს ეძებდა, კარგ ფასს იძლეოდა, სწორედ იმ
დღეს საიუველერიო მაღაზიამ ბეჭედები მიიღო.
ბასაკაოვას მისამართი დავითოვე და წუხელ სა-
ლამოს ბეჭედი ჩაუტანე, 80 მანეთი მოვიგე, ეს
იყო და ეს.

— მხოლოდ ამიტომ იყავით წყალტუბოში?

— დიახ!

— ესე იგი უბრალო სბეკულობა არა? —
დამცინავად შეეკითხა პოლკოვნიკი.

— დიახ, უფროსო და გულწრფელად ვაღი-
არებ, ვთხოვთ ოქმშიც ასე ჩაწეროთ.

— სისულელეს თავი დაანებეთ და საქმეზე
ილაპარაკეთ — შეუტია მინდელმა. — რამდენი
ვადავინადათ ბასაკაოვამ ბეჭედში?

— 290 მანეთი — მიუგო ხოტოველმა უყოყ-
მანოდ.

— ჯიბეში რამდენი აღმოგაჩნდათ?

— ჯიბეში 200 მანეთი მქონდა.

— დანარჩენი რა უყავით?


— დანარჩენი ხვალ უნდა მოეცა — უპასუხა
ხოტოველმა მტყიცედ.

— უცნობ ადამიანს ამოდენა ფული როგორ
ანდეთ?

— მერე რა მოხდა რომ ვანდე, ვიცოდი რომ
მომცემდა.

— გამოდის, რომ თანახმა ხართ პასუხი აგოთ
სბეკულობისათვის, კვლავ დამცინავად შეეკითხა
პოლკოვნიკი.

— კი უფროსი, აბა სხვა რაღა დამარჩენია. მაგ-
რამ მე მგონია მხედველობაში მიიღებთ ჩემს
მდგომარეობას და თავდებში გამიშვებთ.



კაბინეტში ცოტა ხნით დუმილი ჩამოვარდა. ხოტოველი! — დაიწყო მინდელმა, — სპეკულაციის აღიარებიდან არაფერი გამოვივით, გვითხარით სიმართლე ვინ ვაგვზავნათ ბასკაკოვასთან?

— მე მოვასხენეთ, არაჲინ.

— არ გინდათ სიმართლე თქვათ? კარგით. ვის მიყიდეთ ამ ოთხი დღის წინათ არაყი და ძეხვი?

— ეგ საქმე ხომ გამოირკვა, კიდევ მეღაფეზით?

— ვის მიყიდეთ მეთქი? — სუსხი დაეტყო მინდელის ხმას.

— რა ვიცი, რამდენი მყიდველი მოდის, ყველას ხომ ვერ დავიხსომებ.

— ყველას არა, მაგრამ ვახტანგის გამოვზავნილი კი უეჭველად კარგად დაიხსომე, მან რომ დავალეზა მოგიტანა.

— რა დავალეზა? — ყოყმანით შეეკითხა ხოტოველი.

მინდელმა საქაღალდე გაშალა.

— აი რა დავალეზა — მიუგო მკაცრად და ფოტოსურათი გაუწოდა — გეცნობათ?

ხოტოველმა ფოტოზე აღბეჭდილი ხუთმანეთიანი ბანკნოტი ბეჯითად დაათვალიერა, შემდეგ მეორე გვერდიც გასინჯა.

— არაფერი მესმის — ამოილაპარა ჩუმად და ფოტოსურათი ფრთხილად დადო მაგიდაზე.

ყველაფერი გესმით და ვზაც აღარა ვაქვთ სიცრუისათვის — მიავება მინდელმა — უკანასკნელად გირჩევთ აღიაროთ სიმართლე.

ხოტოველი დუმდა.

გსურთ თუ არა ჩვენების მიცემა? — მკაცრად შეეკითხა გამოძიებელი.

ხოტოველმა თავი ასწია.

— მე მეტი არაფერი მაქვს სათქმელი.

— კეთილი, თქვენ უკანასკნელ შანსს კარგავთ სასჯელის შემსუბუქებისათვის, ერთი საათის შემდეგ თქვენს აღიარებას აღარ ექნება დიდი მნიშვნელობა — შენიშნა გამოძიებელმა.

და ზარის დილაქს დააჭირა თითი.

— შემოიყვანეთ მოქალაქე ბასკაკოვა — უბრძანა შემოსულ სერჟანტს.

— ბასკაკოვა წყნარი ნაბიჯით შემოვიდა კაბინეტში და უხმოდ ჩამოჯდა გამოძიებლის მიერ მითითებულ სავარძელში.

ხოტოველმა ქვეშევშე შეხედა ქალს, მაგრამ ბასკაკოვას ეს არ შეუნიშნავს, რადგან მისკენ ზურგმუქევივით იჯდა.

— იცნობთ ამ მოქალაქეს? — შეეკითხა მინდელი ხოტოველს.

— ვიცნობ, აკი მოვასხენეთ ბეჭედი მიყიდე მეთქი — სწრაფად რუსულ ენაზე უბასუხა ხოტოველმა.

— რუსულ ენაზე იმიტომ მპასუხობთ, რომ

იმედი გაქვთ ამ სიცრუეს დავიდასტურებენ? — ქართულად შეეკითხა გამოძიებელი და შემდეგ ბასკაკოვას მიუბრუნდა.

— თქვენ იცნობთ ამ მამაკაცს?

ბასკაკოვა წყნარად შებრუნდა, რამდენიმე წამი უტყირა ხოტოველს.

— დიახ, ვიცნობ — ჩილაპარაკა წყნარად.

— რამდენჯერ შეხვედრიხართ?

— ორჯერ, პირველად ოთხიოდე დღის წინათ, მეორედ კი წუხელ დამით.

— სად?

— წყალტუბოში, სასტუმრო თბილისის 407 ნომერში.

— ვინ ვაგაცნოთ?

— მათე ჩარგიევმა გამაცნო.

— სად ვაგაცნოთ?

— პარკში, წყალტუბოს პარკში.

— რაზე გქონდათ საუბარი?

— არავითარი საუბარი არ გქონია, მათემ მითხრა ამ კაცს ჩემი ფული მართებს, მე შეიძლება 1—2 დღით თბილისში ჩავიდე და თუ ფული მოგიტანოს დაიტოვეო.

— შემდეგ?

— მეტი არაფერი, ხოტოველი მაშინვე გამოგვემწვიდობა და წამოვიდა.

— წუხელ რაღაზე მოვიდა?

— აკი ვითხარით, ფული მოიტანა და დამიტოვა მათესთვის ვაღასაცემად.

— რამდენი?

— 500 მანეთი.

ხოტოველი გაფითრდა. ზიზღით შეხედა ბასკაკოვას, მაგრამ ქალმა გამომწვევად გაუსწორა მზერა.

— რა უყავით ფული?

ჩემს ნომერში მქონდა ჩემოდანში. წუხელ კი მილიციის მუშაკებმა ჩამომართვეს.

— კეთილი, მიუგო გამოძიებელმა და შემდეგ ხოტოველს მიუბრუნდა:

— რას იტყვივით?

— არაფერს იმის მეტს, რომ ეს ქალი აშკარად ტყუის, — ახლა უკვე ქართულად უბასუხა ხოტოველმა.

— ხოტოველი ნუ ჯიჟტობთ.

— მე არ მესმის რატომ უნდა დაუჯეროთ ამ ქალს და არა მე, რით არის მის ჩვენება უფრო სარწმუნო ვიდრე ჩემი?

— თქვენ ასე გგონიათ?

— დარწმუნებული ვარ.

მინდელი წამოდგა, წიგნების კარაღიდან პატარა მოგრძო ყუთი გამოიღო მაგიდაზე დადგა და შტებსელში ჩართო.

ხოტოველი გაფაციცებით აღეწებდა თვალყურს გამოძიებლის მოქმედებას და ვერაფერი გაეგო რაში უნდა ემხილა და გაებათილებინა მისი ჩვენება ამ უსულყო ყუთს.



მინდელი საგარძელს დაუბრუნდა, პაპიროსს მოუკიდა და ყუთის შიგნით პატარა კლავის დააჭირა თითი, კაბინეტში გამეფებული სიჩუმე დისკოს ბრუნვით გამოწვეულმა შრიალმა დაარღვია.

მინდელი დაკვირვებით შეჰყურებდა ხოტოველს, რომელსაც ჯერ ვერაფერი გაეგო და ხან გამომძიებელს შეხედავდა ხან კიდევ ბასკაკოვას, ხოლო იქიდან ყუთზე მიჰქონდა მზერა.

უეტრად ეს პატარა ყუთი გაცოცხლდა, ადამიანის სული ჩაიდგა და ხოტოველისა და ბასკაკოვას ხმით ალაპარაკდა, ალაპარაკდა და ხოტოველიც ააყვირა.

— ტყუილია! მოწყობილია! თქვენ მომიწყვეთ, მილიციამ მომიწყო! აღრიცხა ეს და ფეხზე წამოვარდა.

— წყნარად, — შეუტია მინდელმა, შემდეგ მაგნიტოფონი გამორთო და გაფიცებული ხოტოველი უკანვე დასვა სკამზე.

— იცანით თქვენი ხმა? — მიუბრუნდა გამომძიებელი ბასკაკოვას.

— დიახ, — მიუგო გაკვირვებულმა ქალმა. — მხოლოდ არ მესმის ვინ ან როდის ჩაწერა ჩვენი საუბარი?

— ეს საინტერესო არ არის. ადასტურებთ დიალოგს?

— საცხებით.

— თქვენ ახლაც უარყოფთ ხოტოველს? ჩაერთა აქამდე ჩუმად მყოფი პოლკოვნიკი.

— ტყუილია, მოწყობილია — აყვირდა ხოტოველი.

— კარგი, დღეისათვის კმარა — წარმოთქვა გამომძიებელმა.

— გაიყვანეთ — უბრძანა შემოსულ სერჟანტს.

ხოტოველი წელმოწყვეტით წამოდგა და ფეხათრევიტ ვაჰყვა სერჟანტს.

— თქვენ, მოქალაქე ბასკაკოვა — მიუბრუნდა გამომძიებელი ქალს — ჯერ კიდევ საჭირო ხართ, გთხოვთ ჩვენი ნებართვის გარეშე წყალტუბოდან არ წახვიდეთ. ახლა კი თავისუფალი ბრძანდებით.

— შეიძლება შეგვეთხოვთ? — ბასკაკოვა სავარძლიდან წამოდგა.

— შეიძლება, რა გნებავთ?

— ჩარგევი ჩემი საქმროა და მე მინდა ვიცოდე რაზე დააკავეთ უდანაშაულო ადამიანი — მტკიცედ მოითხოვა ქალმა.

მინდელმა პოლკოვნიკს გადახედა.

— დიდი ხანია იცნობთ ჩარგევის? — დაინტერესდა პოლკოვნიკი.

— დიახ, წელიწადზე მეტია.

— კარგი, ამ შემთხვევაში როგორც გამოწაკლისი გეტყვიან რაშია ედება ბრალი თქვენს

საქმროს. ხვალ ათ საათზე მობრძანდით ჩემთან. მე მილიციის სამმართველოს უფროსი ვარ.

უსათუოდ მოვალ. ნახვამდის.

ხელდათ სანამდე მიდის ზოგიერთის ჯიუტობა? — გულმოსულად ამოილაპარაკა ბალანჩივაძემ როგორც კი ბასკაკოვამ კარები გაიხურა.

— ვხედავ — წყნარად გაიცინა მინდელმა — არიან ასეთი ტიპები, მათ რა მტკიცებაც არ უნდა წარუდგინო მხოლოდ არას გაიძახიან.

მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ხოტოველმა, ჩარგევის ტყუელობის ბინიდან წაღებული ოქროს ნივთებისა და 3 პროცენტისანი ოზლიგაციების ღირებულებების ნაწილი ჩაუტანა. დანარჩენი თანხა ან ადრე გადასცა ან შემდეგში უნდა მიეცა.

ჩარგევიც გადასაცემად მიღებული ფულის ნამდვილი დანიშნულება ბასკაკოვამ არ იცის, ეს ამ თთხი დღის წინათ ნომერში ფარულად ჩადგმულ მაგნიტოფონზე ჩაწერილია დიალოგმა დადასტურა.

— მოსასადამე, არ არსებობს საფრთხე, რომ ამ ფაქტს ხოტოველს ბასკაკოვას დაკითხვით დავუმტკიცებთ. ხოლო ჩარგევიც ხოტოველის აბსოლუტური იმედი აქვს.

იგი არაფერს იტყვის. ჩხრეკამაც არაფერი მოგვცა, დარწმუნებით შეიძლება ითქვას: ხოტოველმა მოასწრო საიმედო ადგილზე მიემალა ნაძარცვი ფასეულობა. ეს ყველაფერი გათვალისწინებული აქვს ხოტოველს.

ამიტომაც ჯიუტობს. მართლაც ჯერ შეკრებილი მასალებით ბრალს ხომ ვერ დავდებთ ტყუელობის ბინის გაძარცვის თანამონაწილეობაში.

კაბინეტში დღემილი ჩამოვარდა.

პოლკოვნიკმა რამდენჯერმე დინჯი ნაბიჯით გაიარა ოთახში, შემდეგ მინდელთან შეჩერდა.

— როგორ ფიქრობ ლევან ხომ არა ჯობდა პირველად კიტოვანი დავგვეკითხა?

— არა, მე იმედი მქონდა ხოტოველი გატყუებოდა და იმის შიშით, რომ ძარცვა არ დაებრალეზინათ, სიამოვნებით აღიარებდა იმას რაც ჩაიღინა. კიტოვანი და მისი ამხანაგები კი სულ სხვა ტიპის ბოროტმოქმედები არიან. მათ ასე იოლად ვერ გასტყენ.

— ჩარგევი?

— ო, ჩარგევი კიდევ სულ სხვაა, მან ალბათ დაკავებისთანავე მოამზადა ისეთი ვერსია, რომელშიაც ნამდვილი ფაქტები ჩაურთო და სარწმუნოს დაამსაგვსა. აი ნახავთ, პირველი დაკითხვისთანავე დადასტურებს ხოტოველის მიერ მასთან ფულის ჩატანას.

— რატომ ხართ ასე დარწმუნებული? — გელიმა ბალანჩივაძეს.

— აი მე თქვენ წუნელვე გითხარით როგორ გამოვიცანი მისი პიროვნება და თუ არ ვცდები, — მე კი დარწმუნებული ვარ, რომ არ ვცდები.

— აი მე თქვენ წუნელვე გითხარით როგორ გამოვიცანი მისი პიროვნება და თუ არ ვცდები, — მე კი დარწმუნებული ვარ, რომ არ ვცდები.

ბი, — ჩარგივეცი ძველი აკმოცდილი რეციდი-
ვისტიია, არც განათლება აკლია და რაც მთავარია
ბასკაკოვა საქმის კურსში არა ყავს შეყვანილი.

ქუთაისში ვადმოყვანის შემდეგ ის უკვე მიმ-
ხვდარია, რომ რესტორანში სკანდალი განგებ,
მისი მილიციაში მოსაყვანად იქნა მოწყობილი,
დარწმუნებულია ჩვენ რაღაც კვალს მივაგენით.
ბასკაკოვა კი ხოტოველისაგან ფულის მიღებას
არ დაფარავს, რადგან ჩარგივეს ამის შესახებ
არ გაუფრთხილებია. მასადაამე, ეს ფაქტი მან
უნდა დაადასტუროს, სხვა ვხა არა აქვს.

— საესეებით ლოგოკურია — დაეთანხმა ბა-
ლანჩივაძე, შემდეგ ცოტა ხან იყუჩა და ღიმი-
ლით დაუმატა.

ოპერატიულმა ჯგუფმა თავისი საქმე შეის-
რულა. დანარჩენი ასე ვთქვათ გამოძიების საქ-
მეა. მე საესეებით ვენდობი შენს ინტუიციას
და მწამს რომ ამ საქმეშიაც არ გიმტყუნებს იგი.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ყველა-
ფერი რაგზე იქნება და ჭალარა თავისი ბანდით
ამ დღეებში ხელში მყოფება.

— გინდა რამეში დახმარება?

— გმადლობთ. კრიმინალისტური და გრა-
ფიკული ექსპერტიზის დასკვნები ზეგ ხელთ
მექნება, ვფიქრობ კიტოვანის ჩემოდანში აღ-
მოჩენილი ქალის ხელთათმანებისა და ტყეშე-
ლიძის ბინაში ფანჯრის ლურსმანზე ნაპოვნი
ძაფის იდენტურობა საესეებით დადასტურდება.

— ფულზე გაცეთებული წარწერა?

— ჯერ ვერ გეტყვი, მაგრამ მე მგონია ესეც
კიტოვანის ნაწერია. რაც შეეხება სისხლს ეჭვს
არ იწვევს, რომ იგი დაჭრილ ბანდიტის ივანი-
სელს გაკუთვნის, ამასზეც ექსპერტიზა გვეტყვის
გადამწყვეტ სიტყვას.

— კეთილი, როდის აპირებთ დამნაშავეებთან
საბოლოო შეჭიდებას?

— როდესაც ექსპერტების დასკვნები ხელთ
მექნება, მანამდე კი მათ ვინაობასაც დავადგენთ.
სერგო უკვე გაფრინდა თბილისში შეპყრობილ-
თა თითის ანაბეჭდებით, დღესვე შეადარებს
დაქტილობარათებს და ღამის მატარებლით ქუ-
თაისში წამოვა. ეს საკითხები არ მაფიქრებს,
მე სულ სხვა რამეზე ვწუხვარ.

სახელდობრ?

— ჩარგივეცი... თუ სერგომ მისი ვინაობის
დადგენა თითის ანაბეჭდებით ვერ შეძლო, საქ-
მე გართულდება. ის ისეთივე ჩარგივეცაა, რი-
გორც მე ჩინეთის იმპერატორი.

— ისევე გჯერათ, რომ მან ქართული ენა
იცის?

— მჯერა, მტკიცედ, მჯერა, მაგრამ ეს ხომ
საკმარისი არ არის მისი ვინაობის დასადგენად.
ხოლო დევიძე ან ჩვენი ბუზლუნა დასტაქარი
მას ვერ ამოცნობენ. ამაში ეჭვი არ მეპარება.
ბანდიტებიც არ გასცემენ. აი რატომ ვფიქრობ,

რომ მისი ვინაობის დადგენა დიდ დროს წაგ-
ვართმევს.

— პროკურორმა რა თქვა?

— მხოლოდ დროებით დაკავებაზე დამთან-
ხმდა.

— დეტალურად ვააცანით თქვენი მოსაზრე-
ბანი ჩარგივეზე?

— დიახ, მაგრამ დაპატიმრების სანქციაზე ცი-
ვი უარი მითხრა, „მხოლოდ მოსაზრებებით
აღამიან ვერ დავაპატიმრებთ“. რას იზამ, მის
ადგილზე მეც ასე მოვიტყეოდი, ჩარგივეცი პრო-
ცესუალური სამართლის თვალსაზრისით ჯერჯე-
რობით ბროლივით სუფთაა.

ბალანჩივაძემ ჩამქრალი პაპიროსი საფერფ-
ლეზე დადო და ახალს მოუკიდა.

— რას ფიქრობ ბასკაკოვანზე? — შესცვალა
მან საუბრის თემა.

— მე მგონია ბასკაკოვამ არ იცის ვინ არის
ჩარგივეცი, იგი ღრმად დარწმუნებულია მის
პატიოსნებაში და სერიოზულად წუხს საქმროს
დაპატიმრების გამო. ეჭვი არ მეპარება, რომ აქ
რაღაც გაუგებრობაა, ძალზე გაუჭვირდა თურმე
როდესაც დღეს სისხამ დილით განყოფილებაში
მისულმა ჩარგივეცის ქუთაისში წაყვანა ვაიგო
და უყოყმანოდ გამოსწია ჩვენთან. სხვათა შო-
რის მე მჯერა მისი გულწრფელობისა.

— მეც ასე ვფიქრობ, თუმცა საბოლოო დას-
კვნების გაცემაზეა ჯერ ადრეა, ვნახოთ რას იტყ-
ვის გამოძიება. მით უმეტეს თუ თქვენი ვერსია
დადასტურდა... ვაიგზანა დეპეშა ვილინუსში?

— დიახ, წუხელვე ვავგზავნეთ, ალბათ ორ დღე-
ში პასუხსაც მივიღებთ.

კაბინეტის კარები გაიღო.

— შეიძლება? — იკითხა მელოტმა მაიორმა.

— შეიძლება, — ნება დართო ბალანჩივაძემ
— ახალია რამე?

— დიახ, ამხანაგო პოლკოვნიკო, კოლონიდან
პასუხი მოვიდა.

ბალანჩივაძემ სათვალე მოირგო და ქალაღი-
გადაათვალიერა.

ამ ცნობას უკვე აღარა აქვს დიდი პრაქტი-
კული მნიშვნელობა, — ჩაილაპარა მან, შემ-
დეგ კალამი აიღო, ქალაღს რეზოლუცია წა-
აწერა და მინდელს გადასცა.


— დაურთეთ საქმეს, გვატყობინებენ, რომ
ნატალია დევიძის მეუღლე, პატიმარი გიორგა-
ძე, ადგილზე იმყოფება და სასჯელს იხდის.

მინდელმა შეუბლი მოხარისა, ჩაფიქრდა.

მაიორმა წყნარად გაიხურა კარი.

— რამ ჩავაფიქრა შალვა? — დაარღვია დუ-
მილი პოლკოვნიკმა.

— ვფიქრობ, საიდან უნდა ჩავგდო ხელში
გიორგაძის წერილი კიტოვანს, ის ხომ დევიძეს-
თან ქმრის წერილით მივიდა.



— ეგ მართლაც საინტერესოა, უნდა ვიფიქროთ, რომ კიტოვანი გიორგაძესთან ერთად იხდიდა სასჯელს და წერილი განთავისუფლებისას წამოიღო.

— ასეთია ჩემი ვარაუდიც, მაგრამ...
— მაგრამ რა?

— შეიძლება სხვა რაიმეც გამოირკვეს. ჯერ კი მხოლოდ ნათელი ის არის, რომ კიტოვანის მიერ ჩამოტანილი წერილი ნამდვილად გიორგაძის ხელით არის დაწერილი, აი თქვენ თვითონ შეადარეთ — მინდელმა საქაღალდე გახსნა და წერილების მთელი დასტა ამოიღო.

— ესეც კიტოვანის ჩამოტანილი წერილი — დაუმატა მან და სამკუთხად გაკეცილი ბარათი სხვა წერილებთან ერთად პოლკოვნიკს გადასცა.

— მათი იდენტურობა ეჭვს არ იწვევს — განაგრძო მინდელმა ვიდრე პოლკოვნიკი წერილებს აღარებდა, — მაგრამ არის ერთი დეტალი, რომელიც საეჭვოდ ხდის წერილის კოლონიიდან წამოღების ვერსიას.

პოლკოვნიკმა თავი ასწია.

— თარიღი?

— დიას, თარიღი. ყველა წერილები დათარიღებულია, გარდა უკანასკნელისა.

— რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ამ ფაქტიდან?

— წერილის დამწერს თარიღი შემთხვევით არ გამოჩენია. აქ თხუთმეტამდე ბარათია და ყველა დათარიღებულია, მაშასადამე, ავტორმა ეს შეგნებულად გააკეთა. შემდეგ... უკანასკნელი ბარათი ფოსტით არ არის გამოგზავნილი. შეიძლება ვცდებოდეთ, მაგრამ ჩემი აზრით, ეს წერილი დიდი ხნით ადრე დაწერა. გიორგაძემ და წერილის წამომღებმა არ იცოდნენ როდის მიიღებდა მას აღრესატი, ამიტომ შეგნებულად არ დაათარიღეს იგი.

— შეიძლება, დაეთანხმა ბალანჩივაძე, — ყოველ შემთხვევაში კიტოვანმა უნდა ახსნას ვისგან და როდის წამოიღო ეს ბარათი, სხვა გზა არა აქვს.

მინდელი დუმდა.

საათმა ორჯერ დარეკა. ბალანჩივაძე წამოდგა.

— მე წავედი შალვა, ბიუროზე მაგვიანდება.

რ საათისათვის გავთავისუფლდები, თუ ძალიან არ დაიღალა დამელოდე, მოვალ.

ბალანჩივაძე სწრაფად გავიდა კაბინეტიდან.

მინდელი მოხერხებულად მოეწყო სავარძელში, საქაღალდე გახსნა და მასალებში ჩაიძირა. დიდხანს მუშაობდა გამომძიებელი, რამდენიმე ფურცელი შეავსო შენიშვნებით. მუშაობა დაამთავრა, საათის ისარი ოთხის ნახევარს უჩვენებდა.

მინდელმა საქაღალდე დაქეცა, სერჟანტი იხმო.

— ამოიყვანეთ ჩარგივეი — უბრძანა.

რამდენიმე წუთის შემდეგ კაბინეტის კარები წყნარად გაიღო, სერჟანტმა პატიმარი შემოიღწია. ჩარგივეი კარებთან შეჩერდა, მშვიდად შეათვალიერა სავარძელში მჯდომი გამომძიებელი.

— ახლოს მოდიოთ, — დაარღვია სიჩუმე გამომძიებელმა.

ჩარგივემა ნელა მოაბრუნა თავი, რამდენიმე ნაბიჯით წაიწია და მაგიდასთან შეჩერდა.

— დაჯექით, — ქაღალდებიდან თავაულებლივ შესთავაზა მინდელმა.

— პატიმარი უხმოდ ჩამოჯდა, — ხელები მუხლებზე დაიწყო და პირქუშად მიაჩერდა ქაღალდებზე თავდახრილ გამომძიებელს.

კაბინეტში სამარისებური სიჩუმე გამეფდა. მინდელმა უეტრად შეწყვიტა ქაღალდების ვურცვლა და ჯიქჯრ შეხედა პატიმარს. ჩარგივემა ცივი, მშვიდი, მზერა შეაგება.

— თქვენი გვარი? — დაარღვია დუმილი გამომძიებელმა.

— ჩარგივეი მათე ალექსის ძე.

— როდის დაგაკავეს?

— წუხელ დაახლოებით დამის 11 საათზე.

— თქვენი საქმის გამოძიება მე მაქვს დავალებული.

— ჩემი საქმის გამოძიება, რა საქმის?

— ეს მგონი თქვენთვის უკვე ცნობილია.

— პირიქით, მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ვიღაც ხულიგანმა შეურაცხყოფა მოგვაყენა, კანონიერების დამცველებმა კი მე დამაკავეს.

— მაშ თქვენ დაზარალებული ხართ?

— ცხადია, მაშ ვინ უნდა ვიყო?!

— კეთილი, არ გეკამათებთ, მაგრამ რამდენიმე კითხვა მაქვს.

— ბრძანეთ;

— როდის და სად გაციანით მოქალაქე ხოტოველი?

— ამას რა კავშირი აქვს ჩემს შეურაცხყოფასთან?

— კითხვებს აქ მე ვიძლევი, მიპასუხეთ.

დაახლოებით 5 დღის წინ, წყალტუბოში.

— რა პირობებში?

სრულიად შემთხვევით ვაცივანი.

— მაინც?

— მე სამკურნალოდ ვარ ჩამოსული, ფული შემომაკლდა, მინდოდა ზოგი რამ გამეყიდა, შემთხვევით ხოტოველს გადავეყარე და რაკი სურვილი გამოთქვა მას მიეყიდე ორი კოსტუმი და ერთი პალტო 600 მანეთად.

— როდის მოვკათ ფული?

— ფული, გუშინ საღამოს ჩამოიტანა.


— თქვენ მოგიტანა?

— არა, ტატიანა ბასაკაოვას.

— ვინ არის ბასაკაოვა?

— ჩემი დანიშნული.

— დიდი ხანია იცნობთ?



— უცნაური კითხვაა, რა თქმა უნდა დიდი ხანია, ერთი წელია.

— სად გაციანით?

— ქალაქ ვილნიუსში.

— კეთილი, მაგრამ რატომ ბასკაკოვას მიუტანა ფული ხოტოველმა და არა თქვენ?

— მე თბილისში ვაპირებდი წასვლას და ბასკაკოვას ვთხოვე, ხოტოველიც გავაცანი.

— იცოდით, რომ გუშინ საღამოს უნდა მოეტანა ფული ხოტოველს?

— დიახ, ვიცოდი.

— მაშ რატომ თვითონვე არ შეხვედით?

— ჩემთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა.

— კი მაგრამ უცნობ კაცს როგორ ენდეთ?

— ნდობა გარანტირებული იყო, ვიცოდი სად მუშაობდა ხოტოველი.

— და თქვენ ეს საქმარისად ჩასთვალეთ?

ჩარგივეის თვალებში სიბრაზე იქნებოდა.

— თქვენ რა მიიტომ დამაკავეთ, რომ მე ფულის დაკარგვის საშიშროება მელოდა? — გამოსცრა კბილებში.

— ცხადია არა!

— მაშ მითხარით რა გინდათ და გაათავეთ.

— კეთილი, გავათავოთ. რამდენად ააყვინდევო ხოტოველს ნაქურდული ოქროს ნივთები და სამ პროცენტთან ობლიგაციები?

ჩარგივეი ფეხზე წამოიჭრა თვალებში რისხვა ჩაეღვარა.

— თქვენ... თქვენ ვის უბედავთ ამგვარ შეურაცყოფას! იცით თუ არა, რომ მე თქვენ ამისათვის პასუხს ვაგებინებთ! — შეჰყვირა მან.

— მშვიდად, ჩარგივე, ისტერიკები საჭირო არ არის. ამით არაფერი შეიცვლება — დინჯად შენიშნა მინდელმა.

— თქვენ პასუხს აგებთ შეურაცყოფისათვის — ამოიხრიალა ჩარგივემა.

— დაჯექით და ზედმეტ უფლებას ნუ აძლევთ თქვენს თავს, ისევ შენიშნა მინდელმა.

ჩარგივემა ნერვოზულდ მოუკიდა პაპიროსს.

— თქვენთვის ნათელი უნდა იყოს, რომ — დაიწყო მინდელმა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ — ხულოვანისაგან შეურაცყოფილ ადამიანს ჩვენში არ იჭერენ, რაკი აქ მოხვედით, მაშასადამე ამის საფუძველიც გვაქვს, ისტერიკები და ყვირილი არ გიშველით. დღეს თუ ხვალ იძულებული გახდებით ყველაფერი აღიაროთ.

— შეურაცხმეო და მემუქრებით კიდევ?

არ გემუქრებით, გაფრთხილებთ მხოლოდ, რომ მთელი საქმე გახსნილია და თქვენი თანამონაწილენიც საიმედოდ არიან ჩაქვტილი.

— რისი თანამონაწილენი, რას ამბობთ?!

ჩარგივემა საჩვენებელი თითი პირში ჩაიღო და ბრაზიანად მოიკნინა ფრჩხილი.

— რატომ იკნენთ ფრჩხილებს? თქვენი პრო

ფესიის კაცს დამახასიათებელი ნიშნები არ უნდა ჰქონდეს, საშიშია — დაცინვით შენიშნა გამომიძიებელმა.

— თქვენ ჩემს ფრჩხილებთან არაფერი გესაქმებათ.

— პირიქით, ძალზე გვაინტერესებს. თქვენდა საუბედუროდ დაკენტილი ფრჩხილები, ჭადრა წვერი და ჩაბალახი როდია, რომ თქვენი სურვილით გაიკეთოთ და მოიშოროთ.

— რის წვერი, რა ჩაბალახი? — განცვიფრდა ჩარგივეი.

— კმარა მათე, — დინჯად დაიწყო მინდელმა, — თქვენი მასკარადი დამთავრდა, თუ გნებავთ მე თვითონ ვიძაბობთ თქვენს დანაშაულს, ეს ახლა გამოძიების მსვლელობას ვერ ავნებს.

— საინტერესოა, — მწარე ღმილით შენიშნა ჩარგივემა.

თქვენმა ბანდამ, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ეწვია ქუთაისს, 12 იანვარს გაძარცვა ტყეშელიაძის ბინა და მოჰკლა ტყეშელიაძე, რომელმაც თავის მხრივ მოასწრო ივანისელის, თქვენი საუკეთესო მეგობრის, საქმოდ სახიფათოდ დაჭრა.

დაჭრილი დევიძის სახლში დამალეთ. შემდეგ თქვენ და კიტოვანმა ქირურგი გრძელიძე მოიტაცეთ, აიძულეთ ბინაზე გაეკეთებინა ოპერაცია და მეორე დღის ღამის 11—12 საათამდე ოთახში გყავდათ დამწყვდეული. ივანისელს ბევრი სისხლი ჰქონდა დაკარგული, თქვენი სისხლი მიეცეთ; ორი დღის შემდეგ ჩიკვაძე მოკალით, რადგან გაცემისა შეგვეშინდათ. ნაქურდული ნივთები და სამპროცენტის ობლიგაციები ხოტოველს მიჰყიდეთ, რომელმაც ფულის ნაწილი გუშინ ჩამოიტანა და ბასკაკოვას დაუტოვა, თქვენ კი კონსპირაციის თვალსაზრისით არ გამოუჩნდით ხოტოველს. ბასკაკოვას რესტორანში შეხვედით, ჭადრა გრიძისა და ჩაბალახის გარეშე.

ჩარგივეის გაქვავებულ სახეს არაერთიარ ცვლილება არ დასტყობია, არც ერთი ნერვი არ ასტოკებია სახეზე, ყურადღებით უსმენდა მინდელს და განუწყვეტილად აბოლებდა.

— რას იტყვიან? — დაარღვია ღუმილი მინდელმა.

— მშვენნიერი ზღაპარია, მარტომ შეთხზეთ?

— ასეთ ზღაპრებს მწარე შედეგი მოსდევს ჩარგივე!

— მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ თუ ზღაპარზე ყველაფერი ითქვა, გთხოვდით საქმეს დაუბრუნდეთ და მიიღოთ ზომები ჩემი განთავისუფლებისათვის. გარწმუნებთ, დიდი ხანია განვლევ ებ ასაკი და ზღაპრები აღარ მაინტერესებს.

— ასაკი კი განვლეთ, მაგრამ თქვენი ქცევა ამჟამად მართლაც ბავშვურია. ნუთუ ფიქრობთ,



რომ მტკიცე მასალების გარეშე დავაპატიმრებ-
ლით?

— მაშ დაპატიმრებული ვარ?

— ცხადია.

— მე პროტესტს ვაცხადებ ასეთი ძალადო-
ბის წინააღმდეგ.

— ეგ თქვენი უფლებაა, თუმცა გარემოებას
ვერ შეცვლის.

ჩარგივენი ბრაზით აცახცახდა, საკმაოდ სან-
დომიანი სახე ერთბაშად მოქექა, თვალები სი-
სნლოთ აეცსო, მძულვარებით შეხედა გამომძი-
ებელს.

— ბოლოს და ბოლოს რა გინდათ ჩემგან? —
ძლივს ამოიხრიალა მან.

— მინდა შეიგნოთ, თქვენი გამოუვალე
მდგომარეობა და დანაშაული აღიაროთ.

რამდენჯერ უნდა ვითხრაო, მე არავითარი და-
ნაშაული არ ჩამიდენია.

— მაშ ხოტოველს ტანსაცმელი მიჰყიდეთ?

— დიხს, ტანსაცმელი.

— საოცარია.

— რა არის საოცარი? — გაუყვირდა ჩარ-
გივეს.

— ის რომ ხოტოველი კატეგორიულად უარ-
ყოფს ამ ფაქტს.

— შეუძლებელია — აღმოხდა ჩარგივეს.

მინდელმა ზარის ღილაკს დააჭირა თითი.

— შემოიყვანეთ ხოტოველი — უბრძანა შე-
მოსულ სერჟანტს.

ჩარგივემა მოუთმენლად მიაპყრო მზერა კა-
რებს.

— ხოტოველი ათრეული ნაბიჯით შემოვიდა,
ქურდული მზერა შეაპარა ჩარგივეს, რომელიც
ცდილობდა სიმშვიდე შეენარჩუნებინა.

— ხოტოველო, გაიმეორეთ რა გინდოდათ
წყალტუბოში — მტკიცედ იკითხა მინდელმა.

— აჰი ვითხრაოთ უფროსო, — დაიკნავლა
ბეჭდების უიღბლო გამყიდველმა.

— გაიმეორეთ მეტყი — ხმას აუწია მინ-
დელმა.

— ბეჭედი მივიციდე ტანია ბასკაკოვას, ყელ-
შიც გასჩხერია ის ბეჭედი, ბრაზიანად ამოდერ-
ლა ხოტოველმა.

— იცნობთ თქვენს პირდაპირ მჯდომ მოქა-
ლაქეს?

ხოტოველმა დაფეთებული მზერა მშვიდად
მჯდომ ჩარგივეს მიაპყრო.

— პირველად ვხედავ — მიუგო მტკიცედ.

— არა ცდებით? — კვლავ შეეკითხა გამომძი-
ებელი:

— რანაირად უნდა ვცდებოდე როცა არსად
მინახია?

— კეთილი, მაგრამ იქნებ რაიმე მიჰყიდეთ და
აღარ გახსოვთ? აბა კარგად დააკვირდით.

— გიმეორებთ პირველად ვხედავ.

— მაშ იქნებ მისგან იყიდეთ რაიმე?

— არა უფროსო, არ ცვლობ, გვარიც კი არ
ვიცი მისი — უბასუხა ხოტოველმა დაბეჯი-
თებით.

— კეთილი...

მინდელმა სიტყვა სიტყვით უთარგმნა ხოტო-
ველის ჩვენება ჩარგივეს, რომელიც მშვიდად
ისმენდა ქართულ დიალოგს.

— სტყუის, აშკარად სტყუის!

— იყვირა ჩარგივემა, შემდეგ მიკუნტულ ხო-
ტოველს მიუბრუნდა.

— წყუელო ვაჭრუკანავ! რატომ მალავ, განა
ორი კოსტუმი და ერთი პალტო არ მოგყიდე?

— შეუტია თვალების ბრიალით.

— მართალია უფროსო, მოჰყიდა, 600 მანე-
თად მოჰყიდა, — დადასტურა ხოტოველმა.

მითარგმნეთ, — ისევ იყვირა ჩარგივემა.

მინდელმა უთარგმნა.

— ოქმი, ახლავე ოქმით ვააფორმეთ —
მტკიცედ მოითხოვა ჩარგივემა.

რამდენიმე წუთის შემდეგ თარჯიმნის თანდა-
სწრებით დაპირისპირების ოქმი შესდგა.

ხოტოველმა თავიდან ბოლომდე უარყო აქამ-
დე მიცემული ჩვენებები და დადასტურა, რომ
ჩარგივესაგან 600 მანეთად 2 კოსტუმი და ერ-
თი პალტო იყიდა და შენაძენი სამი ღდის შემ-
დეგ 100 მანეთის მოგებით გაჰყიდა.

მინდელმა ხოტოველის მოქმედება არ ვაჰკ-
ვირებთა, თითქმის ელოდა კიდევ ამ ამბავს.
ხოტოველი საკანში გაისტუმრა და ჩარგივეის
დაკითხვა განაგრძო.

ჩარგივემა კვლავ კატეგორიულად უარყო
ბრალდება, გაკვირვება გამოთქვა ვიდაც კითხ-
ვანის, ივანისელოს, ბალავაძის ცნობაზე და გა-
დაჭრით მოსთხოვა გამომძიებელს დაუყოვნებ-
ლივ გაეთთვისეფლებინა პატიმრობიდან.

— წინააღმდეგ შემთხვევაში ხვალაღან შიმ-
შილს ვიცხადებ, — განაცხადა.

უკვე კარგად დაღამებული იყო, როდესაც
გამომძიებელმა დაკითხვა დაამთავრა და პატიმარ-
ი საკანში გაისტუმრა.

მინდელი დაღლილი ნაბიჯებით დაღვიპრებულ
გავიდა კაბინეტიდან. პირველი იერიში უშე-
დეგოდ დამთავრდა. გამომძიებელსა და ბო-
როტომქმედთა შორის ბრძოლა მხოლოდ იწყე-
ბოდა.

თავი IX

ბანდიტების დაკავებიდან 6 დღე გავიდა. მაგ-
რამ ჩარგივეის საქმემ ოდნავადაც ვერ წაიწია
წინ. მინდელის ვარაუდი გამართლდა: გრძელი-
ძემ და ღვეძიქმ ჩარგივეის პიროვნება ვერ ამო-
იცნეს, მტკიცედ განაცხადეს — არსად გვინა-
ხავს, პირველად ვხვდებითო. გრძელიძემ გაყ-

ვირეზებაც კი გამოთქვა: სად ეს ახალგაზრდა და სად ჩემი გამტაცებელი ჭაღარაო.

ჩარგიემა, კატეგორიულად მოითხოვა დაპირისპირების გაფორმება და პატიმრობიდან დაუყოვნებლივ განთავისუფლება. ვინაიდან უარი უთხრეს, პროკურორი მოითხოვა.

ხომერიემა ინახულა პატიმარი, გულდასმით მოისმინა საჩივარი გამოძიებლის მოქმედებაზე, შეპირდა საქმის პირადად შემოწმებას და ორ დღეში გადაწყვეტილების მიღებას.

ჩარგიევი ისევ აღშფოთდა, სასტიკი პროტესტი განაცხადა ადამიანის ბედისადმი ასეთი ჩინოვნიკური დამოკიდებულების გამო და კვლავ გაიმეორა თავისი მოთხოვნა.

ბანდის წევრების შეპყრობიდან სამი დღის შემდეგ ძიძიგურმა იოლად დაადგინა ბალავანის, კიტოვანისა და ივანისელის ვინაობა.

როგორც მოსალოდნელი იყო დევძის ბინაში შეპყრობილი ბოროტმოქმედი არაერთხელ წასამართლევია, ქურდი რეციდივისტები აღმოჩნდნენ. მილიციის სამმართველოსაც განსაკუთრებულ აღრიცხვაზე ყავდა აყვანილი სამთავე.

ძიძიგურმა გამოარკვია, რომ ივანისელი წინათ ჩადენილ ქურდობის გამო უკვე ოთხი წელია იძებნებოდა, ხოლო კიტოვანი და ბალავანე, რამდენიმე თვის წინათ გაქცეულიყვნენ საპატიმროდან, სადაც ისინი 15 წლით ჩაესვათ შეიარაღებული ყაჩაღობისათვის.

მხოლოდ ჩარგიევზე არ იყო არავითარი მამხილებელი ცნობები. ვილნიუსიდან გამოგზავნილი ცნობით ქლაქის მილიციის სამმართველო ადასტურებდა ჩარგიევის ანკეტურ მონაცემებს, იტყობინებოდა, რომ ჩარგიევი ორი წლის წინათ ჩასულიყო ვილნიუსში, დღემდე მსუბუქი ტაქსების № 2 პარკში მუშაობდა მორიგ დისპეტჩერად და რაიმე საეჭვო საქმიანობაში არ იყო შემჩნეული.

ასე რომ ყველა მასალა, რაც კი გამოძიებამ ჯერჯერობით შეკრიბა, მხოლოდ ჩარგიევის სასარგებლოდ მეტყველებდა.

ბასკაკოვს არ უარყოფდა ჩარგიევთან ინტიმურ ურთიერთობას და ამბობდა, რომ ქორწინების ოფიციალური გაფორმება ზაფხულისათვის ქონდათ გადაწყვეტილი. ჩარგიევი საცოლეს წყალტუბოში დახვედრია. ერთ სასტუმროში ცხოვრობდნენ მხოლოდ სხვადასხვა ნომერში. თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს, ერთად სადილობდნენ და ვახშობდნენ. მხოლოდ ეს იყო. ბასკაკოვს ვერ გაეხსენებინა იყო თუ არა მასთან მათე 12 იანვარს, ტყეშელიაძის მკვლელობის დამეს.

თვით ჩარგიევი კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ 12 იანვარს ისე, როგორც სხვა დღეებში ის სასტუმროში იმყოფებოდა და წყალტუბოდან არსად წასულა.



აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ე

აჭარის ასსრ დამსახურებული იურისტის საკაბიო წოდების
მინიჭების შესახებ

იურისპრუდენციის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენი-
ჭოთ აჭარის ასსრ დამსახურებული იურისტის საკაბიო წოდება:

1. არჩაია ეგნატე არტემის ძეს — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო განყოფილების უფროსს
2. ბაჭელიძე ჯემალ სკენდერის ძეს — აჭარის ასსრ პროკურორს
3. თავდგირიძე მამია ალიევის ძეს — აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს
4. ფაღვა იოსებ შევკეტის ძეს — აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს
5. შელია გიორგი რაჟდენის ძეს — აჭარის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრს
6. ჩხარტიშვილი დავით კალისტრატეს ძეს — ქალაქ ბათუმის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე რ. კომახიძე

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ხახუთაშვილი

ქ. ბათუმი, 1967 წლის 2 მარტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

გამართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი. პირველ საკითხად პლენუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ვ. ი. მისიურაძის მოხსენება „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში 1966 წელს წასამართლობის მდგომარეობის შესახებ“.

— გასულ წელს, — ამბობს მომხსენებელი — მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 23 ივლისის დადგენილების „დანაშაულობასთან ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულების „ხელიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ ცხოვრებაში გატარებისათვის.

ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში სასამართლო ორგანოებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრიობა.

დანაშაულობათა აღსაკვეთად სასამართლო პროკურატურისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოები ატარებდნენ ერთობლივ ღონისძიებებს, რის შედეგადაც შემცირდა ისეთი სახის დანაშაულობანი, როგორცაა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცება, ყაჩაღობა, ძარცვა.

ამხ. ვ. ი. მისიურაძე განიხილავს რა სახალხო სასამართლოების მუშაობას, დაწვრილებით ჩერდება იმ უმნიშვნელოვანეს პრაქტიკულ საკითხებზე, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს სოციალისტური მართლწესრიგის კიდევ უფრო განმტკიცებას. სახალხო სასამართლოების მუშაობაში შენიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის აუცილებელია, აღნიშნავს იგი, უფრო მაღალ დონეზე წარმოებდეს არასრულწლოვან დამნაშავეთა საქმეების განხილვა, მეტი ყურადღება მიექცეს საზოგადოებრივი დამცველისა და საზოგადოებრივი ბრალდებლის ჩაბმას სისხლის სამართლის საქმეებში. ზოგჯერ განაჩენებში არასწორად აკვალიფიცირებენ დანაშაულს, იხილვენ საქმეებს სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის, სასჯელის დანიშვნას არ ახდენენ კანონის მოთხოვნის შესაბამისად.

ამხ. ვ. ი. მისიურაძე ვრცლად შეჩერდა იმ ღონისძიებებზე, რაც უახლოეს ხანში უნდა გატარდეს ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მეორე საკითხზე მოხსენებით „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის ანგარიში 1966 წლის მუშაობის შესახებ“ გამოვიდა საქარ-

თველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ი. ქაჯაია.

ამხ. ს. ი. ქაჯაია აღნიშნავს, რომ გასულ წელს მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა სოციალისტური კანონების დაცვის საკითხებისადმი. ამან სათანადო შედეგებიც გამოიღო. მაგალითად, თუ 1965 წელს განაჩენების გაუქმება უდრიდა 11 პროცენტს, 1966 წელს იგი შემცირდა 8 პროცენტამდე, განაჩენების შეცვლა შესაბამისად შემცირდა 28 პროცენტთან 14 პროცენტამდე, ზედამხედველობითი წესით პროტესტებისა კი 10 პროცენტით.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პირველი ინსტანციის ხაზით საქმეთა განმწესრიგებულ სხდომაზე მიღებისა და განხილვის ხარისხი. საქმეთა 68 პროცენტი განხილულ იქნა გამსვლელ სესიებზე. ასევე გაუმჯობესდა საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტის ხარისხი.

ამხ. ს. ი. ქაჯაია ვრცლად შეჩერდა კოლეგიის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც საქმეებს არ სწავლობენ საფუძვლიანად, ეს კი იწვევს საქმეების დაბრუნებას არა განმწესრიგებელი, არამედ სამსჯავრო სხდომიდან, ხოლო ზოგჯერ განაჩენების გამოტანის შემდეგაც. სათანადო რეაგირება არ ხდება საგამომიბელო და სასამართლო ორგანოებში დამცემულ კანონის უხეშ დარღვევებზე. გაუმჯობესებას მოითხოვს საკასაციო წესით საქმეთა განხილვის ხარისხი.

შემდეგ ამხ. ს. ი. ქაჯაიამ ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რაც უნდა გატარდეს აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მოხსენებით — „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1966 წლის მუშაობის ანგარიში“ გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ყ. იოსავა.

ამხ. გ. ყ. იოსავამ ვრცლად გააცნო პლენუმის წევრებს კოლეგიის მიერ 1966 წელს გაწეული მუშაობა. სამოქალაქო საქმეებზე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გადაწყვეტილებების გაუქმება უდრიდა 28 პროცენტს, 1966 წელს გაუქმება უდრის 11.4 პროცენტს, ხოლო გორის, ქარელის, აბაშის, ამბროლაურის, მესტიის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, მახარაძისა და სხვა რაიონების სახალხო სასამართლოებიდან 1966 წელს არც ერთი გადაწყვეტილება არ გაუქმებულა.

გაუმჯობესდა საქმეების განხილვისა და საჩივრების გადაწყვეტის ვადები, შემცირდა პროტესტების რაოდენობა პრეზიდიუმზე და ა. შ.

თავის მოხსენებაში გ. ყ. იოსავამ აღნიშნა ის ხარვეზები, რაც იგრძნობა კოლეგიის მუშაობა-

ში: ჯერ კიდევ დაბალია ზოგიერთ სახალხო სასამართლოში საქმეების განხილვის ხარისხი, ადგილი აქვს კანონით დაწესებული ვადების დარღვევით საქმეთა გარჩევას.

მოსხენებების ირგვლივ კამათში პირველი გამოვიდა აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ს. ბ. მაკარაძე. მან აღნიშნა, რომ აჭარის ასსრ უმაღლესმა სასამართლომ უკანასკნელ ხანს ვაატარა მთელი რიგი სერიოზული ღონისძიებანი რესპუბლიკაში სოციალისტური კანონების შემდგომი განმტკიცებისათვის, ამან კი კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა. — შემციირდა მთელი რიგი სახის დანაშაულობანი, გაუმჯობესდა განაჩენებისა და გადაწყვეტილებების სტაბილობა.

ამხ. ს. ბ. მაკარაძემ შენიშნა: რომ მომწიფდა იმის საჭიროება, რომ ქართულ ენაზე გამოვიდეს კომენტარები როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო კანონმდებლობაზე.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ნ. დვინჯილიამ აღნიშნა, რომ პლენუმზე სამართლიანად გააკრიტიკეს აფხაზეთის ასსრ სასამართლოების მუშაობა. შემდეგ ამხ. ვ. ნ. დვინჯილია დაწვრილებით შეჩერდა სასამართლო ორგანოების მუშაობის ცალკეულ საკითხებზე, ილაპარაკა სასამართლო პროცესზე საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობის მნიშვნელობაზე, შეეხო სასამართლოს გამსვლელი სესიების ორგანიზებულად ჩატარების საკითხს. იმაზე თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ აფხაზეთის ასსრ-ში.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ვ. კაჩიშოვამ ილაპარაკა, თუ რა მდგომარეობაა ამჟამად ოლქში სასამართლობის მდგომარეობის შესახებ და რა ზომები ტარდება სოციალისტური კანონების შემდგომი განმტკიცებისათვის. მანვე პლენუმზე დააყენა საკითხი ოლქის სასამართლოების უმაღლესი იურიდიული კადრებით უზრუნველყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ნ. ბადაგაძე დაწვრილებით ჩერდება იმაზე, თუ როგორ ხელმძღვანელობს იმ კოლეგიის შემადგენლობა, სადაც ის არის თავმჯდომარე, ზონაში შემავალ სახალხო სასამართლოების მუშაობას.

საქართველოს სსრ პროკურორი პ. ე. ბერძენიშვილი ამბობს, რომ სასამართლოს, პროკურატურისა და საზოგადოებრივი წესრიგის სამინისტროს ორგანოების ერთობლივმა მუშაობამ მნიშვნელოვნად განამტკიცა რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერება.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავ-

მჯდომარე ა. გორკინმა სსრ კავშირის პროკურატურაში ამასწინათ გამართულ თათბირზე დიდი მნიშვნელობა მიანიჭა სასამართლოების მიერ კერძო განჩინებების გამოტანის საკითხს და ეს მართლაც ასეა. საჭიროა თვითუღმა კერძო განჩინებამ, რა საქმეზედაც არ უნდა იყოს გამოტანილი, თავის მიზანს მიაღწიოს.

შემდეგ ამხ. პ. ბერძენიშვილი ვრცლად შეჩერდა სასამართლოების მიერ დამატებით გამოძიებაში დაბრუნების საკითხზე. გამოთქვა თავისი შენიშვნები პლენუმის დადგენილების პროექტების ირგვლივ.

პლენუმზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრი პ. ტრუბინიკოვი. ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე — თქვა მან — დგას დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — მტკიცედ განახორციელოს ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 ივნისის დადგენილება „დანაშაულობასთან ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ“, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულება „ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“. ამ მხრივ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, როგორც საქმეების შესწავლამ და გვარწმუნა, სათანადო მუშაობა აქვს ჩატარებული.

შემდეგ ამხ. პ. ტრუბინიკოვი ეხება სასამართლო ორგანოების მუშაობის ცალკეულ საკითხებს, რაც პლენუმის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს და ლაპარაკობს იმ ხარვეზებზე, რაც ჯერ კიდევ შეინიშნება რესპუბლიკის სასამართლოების მუშაობაში.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები ს. ადამიანი და ი. სუმბათაშვილი.

შემავამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ი. მაისურაძე.

— ახლა, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა, საბჭოთა ხალხი გაცხოველებით ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის, იუსტიციის ორგანოების მუშაება ვალია მთელი თავისი ენერჯია და ცოდნა მოახმარონ სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცების საქმეს. ამხ. ვ. ი. მაისურაძემ ყურადღება გაამახვილა იმ ცალკეულ შენიშვნებზე, რაც გამოთქმულ იქნა სასამართლო ორგანოების მისამართით და პლენუმს გააცნო ის ღონისძიებანი, რაც განზრახულია გატარდეს შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.



პლენუმმა მიიღო დადგენილებათა პროექტები სათანადო შესწორებებით.

პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტები სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ პროკურორმა პ. ე. ბერძენიშვილმა.

პლენუმს ესწრებოდნენ საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ზ. მ. რატიანი, ინსტრუქტორები თ. ონოფრიშვილი და ზ. კიკაძე.

ზ. მენენდისარი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს
პლენუმის მდივანი

რესპუბლიკის პრეპარატურის კოლეგიის გეგმობითი მუშაობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამითა და XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახულ ამოცანათა შესრულებაზე არის დამოკიდებული სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინის მდგომარეობაზე, იმაზე, რომ კანონიერებას მტკიცედ და განუხრელად იცავდეს ყველა ორგანიზაცია და უწყება, ყველა საბჭოთა მოქალაქე.

ეს ადმინისტრაციულ ორგანიზაციებს ავალუებს გააძლიერონ მუშაობა სოციალისტური კანონიერების სულ უფრო განმტკიცებისათვის, ბრძოლა დანაშაულობათა და მართლწესრიგის სხვა დარღვევათა წინააღმდეგ.

ვიყენებთ რა აღზრდის ყველა საჭირო ღონისძიებებს, დარწმუნებისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ძალას სამართალდამრღვევთა მიმართ, უყოყმანოდ უნდა გამოვიყენოთ იძულების საშუალებანიც საშიში დამნაშავეების, ზუღოვნების, სოციალისტური საკუთრების დამტაცებლების წინააღმდეგ.

ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა საქართველოს პროკურატურის კოლეგიის 18 თებერვლის გაფართოებული სხდომის მონაწილეთა გამოსვლებს. კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ლულაშვილი, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი ე. შვეარდნაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მ. ლომიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების გამგის მოადგილე მ. ვასალია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ. კაციტაძე, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ქაჯაია, ქალაქისა და რაიონების პროკურორები და სხვები.

გაფართოებულმა კოლეგიამ მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ პროკურორის პ. ბერძენიშვილის მოხსენება იმის შესახებ, თუ რა მუშაობა გასწიეს რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებმა 1966 წელს დამნაშავეობისა და კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ საბრძოლველად და რა ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის.

მოხსენებაში აღინიშნა, რომ ბოლო დროს პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, პროკურატურის, სასამართლოსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებმა განახორციელეს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის აქტივიზაციის ღონისძიებანი, რამაც ხელი შეუწყო დამნაშავეობის შემცირებას.

უფრო მდიდარი გახდა პროკურატურის გამოძიებულებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუშაობის კონტაქტი რის შედეგად გაუმჯობესდა დანაშაულის გახსნის მუშაობა. მაგრამ ჯერ კიდევ ადრეა თავი დავემშვიდოთ — ბევრი დანაშაული გაუხსნელი რჩება. განსაკუთრებით არადაამაყყოფილებულია საქმის ვითარება ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონში. დანაშაულთა გახსნის საქმე ცუდად არის აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში. ეს მუშაობა ჯეროვან სიმაღლეზე არ დგას არც ზუგდიდის, დმანისის, ვარდახნის, მცხეთის რაიონებში.

ყურადღებას იპყრობს ბოვანოვკის რაიონის ფართო საზოგადოებრიობისა და პროკურატურის, სასამართლოსა და მინისტრის მუშაობა ინიციატივა, რომლებმაც მოუწოდეს რაიონის ყველა მშრომელს გააერთიანონ მეცადინეობა, რათა გადაწყვეტი ბრძოლა გამოუცხადონ დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევებს, იბრძოლონ იმისათვის, რომ რაიონში არ მოხდეს დანაშაული.

ბოვანოვკის რაიონის პროკურორმა ა. ბარა-



პაქემ თქვა, რომ ანტისაზოგადობრივი ქცევა მცირდება. ადმინისტრაციულმა ორგანოებმა შეიმუშავეს პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ერთობლივი გეგმა ანტისაზოგადობრივ გამოვლინებათა აღმოსაფხვრელად. პარტიის რაიკომმა მოიწონა ეს ინიციატივა. ეჭვი არ არის, რომ ბოგდანოველებს მიმდევარი გამოუჩნდებათ.

ღონისძიებანი, რომლებიც უკანასკნელ ხანს ხორციელდება დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად, თქვა ქ. თბილისის პროკურორმა ა. ტაკიძემ, მოწმობს, თუ როგორ ზრუნავენ პარტია და მთავრობა ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის, მაგრამ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატება, დანაშაულის წარმომშობი მიზეზის აღმოფხვრა ბევრად არის დამოკიდებული პროკურატურის, სასამართლოს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების აქტიურ საქმიანობაზე, მათი უფლებების უნარიან გამოყენებაზე. სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციაში უნდა უზრუნველყვით ადმინისტრაციული ორგანოების ზუსტი ურთიერთმოქმედება.

ამხ. პ. ბერძენიშვილის მოხსენებასა და კოლეგიაზე გამოსულ ორატორთა სიტყვებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ძირითადად უნდა გაუმჯობესდეს განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა საქმეების გამოძიების ხარისხი. აღინიშნა, რომ არის ბევრი შემთხვევა, როცა სასამართლოები საქმეებს აბრუნებენ დამატებითი გამოძიებისათვის. ასეთი ფაქტები შეიმჩნევა განსაკუთრებით აბაშის, ზუგდიდის, წალენჯიხის, გეგეჭკორის, სამტრედიის, გორის რაიონების პროკურატურის მუშაობაში. სამწუხაროდ, წალენჯიხის პროკურორმა ი. ქარდავამ, ვარკვევით ვერაფერი ვერ უთხრა კოლეგიას, თუ რა კეთდება იმისათვის, რომ აღმოფხვრას დამატებითი გამოძიებისათვის საქმეების დაბრუნების გამომწვევი მიზეზები.

ანალიზი მოწმობს, რომ ხშირად დარღვევები და შეცდომები დაშვებულია იმის გამო, რომ გამოძიება გულგრილად ტარდება, ის ღრმად არ სწავლობს საქმეთა გამოძიებას, აღინიშნა თავის გამოცემაში რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ ვ. პრავენიმ. ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის პროკურორი ღრმად არ სწავლება საშიშ დანაშაულთა გამოძიების საქმეს, გამოძიებლებს არ უწევს საჭირო დანხარებას. პროკურორებმა უნდა გააძლიერონ მომთხვეწელობა საგამომძიებლო აპარატის მუშაებისადმი, გულ-

დასმით შეისწავლონ დამატებითი გამოძიებისათვის საქმეთა დაბრუნების ყოველი ცალკეული შემთხვევა, აღკვეთონ გამოძიების ვადების დარღვევები.

შეუწყნარებელია სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების გაჭიანურების ფაქტები. უნდა გაძლიერდეს საპროკურორო ზედამხედველობა საქმეთა გამოძიებისა და სასამართლოში საქმეთა განხილვისადმი. უნდა ავამაღლოთ სამართალწარმოების კულტურა — აღნიშნა საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის წევრმა, სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა ლ. ზაიჩიკამ.

ყოველმხრივი განხილვის საგანი იყო საკითხი სოციალისტური საკუთრების გამფლანგვლებისა და გამტაცებლების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. აღინიშნა, რომ ეს ბრძოლა უფრო შეტევითი ჩასიათისა უნდა იყოს.

გაფლანგვა-გატაცება ხშირად ხდება იმ საწარმოებსა და დაწესებულებებში, სადაც ჯერონად არ წარმოებს მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა, არ სრულდება მოთხოვნები კანონისა და დღევანდელ ფასებში ინვენტარიზაციისა და დოკუმენტური რევიზიის მოწყობის შესახებ.

მატერიალურ-პასუხსაგებ სამუშაოზე ხშირად იღებენ სამართალში ნამყოფ პირებს. მაგალითად, არაერთხელ ყოფილა პასუხისგებაში მიცემული სახელმწიფო სახსრების დატაცებისათვის ვინმე ო. მგალობლიშვილი, რომელიც მოეწყო ბედნიანის ფსიქონევროლოგიური სავადმყოფოს აფთიაქის მმართველად. მალე მან კვლავ ჩაიღინა დანაშაული, რისთვისაც მიესაჯა ხანგრძლივი პატიმრობა.

ამ ბოლო დროს რესპუბლიკის პროკურატურამ გააძლიერა მუშაობა გაფლანგვისა და გატაცების მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების შესასწავლად, ამ ფაქტების აღსაკვეთად ეფექტიან ღონისძიებათა შესამუშავებლად.

უღრესად დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეყიდოთ და სერიოზულად მივუდგეთ მის გადაჭრას, ეს არის არასრულწლოვანთა შორის დანაშაულობათა აღკვეთა. ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ყურადღება ეთმობა მოზარდი თაობის აღზრდას. შეიძლება ბევრი კარგი რამ ვთქვათ

აღმზრდელი მუშაობის წარმატებებზე, დავასახელოთ სხვადასხვა ციფრო და მაჩვენებელი, მაგრამ რესპუბლიკაში არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევის მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად ეს მოვლენა მაინც არ არის აღმოფხვრილი. ეს იმის შედეგია, რომ სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს აღზრდას სკოლაში, ოჯახში, კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებში. უფრო მეტი უნდა ვიზრუნოთ მოზარდთა საწარმოო სწავლებისა და შრომითი მოწყობისათვის — თქვა ზუგდიდის რაიონის პროკურორმა გ. გვასალიამ.

კოლეგიაზე ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ პროკურატურის მუშაკები კანონიერების განმტკიცებაში შრომითი ურთიერთობის, სახელმწიფო დისციპლინისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის საქმეში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილება სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივებში სოციალისტური შრომის დისციპლინის გაძლიერებისათვის ტულის ოლქის პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის შესახებ გვაძლევს გავაძლიეროთ მეთვალყურეობა პროკურატურისა და სასამართლო ორგანოთა მიერ შრომის კანონმდებლობის ზუსტი შესრულებისადმი. უნდა უზრუნველყოთ, რომ სასამართლო-პროკურატურის ორგანოები დროულად იხილავდნენ საქმეებს შრომითი დავის შესახებ, გააძლიერონ ამ ორგანოთა როლი შრომითი კონფლიქტების მიზეზების დადგენაში. საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა უადრესად სერიოზულად, დაკვირვებით უნდა გადაწყვიტონ ხოლმე ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მუშაკთა სამუშაოდან დათხოვნის საკითხი.

კოლეგიაზე დიდი ყურადღება დაეთმო პროფესიული ოსტატობის ამაღლებას. ეს საკითხი

მეტად აქტუალურია იმის გამო, რომ პროკურატურის ორგანოებში ამ ბოლო დროს ბევრი ახალგაზრდა სპეციალისტი მოვიდა. ქალაქ ქუთაისის პროკურორმა ა. უღენტმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ არის ორგანიზებული ახალგაზრდა გამომძიებელთა აღზრდა, რა წარმატებანი მოიპოვეს მათ მუშაობაში.

რესპუბლიკის პროკურატურა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა სპეციალისტთა ცოდნის სრულყოფას. ეს მუშაობა კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ.

სხდომაზე გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ კანონიერების ზუსტ დაცვას ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაში საერთო არ უნდა ჰქონდეს რა თავის დაზღვევასთან, ამან შეიძლება ავნოს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს საბჭოთა ადამიანის უფლებები და ინტერესები. არ უნდა ვეკიდებოდეთ ლიბერალ-დამნაშავეებს. შეუწყნარებელია, რომ გაქნილ გაიძევირებს, აფერისტებს, ხელიგნებსა და მათ მსგავსს ბოროტად გამოვაყენებინოთ ჩვენი სამართალწარმოების ჰუმანურობა და დემოკრატიულობა.

კოლეგიის სხდომაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების გამგის მოადგილე მ. გვასალია.

სხდომის მონაწილეები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ ყოველ დონეს იხმარენ, რათა საიუბილეო წელს კიდევ უფრო განამტკიცონ სოციალისტური კანონიერება, მკვეთრად შეამცირონ დამნაშავეობა, ამაღლონ მოსახლეობის სამართლებრივი კულტურა. საბჭოთა მოქალაქეებს ჩაუნერგონ ჩვენი საბჭოთა კანონების დრმა პატივისცემის გრძნობა.

80 წელი ხალხის სამსახურში

თითქმის საუკუნის ტოლი კაციაო — მასზე ამბობენ. თავისი სამსახური კეთილშობილურად გაატარა.

ნახევარ საუკუნეზე მეტია ხალხს ემსახურება. ეკითხებიან — ყურადღებით უსმენს. პასუხს ელიან — პასუხობს. მისი საუბარი დამაჯერებელი, იმედის მომცემია. ჭაბუკური ხალხისთ შრომობს, ფიქრობს... დაღლას არ გრძნობს.

მთელი მისი მოღვაწეობა ხალხთან ურთიერთობაა, ხალხი კი ყოველთვის სარგებლობდა მის თანაგრძნობით, შეუწელებელი ყურადღებით. ზოგს არკვევს შრომის, ზოგს კი საპენსიო, სამეურნეო, ადმინისტრაციულ საკითხებში. მისგან ყოველთვის კეთილ რჩევას მოვლიან და დებულობენ კიდევ.

კაცთმოყვარე ადამიანიაო — მართებულად ამბობენ. მთელი თავისი არსებით შემკულია უფაქიზესი თვისებებით. ამობისა და მეგობრობის ნამდვილი რაინდია.

შრომში მავალითის მიმცემია როგორც ამხა-

სალამო მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ პრეკტორომა პ. ბეჩენიშვილმა.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს პრაფსაბჭოს იურიდიული ბიუროს გამგე, რესპუბლიკის დამსახურებულ იურისტი ნ. წერეთელი.

ჩვენ აქ მოვედით — აღნიშნავს მომხსენებელი — უხუცესი იურისტის ალექსი ვასილის ძე ზედგინძის პატივსაცემად, რომელიც წლების მანძილზე უპრეტენზიოდ და უხმაუროდ ემსახურებოდა ხალხს, იცავდა სახელმწიფოსა და ადამიანების ინტერესებს და ამ ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე დიდი სამსახური პატივსაცემა, ნდობა, სიყვარული...

ოთხმოცი წელი, ეს არც თუ ისე პატარა ასაკია ადამიანის ცხოვრებაში. დღესაც ბებერა, ძლიერი ფესვების მქონე მუხასავით მდგრად დგას ხალხის გვერდით და სიხარულით ემსახურება სოციალისტური კანონიერების განმტკიცების დიდ და საპატიო საქმეს.



ნავეებში, ისე ოჯახში. ოჯახი კი მრავალრიცხოვანია — შვილები, შვილიშვილები.

სწორედ ამ შრომის დასაფასებლად პირველ აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დიდ დარბაზში გაიმართა უხუცესი იურისტის ალექსი ვასილის ძე ზედგინძის დაბადებიდან 80 და შრომითი მოღვაწეობის 55 წლის იუბილე.

მისი შრომის დამფასებელი მრავალრიცხოვანი მომლოცველი მოვიდა იუბილეზე.

ალექსი ვასილის ძე ზედგინძე დაიბადა 1887 წელს თბილისში, მცირეხელფასიან მოსამსახურის ოჯახში.

საშუალო განათლება მიიღო თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა ნოვოროსიის უნივერსიტეტში, რომლის პრორექტორიც იქამად იყო გამოჩენილი ქართველი მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი, რომლის იურიდიული ფაკულტეტი პირველი ხარისხის დიპ-

ლომით 1911 წელს დაამთავრა. მისი ოჯახის მატერიალური ხელმოკლეობის გამო ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ეწევა შრომით საქმიანობას. გასაბჭოებამდე მუშაობდა სხვა და სხვა



ყალიბებში და მათი მუშაობის სათანადოდ დაწესებულ წარმართვისათვის. ამასთანავე აკეთებს მრავალრიცხოვან მოხსენებებს, აწყობს კითხვა-პასუხის საღამოებს, კონსულტაციის უწყვეს კლუბებს, წითელ კუთხეებს საბჭოთა სამოქალაქო შრომის კანონმდებლობის ფართო პოპულარიზაციის მიზნით.

იყო და არის საზოგადოება „ცოდნას“ წევრი. 1936 წლიდან ითვლებოდა ადვოკატთა კოლეგიის წევრად.

1941 წელს მისი რედაქტორობით გამოიცა მთელი რიგი შრომები, მავალითად: „სამუშაო დისციპლინა და სამუშაო დრო“, „ტეხნიკა და შრომა“, „შემდგომებელ—საკონფლიქტო კომისიის წევრთა დისახმარებლად“ და სხვა. 1956 წელს გამოიცა მისი წიგნი ქართულ ენაზე „მუშა-მოსამსახურეთა სხვა სამუშაოზე გადაყვანა და დათხოვნა“, 1957 წელს — აგრეთვე ქართულ ენაზე — „შრომის დეათა განხილვის ახალი წესი“ და ა. შ.

მის კალამს ეკუთვნის მრავალრიცხოვანი კონსულტაციები სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ჩვენი რესპუბლიკის სხვა და სხვა გაზეთებში და ჟურნალებში, სადაც მოცემულია შრომის კანონმდებლობის ღრმა და თავისებური ინტერპრეტაცია. მათი მოცულობა რამდენიმე ტომს გადაჭარბებდა.

1949 წლიდან პერსონალური პენსიონერია. მიუხედავად მისი ხანდაზმულობისა, იგი ამჟამად ჩვეული ენერგიით განაგრძობს უანგარო შრომას, კვლავ კვალიფიცირ რჩევას გვაძლევს. არის იურისკონსულტთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი.

ასეთია მოკლედ ღვაწლი იმ პირთგენელი მუშაკის, რომელსაც არასოდეს თავის შრომა და ენერგია არ დაუზოგავს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა კეთილსინდისიერი მომსახურებისათვის, საბჭოთა კანონმდებლობის პოპულარიზაციისათვის.

ამიტომ მიკუთვნა მას საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო წოდება — საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტისა, ამიტომ აფასებთ მას თქვენც, ძვირფასო ამხანაგებო. და ეს ყველაფერი — ამბობს დასასრულს მომხსენებელი — საკმაო საფუძველს გვაძლევს ჩვენ ყველას ერთხელ კიდევ მივესალმოთ მას და მსცოვანი აკაცის სიტყვები ვუთხრათ:

„უფა მოხუცო, ნარარაგბ თოვლივით სბეტჯე თიანი, თოვთული ჭადარა გაქვს წმინდა და ნამუსიანი“.

დაწესებულებებში (თბილისის საკონტროლო პალატა, საქართველოს ქალაქთა კავშირში და სხვა).

1921 წლიდან იგი გადადის სამუშაოდ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციაში, განყოფილების გამგის თანამდებობაზე.

1924-25 წლებში მუშაობდა ა/კ ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-საკონტროლო სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

1925 წლის ივნისიდან სამუშაოდ გადავიდა საქართველოს პროფსაბჭოს ჯერ პროფკავშირების იურისკონსულტად, ხოლო 1938 წლის პირველი იანვრიდან იმავე საბჭოს იურიდიული კონსულტაციის (იურიდიული ბიუროს) გამგედ, სადაც მუშაობდა 1960 წლამდე.

1925 წლიდან არის სხვა და სხვა კურსების (პროფკურსები, საქართველოს სსრ იუსტიციის კომისარიატის კურსები, ტექნიკური სხვა) ლექტორი.

წლების განმავლობაში „თბილისის“ რედაქციის იურიდიულ განყოფილებას ალ. ზედგინიძე ხელმძღვანელობს.

1926 წლიდან თანამშრომლობს გაზეთებში: „მუშის“, „თბილისის მუშის“, „ზარია ვოსტოკას“, „თბილისის“ რედაქციებში სამართლებრივ საკითხებზე. ამავე დროს აქტიურ მონაწილეობას იღებულობს საწარმოებში და ორგანიზაციებში საწარმოო-ამხანაგური სასამართლოების ჩამო-

იუბილარს გულთბილი სიტყვით მიმართეს საქართველოს სსრ პროკურატურის სახელით— საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლო-



ლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა ვ. ასიე-

შვილმა; საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახელით— საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საჩივრებისა და მისადგები განყოფილების უფროსმა — ა. მახარაძემ; ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის სახელით — პერსონალურმა პენსიონერმა გ. თარხნიშვილმა, ადვოკატმა უ. კაპანაძემ; არბიტრაჟის სახელით — საქართველოს სსრ დამსახურებულმა იურისტმა თ. დადიანმა.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ ამხ. გ. ბიწაძემ იუბილარს გადასცა საჩუქარი.

ალ. ზედგინიძე იმ მოკრძალებულ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც საკუთარი თავის შეფასების დროს ჩრდილში უფრო ლაღად გრძნობენ თავს.. და დღეს, როცა მის შრომაზე ხმამაღლა ლაპარაკობენ. ბავშვური სიმორცხე დაუფლებია.

თავის გამოსვლაში მან მაღლობა გადაუხადა ყველას, ვისაც მისი შრომა შეუმჩნეველი და დაუფასებელი არ დარჩა. დამსწრეთა ტაშის გრიალში იუბილარი აცხადებს, რომ ოთხმოცი წელი ცხოვრების გზაზე სიარულით არ დადლილა და ყოველთვის მზად არის სიხარულით ემსახუროს ხალხს.



პროფ. ალექსანდრე ვაჩიშვილის სსრკ-ის ს აღკვეთა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართა საღამო, რომელიც მიეძღვნა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ვაჩიშვილის სსრკ-ისადმი.

სააქტო დარბაზში თავი მოიყარეს იურიდიულმა საზოგადოებრიობამ, მეცნიერებმა, ა. ვაჩიშვილის მეგობრებმა, მისმა აღზრდილებმა და ახლობლებმა, რათა გამოეხატათ თავისი პატივისცემა და სიყვარული იურიდიული მეცნიერების უფროსი თაობის წარმომადგენლის, გამოჩენილი იურისტისა და პედაგოგის ალექსანდრე ვაჩიშვილისადმი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, დოცენტმა ვ. აბაშმაძემ.

ა. ვაჩიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ილაპარაკა იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგემ, პროფესორმა ბ. ფურცხვანიძემ.

უნივერსიტეტში ალ. ვაჩიშვილთან ერთად გატარებულ დღეებზე დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა პროფ. შ. ნუტუბიძე.

— არ ვიცი რას გრძნობენ ჩემი მეგობრები, მე კი გული დამძიმებული მაქვს. ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია მეგობრის ჩემს გვერდზე არყოფნა. ახლაც მგონია, რომ ერთ მოსახვევში თუ არა მეორეში გამოჩნდება, მგონია, რომ ჩემს გვერდით იქნება. ისევ გულმართალი გამოხედვით და კარგი სასიამოვნო ხმით დაიწყებს კამათს მეცნიერების სხვადასხვა საკითხებზე. ალ. ვაჩიშვილი იყო საყვარელი, კაცური კაცი, კარგი ადამიანი, ალალი მეგობარი.

იგი გავიცანი 1917 წელს გიმნაზიაში სწავლის დროს. ფიზკულტურის დარბაზში ვარჯიშის დროს ჩემი ყურადღება მიიპყრო სიმპატიურმა ყმაწვილმა, თავი ვერ შევიკავე, მივედი და გავიცანი გიმნაზიის მესამე კლასის მოსწავლეს. ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ის გაემგზავრა საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად. დიდი ხნის შემდეგ ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს უნივერსიტეტში.

1921 წელს მივიღინებელი ვიყავი რუსეთში, რათა დავხმარებოდი ქართველ მეცნიერებს დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. რაც შესაძლებელი იყო გავაკეთე. პროექტში იყო სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის შექმნა და პროექტობასთან ერთად ისიც მე დამევალა. ან ვიშურებდით არაფერს, საქართველოში იური, იური აზროვნების განვითარებისათვის. თანდათან თავი მოუყარეთ მეცნიერებს საქართველოში. ჩემს გვერდით, მეცნიერების ტაძარში იყო ჩემი მეგობარიც, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას.

დღეს დაგვრჩა მხოლოდ ის, რომ მწვავედ განვიცადოთ მწარე ხვედრი გამოწვეული კარგი მეგობრის, შესანიშნავი მეცნიერის დაკარგვით. იგი იყო გონებამახვილი ადამიანი, ვერ იტანდა უფიცობას.

ალ. ვაჩიშვილმა ევროპას ამოსწურა ყოველივე ის, რისი ჩამოტანაც შეეძლო და საქართველოში დაბრუნების შემდეგ მთელი სერიოზულობით დაიწყო მუშაობა. იგი იყო იურიდიული განათლების მედროზე. მასთან რომ დაგეწყოთ მეცნიერებაზე ლაპარაკი, მაშინ დაინახავდით მის მოკრძალებას — ამთავრებს პროფ. შ. ნუტუბიძე.

სიყვარულით იგონებს პროფ. ალ. ვაჩიშვილს პროფ. ს. ყუხჩიშვილი. ალ. ვაჩიშვილის იურიდიული აზროვნება ემყარება მაღალ ინტელექტუალურ საფუძვლებს. მისი ფართო მეცნიერული დიაპაზონის შედეგი იყო მეცნიერების სხვადასხვა დარგების სრულყოფილად დაუფლებდა და მათი თეორიული და პრაქტიკული გამოყენება.

მე წილად მხვდა ალექსანდრე ვაჩიშვილის სურვილით ვყოფილიყავი წიგნის „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან“ I და II ტომის რედაქტორი.

პროფ. ალ. ვაჩიშვილი ჩვენს რიგებში ყოველთვის იყო ნიშნული კეთილსინდისიერი მეცნიერი მუშაკისა. იგი ყოველთვის დიდ მოთხოვნებს უყენებდა თავის თავს.

პროფ. ი. მიქელაძემ გაიხსენა ალ. ვაჩიშვილი, როგორც ერთდირებული, თავისი საქმიან კარგი მცოდნე ლექტორი. იგი ეკონომიურ ფაკულტეტზე უკითხავდა მას ლექციებს. ალ. ვაჩიშვილი მეცნიერთა იმ რიგებს ეკუთვნის, რომელმაც დიდი შრომისმოყვარეობით გაიკაფა გზა მეცნიერებისაკენ. მან ბევრი უცხო ენა



შეიწავლა, რათა დედანში გასცნობოდა იურიდიული მეცნიერების წყაროებს. პროფ. ალ. ვაჩიეშვილი განსწავლული კაცი იყო, იგი ჩინებული მცოდნე იყო ხელოვნებისა და მხატვრობის.

ალ. ვაჩიეშვილის სიკვდილი დიდი დანაკლისია ქართველი საზოგადოებისათვის. ჩვენი რეგებიდან მისმა წასვლამ ყველას თავზარი დასცა. იგი ჩვენს გულებში მარად იცოცხლებს.

გულთბილი მოგონებებით პროფ. ალ. ვაჩიეშვილის შესახებ გამოვიდნენ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ჯ. ლომიძე, პროფ. ა. შანიძე, პროფ. ს. ჯიქია, პროფ. მ. ნოდია.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფ. კობენაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო უნივერსიტეტის რექტორის ი. ვეკუას ბრძანება, რომლითაც მადლობა გამოეცხადა განსვენებულ პროფესორის ალ. ვაჩიეშვილის მეუღლეს, რომელმაც უსასყიდლოდ გადასცა უნივერსიტეტს თავისი მეუღლის უნიკალური ბიბლიოთეკა.

რექტორის ბრძანებით სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კაბინეტს ეწოდა ალ. ვაჩიეშვილის სახელობის კაბინეტი.

მ. ვაქელიანი

იურიდიული სამსახურის სრულყოფისათვის

ამას წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის, სახელმწიფო არბიტრაჟთან არსებული იურისკონსულტთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული ბიუროს ინიციატივით გაიმართა იურისკონსულტთა თათბირი მრეწველობაში იურიდიული სამსახურის სრულყოფის საკითხებზე.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდა იურისკონსულტთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ნ. წერეთელი. მან აღნიშნა, რომ საწარმომო და ტექნიკურ-ეკონომიურ ამოცანათა გადაჭრის საქმეში მეტად მნიშვნელოვანია საბჭოთა კანონიერების შესრულების სწორი და უნარიანი ორგანიზაცია, სოციალისტური სამართლის დიდ შესაძლებლობათა ფართო გამოყენება.

საჭიროა ერთიანი საკავშირო დებულების შემუშავება, რომელშიც დასახული იქნება იურიდიული სამსახურის ძირითადი დანიშნულებები. მნიშვნელოვანია აგრეთვე საკითხი იურიდიული სამსახურის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის შესახებ. საწარმოებში იურისკონსულტების მუშაობას მეტად უშლის ხელს ის, რომ ისინი უზრუნველყოფილი არ არიან ნორმატიული ხასიათის მასალით და საჭირო იურიდიული ლიტერატურით. იურიდიულ სამსახურს ხელს უშლის ცალკეულ იურისკონსულტთა მიერ თავის მოვალეობის ზერელე შესრულება,

ზოგიერთი მუშაკის დაბალი კვალიფიკაცია. ბევრ საწარმოში არ არის რეგლამენტირებული საპრეტენზიო საქმიანობა, რომელსაც სათავეში უნდა ედგეს იურისკონსულტი.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდა აგრეთვე საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული ბიუროს კონსულტანტი ნ. მგალობლიშვილი.

მოხსენებების ირგვლივ გაიმართა კამათი. სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ე. ნეიძე შეეხო იურისკონსულტის მუშაობის ძირითად ამოცანებს შრომითი ურთიერთობის სფეროში. მან მოახა იურისკონსულტთა შრომითი საქმიანობის სფერო და მიუთითა, რომ იურისკონსულტი საწარმოს, დაწესებულებას ხელმძღვანელის თანაშემწეა სამართლებრივ დარგში.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს საწარმოებში შრომის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებს. ადგილი აქვს საზევანაკვეთო მუშაობის ნორმის გადაშეცვლას, გაცდენებისა და მოცდენების შემთხვევებს, სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნას და ა. შ.

დოც. ე. ნეიძე შეეხო აგრეთვე შრომის წიგნაკების დროულად შედგენისა და მათში პროფესიის ზუსტად დასახელების მნიშვნელობას, რაც ხშირად სერიოზულ გაუგებრობას ქმნის მუშაკის საპენსიო უზრუნველყოფის საქმეში. მან აღნიშნა აგრეთვე მუშაკის სამუშაოზე მიღების წინასწარი გამოსაცდელი ვადის შესახებ.

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს

მომავალში მიზანშეწონილი იქნება დაწესდეს მხოლოდ ორი ვადა — შედარებით ხანმოკლე — არაკვალიფიციური და ნაკლებკვალიფიციური მუშაკებისათვის საერთოდ (მიუხედავად იმისა ფიზიკურსა და გონებრივ სამუშაოს ასრულებენ ისინი) და შედარებით ხანგრძლივი პასუხსაგები სამუშაოს შემსრულებელთათვის.

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა უნივერსიტეტის დოცენტმა ი. მრევლიშვილმა, რომელმაც ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ აუცილებელია დიდი ყურადღება მიექცეს იურიდიული სამსახურის მუშაკთა მიერ კანონიერების დაცვას. ი. მრევლიშვილმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სტუდენტები ნაკლებად იცნობენ არბიტრაჟის, სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებული იურიდიული ბიუროს მუშაობას, რადგან ისინი პრაქტიკას არ გადიან ამ დაწესებულებებში და ამ დარგების შეს-

წავლასაც ნაკლები დრო აქვს დათმობილი უნივერსიტეტში. საჭიროა ამ მდგომარეობის გამოსწორება.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე რკინიგზის სამმართველოს იურიდიული ბიუროს უფროსმა კ. კალანტაროვმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის ზედამხედველობისა და კოდიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელმა თ. დადიანმა, რესპუბლიკის პროკურატურის სამოქალაქო განყოფილების პროკურორმა ს. სიამაშვილმა, „საქმთავარნილობის დამხადების“ იურისკონსულტმა შ. რჩეულიშვილმა და სხვ.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული არბიტრაჟის უფროსმა ა. ტაკიძემ.

მ. გიგაუვილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიმდინარე წლის 19 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოების ქართული სამართლის ისტორიის ქვესექციის საჯარო სხდომა. სადაც მოხსენება — საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისათვის — წაიკითხა პროფ. ივ. სურგულაძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოში ადრეფეოდალური პერიოდი იწყება III-IV საუკუნეებში და მთავრდება VI-VII საუკუნეებში. VIII-X საუკუნეები არის საქართველოში ფეოდალიზმის მომწიფების პერიოდი. ფეოდალიზმის მომწიფების ხანა განვითარების მხრივ უფრო მაღალი საფეხურია, ვიდრე ადრეფეოდალური პერიოდი. ამავე დროს ფეოდალიზმის მომწიფების შემდგომი პერიოდი, როდესაც ხდება საკუთრების ერთგვარი კონსოლიდაცია და ხელისუფლების ცენტრალიზაცია, ხასიათდება ანტიფეოდალური ელემენტების განვითარებით.

ეს პერიოდი განვითარების უფრო მაღალი საფეხურია, ვიდრე მომწიფების პერიოდი.

XI-XII საუკუნეები საქართველოში არცაა მომწიფებული ფეოდალიზმის შემდგომი განვითარების პერიოდი, რომელიც ხასიათდება საკუთრების შედარებითი კონსოლიდაციით და ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებით.


პატრონჟიმობა გაგებულ უნდა იქნეს, როგორც სენიორალურ-ვასალური დამოკიდებულება და მამასადამე, ის არ მოიცავს გლეხობას და არ შეიძლება ფეოდალიზმის რომელიმე პერიოდის განსაზღვრის საფუძვლად გამოდგეს.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროფ. პროფ. დ. გვრიტიშვილმა, მ. დუმბაძემ, შ. მესხიამ, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა შ. ბაღრიძემ, დოც. ვ. კოპალიანმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. შოშიაშვილმა და დოც. დ. ფურცელაძემ.

მ. კახელი.

ნეკროლოგი

ო. მგელაძე



ქართველ იურისტთა რიგებს უღრმოდ გამოაკლდა სკკპ წევრი 1952 წლიდან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თბილისის სასამართლო-ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის კრიმინალისტიკურ გამოკვლევათა განყოფილების გამგე, უფროსი ექსპერტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ოთარ მგელაძე.

ო. მგელაძე დაიბადა ქ. თბილისში 1928 წლის 5 თებერვალს, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის მიხეილ როსტომის ძე მგელაძის ოჯახში.

1950 წელს მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და იმავე წელს მუშაობა დაიწყო ქ.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პროკურატურაში სახალხო გამომძიებლად.

1951 წ. ქ. მოსკოვში ექსპერტ-კრიმინალისტთა გადასამზადებელი კურსების წარჩინებით დამთავრების შემდეგ, თბილისში სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტიკური ლაბორატორიის დაარსების დღიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა ჯერ ექსპერტად და შემდეგ განყოფილების გამგედ.

1965 წელს ხარკოვში წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე „ქართულ ენაზე შესრულებული ხელისა და ხელმოწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევა“ და მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ო. მ. მგელაძემ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების სისხლის სამართლის დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში.

თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად ო. მგელაძე ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა. გამოქვეყნებული აქვს 25 სამეცნიერო შრომა კრიმინალისტიკისა და სისხლის სამართლის პროცესის საკითხებზე. ამასთანავე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. იყო სსრ კავშირის უურნალისტთა კავშირის წევრი, ხშირად ათავსებდა უურნალ-გაზეთებში საინტერესო კრიმინალისტიკურ ნარკვევებს, დიდაქტიკური ხასიათის წერილებს.

სულ ახლახან, სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა მისი წიგნი „სასამართლო ექსპერტიზის საკითხები“.

მართლმსაჯულების ორგანოებში აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის დაჯილდოვებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ჩვენგან წავიდა გულითადი მეგობარი, კეთილი ადამიანი, საქმისათვის თავდადებული ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერი. ოთარ მგელაძის ნათელი ხსოვნა არ წაიშლება მის მეგობართა გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

658/134



ფაზი 50 333.

ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 2

(На грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической комиссии при Совете Министров
Грузинской ССР